თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვლადიმერ ახალაია

დიდი ბრიტანეთი

გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ნარკვევი

დამხმარე სახელმძღვანელო
სტუდენტებისათვის

გამომცემლობა "ენა და კულტურა"
2003

უაკ (УДС) 910
ა 081

წიგნში განხილულია მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალ-განვითარებული ქვეყნის დიდი ბრიტანეთის ფიზიკური გეოგრაფიის, დემოგრაფიის, ეკონომიკური განვითარებისა და სახელმწიფო წყობილების ძირითადი საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის და დიდი ბრიტანეთის შესწავლით დაინტერესებული ფართო მკითხველისა ვის.

რედაქტორი: ვალერიან რეხვიაშვილი - პროფესორი

რეცენზენტები:
შალვა ნათენაძე - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ჯემალ კაპანაძე - გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი შეშელიძე

გამომცემლობა "ენა და კულტურა"
თბილისი, ჭავჭავაძის 45

Vladimer Akhalaia

Great Britain

A geographic social-economic and political essey

Tbilisi
2003

ავტორისაგან

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის წაკითხული ლექციების კურსი. წიგნი შედგენილია ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა კათედრის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამის მიხედვით. იგი შედგება ოთხი თავისაგან, რომლებშიაც განხილულია დიდი ბრიტანეთის ფიზიკური გეოგრაფიის, დემოგრაფიის, ეკონომიკისა და სახელმწიფო წყობილების აქტუალური საკითხები. დიდია ამ საკითხების სწავლების მნიშვნელობა უცხო ენის მასწავლებელთა და მთარგმნელთა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. ამ საკითხების შესწავლა ხელს უწყობს სტუდენტთა ჰუმანიტარული განათლების დონის ამაღლებას და სპეციალობის შესწავლასაც. შემთხვევითი არ არის, რომ ამჟამად სტუდენტები დიდ ინტერესს იჩენენ მსოფლიოში და ცალკეულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენების მიმართ და მოითხოვენ მათ შესახებ სწორ ინფორმაციას. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში გამოცემული წიგნები ე.წ. "იმპერიალისტური ქვეყნების" შესახებ ტენდენციურია და მოვლენები ამ გამოცემებში, ბევრ შემთხვევაში, არასწორადაა განხილული. ამიტომ ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ძველი დოგმებისა და არასწორი შეფასებებისაგან თავის დაღწევა და იმ უსაფუძვლო კრიტიკის უარყოფა, რომელიც იმდროინდელ გამოცემებშია მოცემული.

მსოფლიოში შეიქმნა ახალი გეოპოლიტიკური ვითარება და სასარგებლო ცვლილებები ხდება თანამეგობრობის ცხოვრებაში, რაშიაც დიდი წვლილი მიუძღვის დიდ ბრიტანეთს. ბრიტანეთმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ახალ პოლიტიკურ სისტემას, სამრეწველო გადატრიალებასა და საბაზრო ეკონომიკას. გადაიქცა რა XIX საუკუნის უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნად, იგი გახდა სამაგალითო სახელმწიფო

სხვა ქვეყნებისათვის. თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ძალიან ბევრი ნიშნები, როგორიცაა: საპარლამენტო მმართველობა, ორპარტიულობა, ადგილობრივი თვით-მმართველობა და სხვა თავისი კლასიკური ფორმით სწორედ ინგლისიდან განვითარდა. დიდმა ბრიტანეთმა უდიდესი გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. წიგნში აისახა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ყველაზე თვალსაჩინო მოვლენები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შედარებულია სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

ცხადია, ავტორი კარგად ამჩნევს ამ წიგნის ნაკლოვანებებს, რომელთა დაძლევა სამწუხაროდ ვერ შევძელით საჭირო მონაცემების უქონლობის გამო. ამასთან, მივესალმები და გავითვალისწინებ ყველა სამართლიან შენიშვნას და სურვილს, რომელიც მიმართული იქნება წიგნის შინაარსის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გამოვხატავ ღრმა პატივისცემასა და უდიდეს მადლიერებას ყველა მათ მიმართ, ვინც გვერდში დამიდგა და ფასდაუდებელი დახმარება გამიწია წიგნის გამოცემაში.

ვფიქრობ ამ წიგნის გამოსვლით სტუდენტებისა და ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდება დიდი ბრიტანეთის გეოგრაფიის, დემოგრაფიის, ეკონომიკისა და სახელმწიფო წყობილების ამსახველი მასალები.

თავი I

დიდი ბრიტანეთის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და რესურსები

1. დიდი ბრიტანეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები და შემადგენლობა

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო (შემოკლებით დიდი ბრიტანეთი) მდებარეობს ევროპის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთით. მას უკავია ევროპის უდიდესი კუნძული დიდი ბრიტანეთი და კუნძულ ირლანდიის ჩრდილო - აღმოსავლეთი ნაწილი, აგრეთვე პატარა კუნძულები ჩრდილოეთის ზღვაში, ატლანტიკის ოკეანესა და ირლანდიის ზღვაში. ამ კუნძულებიდან აღსანიშნავია ჰებრიდის, ორკნეის, შეთლანდის, ნორმანდიის კუნძულები, კუნძული ენგლსი, უაითი და მენი. აქედან კუნძული მენი და ნორმანდიის კუნძულები დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენენ და მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მონარქს ემორჩილებიან. აღსანიშნავია, ისიც, რომ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ლონდონის მახლობლად გადის ნულოვანი მერიდიანი და ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარეობს.

დიდ ბრიტანეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება ატლანტიკის ოკეანე, აღმოსავლეთით - ჩრდილოეთის ზღვა, დასავლეთით - ატლანტიკის ოკეანე და ირლანდიის ზღვა. სამხრეთით დიდი ბრიტანეთი საფრანგეთისაგან გამოყოფილია ლა-მანშისა და პა-დე-კალეს სრუტეებით. ქვეყნის სანაპირო ხაზი ძლიერ დანა-წევრებულია, შეჭრილ-შემოჭრილია უბეებით. ძალიან ბევრია ყურეები. ზოგიერთი ყურე მდინარეების შესართავებთან ესტუარის

ტიპისაა. ზღვებისათვის, რომლებიც ბრიტანეთის კუნძულს ეკვრიან დამახასიათებელია ძლიერი მოქცევები, რითაც მდინარეთა შესართავები იწმინდება ჩამოტანილი შლამებისაგან. ამის გამო წყალი ღრმაა და დიდი გემებისათვის აღვილად მისადგომია. აღსანიშნავია ისიც, რომ ძლიერი მოქცევები მაღლა წევს წყლის ღონეს ნაპირებზე და მდინარეებშიაც. დიდი ბრიტანეთის ერთადერთი სახმელეთო მეზობელია ირლანდიის რესპუბლიკა. 1993 წლამდე დიდი ბრიტანეთი ევროპის დიდ ხმელეთს მხოლოდ საზღვაო, აგრეთვე საპაერო გზებით უკავშირდებოდა. ტვირთისა და მგზავრების გადაზიდვა ლა-მანშზე ორი მთავარი ბორანის მეშვეობით ხორციელდებოდა. 1993 წელს დამთავრდა ლა-მანშის ქვეშ სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა.

გვირაბი ლა-მანშზე. წყლისქვეშა გვირაბის იდეა რომელიც დიდ ბრიტანეთს სახმელეთო გზით დიდ ხმელეთთან (საფრანგეთიდან) დააკავშირებდა, წარსულშიაც არსებობდა. შედგენილი იყო სათანადო პროექტებიც, მაგრამ ისინი სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებოდა და ვერცერთი ვერ განხორციელდა. ბევრი ინგლისელი მიიჩნევდა, რომ გვირაბის გაყვანით ბრიტანეთი დაკარგავდა კუნძულის მნიშვნელობას და გაუარესდებოდა მისი სამხედრო სტრატეგიული მდგომარეობა. მაგრამ XXს. 70- იანი წლებიდან გვირაბის მშენებლობის იდეა პოპულარული გახდა. ამასთან განიხილებოდა არა მარტო გვირაბის, არამედ დაკიდული ხიდის ვარიანტიც. 1974წ. საფრანგეთი ცდილობდა გვირაბის მშენებლობის დაწყებას, მაგრამ ბრიტანეთმა თავი შეიკავა დიდი სიძვირისა გამო. გვირაბის მშენებლობას საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი მხოლოდ 1985 წ. შეთანხმდნენ. ორი წლის შემდეგ დაიწყო მშენელობაც. პროექტის მიხედვით ლა-მანშზე დაწყობილ იქნა 7,6 მეტრი დიამეტრის ორი პარალელური მილი. მათ შორის შუაში 4,7 მეტი დიამეტრის მილი მომსახურებისათვის. ეს შუათანა მილი ყოველ 250 მეტრზე ურთიერთგადამკვეთი მილებით უერთდება გვერდით მილებს. გვირაბის საერთო სიგრძე 50 კმ-ია. მათ შორის 37 კმ წყლის ქვეშ გადის. მშენებლობა

ძირითადად დამთავრდა 1993წ. მაგრამ მისი საზეიმო გახსნა მოხდა 1994წ. მაისში და დაიწყო მატარებლების რეგულარული მიმოსვლა. გვირაბში მოძრაობენ შორეული ელექტრომატარებლებიც, მათ შორის მატარებლები ლონდონსა და პარიზს შორის. მატარებლებს აქვს სპეციალური პლატფორმები მსუბუქი ავტომანქანებისა და ავტობუსების გადასაზიდად. მატარებელი ლონდონსა და პარიზს შორის მანძილს 3 საათში, ხოლო გვირაბის გადასარბენს 30-35 წუთში ფარავს. ყოველ საათში გვირაბი თვითეული მიმართულებით 20 მატარებელს ატარებს. გვირაბის მეშვეობით წელიწადში საშუალოდ გადაყავთ 85 მილიონი მგზავრი და გააქვთ 20 მლნ ტონაზე მეტი ტვირთი. ლა- მანშის ქვეშ სარკინიგზო გვირაბის გაყვანამ ხელი შეუწყო დიდი ბრიტანეთისა და ევროპის სახელმწიფოების დაახლოებასა და ინტეგრაციას.

დიდი ბრიტანეთი იყოფა ოთხ ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქად. ესენია: ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთი ირლანდია (ოლსტერი). ინგლისს უკავია დიდი ბრიტანეთის კუნძულის შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ასევე რამოდენიმე პატარა კუნძული. მისი ფართობია 130,4 ათასი კვ. კმ. შოტლანდიას უკავია კუნძულ დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი გარშემო მდებარე კუნძულები. შოტლანდიის მთელი ფართობი 77,1 ათასი კვ.კმ-ია. უელსი მდებარეობს კუნძულ დიდი ბრიტანეთის დასავლეთ მხარეში. მას მიეკუთვნება აგრეთვე კუნძული ანგლისი. მისი ფართობია 20,8 ათასი კვ.კმ. ჩრდილოეთ ირლანდიას (ოლსტერს) უკავია ირლანდიის კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. მისი ფართობია 14,1 ათასი კვ.კმ. დიდი ბრიტანეთის ტერიტორიის მთელი ფართობი შეადგენს 242,5 ათას კვადრატულ კილომეტრს. ტერიტორიის სიდიდის მიხედვით დიდი ბრიტანეთი ევროპაში მე-11 ადგილზეა, ხოლო მსოფლიოში 75-ე ადგილზე იმყოფება.

2. დიდი ბრიტანეთის რელიეფი

დიდი ბრიტანეთის რელიეფი მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ მთლიანად დიდი ბრიტანეთი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: ამაღლებული ჩრდილოეთი და დასავლეთი და დადაბლებული სამხრეთი და აღმოსავლეთი. კუნძულის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარეობენ უფრო მეტად მერიდიანული მიმართულების მქონე მთები და მაღლობები, ხოლო სამხრეთით და აღმოსავლეთით-დაბლობები მოვაკებული ბორცვებითა და გორაკებით.

კუნძულ დიდი ბრიტანეთის ყველაზე მაღალი აღგილია ჩრდილოეთი, სადაც მდებარეობს ჩრდილოეთ შოტლანდიის მთიანეთი, რომელსაც ჰაილენდს უწოდებენ. აქ არის ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი ბენ-ნევისი (სიმაღლე 1343მ). თავის მხრივ, ჩრდილოეთ შოტლანდიის მთიანეთი დანაწევრებულია ცალკეულ ქედებად და ზეგნებად, რომლებიც ერთი მეორისაგან გამოყოფილია მდინარეთა ვიწრო და ღრმა ხეობებით. მთები აღმოსავლეთით და სამხრეთით დამრეცავად დაბლდება და აღმოსავლეთით შოტლანდიის ზღვისპირა დაბლობში, ხოლო სამხრეთით შუა შოტლანდის დაბლობში გადის. შუა შოტლანდიის დაბლობს ლოულენდს უწოდებენ. იგი შოტლანდიის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, სადაც ცხოვრობს შოტლანდიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და თავმოყრილია უდიდესი ქალაქები. სამხრეთით შუა შოტლანდიის დაბლობი თანდათანობით მაღლდება და სათავეს იღებს სამხრეთ შოტლანდიის მაღლობი. იგი თავის მხრივ ცალკეული მასივებისაგან შედგება. მათი სიმაღლე 850 მეტრს არ აღემატება. შოტლანდიის მაღლობის ზედაპირის დიდი ნაწილი მოვაკებულია. ამასთან, მისი სიმაღლე აღმოსავლეთით და დასავლეთით თანდათანობით დაბლდება და სანაპირო დაბლობებში გადადის. სამხრეთ შოტლანდიის მაღლობის სამხრეთით იწყება ჩევიოტის ბორცვებიანი მაღლობი, რომელიც მას პენინის მთებთან აკავშირებს.

✓ პენინის ტალღოვანი მთები, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართება, ცნობილია, როგორც კუნძულის ხერხემალი, ინგლისის მთავარი მთა-გრეხილი. პენინის მთები, ერთის მხრივ, განივი ხეობებით 4 მასივად იყოფა. პენინის დასავლეთით მდებარეობს კამბერლენდის მთები. რომელიც რამდენიმე მთისაგან შედგება. მათ შორის ყველაზე მაღალია მთა სკოფელი(სიმაღლე 978მ). ✓

✓ მთები დაფარულია მყინვარული რელიეფით. კამბერლენდის მთები ცნობილია, როგორც ტბათა მხარე. კამბერლენდის მთები სამხრეთით დაბლდება და სათავეს იღებს ლანკაშირისა და ჩეშირის დაბლობები, ხოლო აღმოსავლეთით იორკშირის დაბლობი. შუა ინგლისი მოვაკებული პლატოა და ცნობილია მიდლენდის სახელწოდებით. სამხრეთ ინგლისი საკმაოდ დანაწევრებული რელიეფით გამოირჩევა. ხოლო აღმოსავლეთი ინგლისი ბრიტანეთის კუნძულზე ყველაზე დაბალი ტერიტორიაა, თუმცა აქაც არის ამაღლებული ადგილები და ბორცვებიც. ✓

დიდი ბრიტანეთის კუნძულის სამხრეთ-დასავლეთი მხარე, უელსის ტერიტორია მთაგორიანია. აქ ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია კემბრიის მთებს, მათ შორის არის მოკავებული ზეგნები და დაბლობები. ყველაზე მაღალი მთაა სნოუდი (1085). მთები უელსის ჩრდილო-დასავლეთით დაბლდება და სანაპირო დაბლობებში გადადის. სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ხესეფორდის დაბლობი. მთებში ჭარბობს ვერანი ცარიელი და ველური საძოვრები.

ჩრდილოეთი ირლანდია დანაწევრებული რელიეფით გამოირჩევა. აქაც ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებსა და მაღლობებს უკავია. გეოლოგიური თვალსაზრისით ისინი შოტლანდიის მთებს ენათესავებიან. ოლსტერის მხოლოდ ცენტრალური ნაწილი და აღმოსავლეთი სანაპირო ზოლი უკავია მოვაკებულ მაღლობებსა და დაბლობებს.

3. დიდი ბრიტანეთის ჰავა და ამინდი

დიდი ბრიტანეთის კუნძულები ატლანტიკის ოკეანიდან მონადენი თბილი დინებისა და ნოტიო ჰაერის გავლენას განიცდის. ამიტომ ბრიტანეთის ჰავა ოკეანური ტიპისაა, რბილი, წვიმიანი ზამთრითა და გრილი ზაფხულით. დასავლეთის ქარებს კუნძულებზე მთელი წლის განმავლობაში მოაქვს ბევრი ტენი, რომელიც უმთავრესად წვიმის სახით მოდის.

დიდი ბრიტანეთის ჰავის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია:

1. ატლანტიკის ოკეანიდან შემოსული თბილი დინების-გოლფსტრიმის გავლენა. მაგრამ თბილ წყალზე მეტ გავლენას თბილი ქარები ახდენენ, რომლებიც დასავლეთიდან ქრიან. თუმცა, გარდა დასავლეთის ქარებისა, ბრიტანეთის კუნძულები სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქარების გავლენასაც განიცდიან. ამიტომ თბილი დინებისა და ქარების გავლენის სიძლიერის მიხედვით დიდი ბრიტანეთის კუნძულები შეიძლება 4 კლიმატურ სექტორად დაიყოს: სამხრეთ-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი.

2. კუნძული დიდი ბრიტანეთის კონფიგურაციის და ყურეების შეჭრის გამო მისი არც ერთი წერტილი ზღვიდან შორს არაა. ამის გამო საოკეანო დინებები მის მთელ ტერიტორიაზე აღწევს. მაგრამ ჰავის განსხვავებას იწვევს მთებისა და ხეობების განლაგება ჰაერის ნაკადების მიმართ. ამ მხრივ საგანგებო განლაგება აქვს ინგლისის მთავარ მთაგრეხილს პენინის მთებს, რომელიც წინ ეღობება დასავლეთიდან მონაბერ თბილ ქარებს, რომლებსაც მოაქვთ ნალექები. ამის გამო ნალექები კუნძულის აღმოსავლეთით ნაკლებია. მთავარი მთაგრეხილი, რომ არ იყოს მთელი კუნძულის ჰავა ერთნაირი იქნებოდა, ისე როგორც ეს არის კუნძულ ირლანდიაზე. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის ჰავაზე გავლენას ახდენენ ჩრდილოეთის ცივი ქარებიც. ცივი ქარების სამხრეთის თბილ ჰაერთან არევით

წარმოიშობა ციკლონები, რომლებიც იწვევენ ამინდის ცვალებადობას.

ბრიტანეთის კუნძულებისათვის დამახასიათებელია დიდი ღრუბლიანობა და ნალექები. განსაკუთრებით ნალექიანია ქვეყნის დასავლეთი ნაწილი, სადაც საშუალოდ წელიწადში მოდის 2000-დან 3000 მმ ნალექი. შედარებით მშრალია აღმოსავლეთი ინგლისი, სადაც წლიურად 800 მმ ნალექი მოდის. ნალექების უდიდესი ნაწილი ზამთარში მოდის. ყველაზე მშრალი დროა გაზაფხული(მაისი)

დიდი ბრიტანეთის ჰავისათვის დამახასიათებელია სქელი ნისლი, უფრო მეტად შემოდგომასა და ზამთარში. განსაკუთრებით სქელი ნისლი იცის ქალაქებში, სადაც ჰაერში ბევრი მტვერი და ბოლია. ამ მხრივ ცნობილია ლონდონის ნისლი-სმოგი, რომელიც იქმნება წყლის ნაწილაკებისა და ჭვარტლის არევის შედეგად. სმოგის დროს ძნელდება არა მარტო ხედვა, არამედ სუნთქვაც. მაგრამ ამ ბოლო პერიოდში სმოგი იშვიათი მოვლენა გახდა, რადგან ბრიტანეთში უმთავრესად უჭვარტლო საწვავი გამოიყენება.

ზამთარი დიდ ბრიტანეთში რბილი და თბილია. იანვრის საშუალო ტემპერატურა პლუსია. ყველაზე თბილი მხარეა სამხრეთ-დასავლეთი. შედარებით ცივია ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილი. თოვლის საფარი დამოკიდებულია რელიეფზე. დაბლობებში თოვლი იშვიათად მოდის და თუ მოვიდა ჩქარა დნება. მდინარეები ზამთარში იშვიათად იყინება.

ზაფხული ჩვეულებრივად გრილია. ყველაზე თბილი თვისივლისის საშუალო ტემპერატურა 15 გრადუსს, ხოლო სამხრეთით 16-17 გრადუსს აღწევს. ზაფხულის ცალკეულ დღეებში ჰაერის ტემპერატურამ შეიძლება 25-29 გრადუს მიაღწიოს. ყველაზე გრილი მხარეა შოტლანდიის ჩრდილოეთი.

დიდ ბრიტანეთის ჰავისათვის დამახასიათებელია ამინდის ხშირი ცვალებადობა და არამყარი ამინდი, რასაც იწვევს ქარების ფრონტალური და ციკლონური მოქმედებები. ჩრდილოეთის ცივი და დასავლეთისა და სამხრეთის თბილი ქარების შეჯახების შედეგად წარმოიქმნება ციკლონები, რომლებიც იწვევენ ამინდის

ცვალებადობას. ამინდი აქ დღეში შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს. საერთოდ კი ბრიტანეთში ამინდის პროგნოზირება მეტად ძნელია.

დიდ ბრიტანეთში არსებობს შეხედულება, რომ ბოლო პერიოდში კლიმატი იცვლება. ზამთარი არ არის ისე მკაცრი, როგორც ადრე იყო. თუ ადრე მდ. თემზა იყინებოდა, ბოლო პერიოდში იგი არ გაყინულა. ასევე კლიმატში იგრძნობა გარკვეული პერიოდულობა და წლების მიხედვით იცვლება ცხიანი და ცივი დღეების რაოდენობა.

4. დიდი ბრიტანეთის შიგა წყლები და წყლის რესურსები

დიდი ბრიტანეთი წყლის რესურსებით მდიდარია. ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირის მიხედვით მას ევროპაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა, როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა წყლები. წყლის რესურსების სიუხვე განპირობებულია ნალექების დიდი რაოდენობით. მდინარეები მართალია მოკლეა, მაგრამ ღრმა და წყალუხვია. მდინარეები ძირითადად წვიმით იკვებებიან, წყალდიდობა შემოდგომითა და ზამთარში ხდება. მდინარეები იშვიათად იყინება.

ქვეყნის ყველაზე გრძელი და წყალუხვი მდინარეა სეევერნი (სიგრძე 338კმ); რომელიც სათავეს ღებულობს კუმბრიის მთებიდან და ჩაედინება ბრისტოლის ყურეში. მდინარე სანაოსნოა. სიგრძითა და წყალუხვობით მეორეა თემზა (334კმ). იგი სათავეს ღებულობს კოტსუოლდის მაღლობზე და ჩაედინება ჩრდილოეთის ზღვაში. მდინარე სანაოსნოა. ამ მდინარის ორივე ნაპირზე გაშენებულია ქ. ლონდონი, რომელიც ზღვიდან დაშორებულია 64კმ-ით. მიუხედავად ამისა, თემზა ისე განიერი და ღრმაა, რომ მასში მოძრაობენ საოკეანო გემებიც. ამასთან თემზა სანაოსნო არხებით დაკავშირებულია ირლანდიის ზღვასთანაც.

მდინარეთა ხშირი ქსელით განსაკუთრებით გამოირჩევა შოტლანდია, რომლის უდიდესი მდინარეებია: კლაიდი, ფორთი, ტეი, კენი დონი და სხვა. ინგლისის ტერიტორიაზე გარდა სევერნი და თემზისა შედარებით დიდი მდინარეებია: იდენი, ტისი, უზი, უიტემი, ტრენტი. სამხრეთით ლა-მანშში ჩაედინება ტეიმარი, დონი, ფრუმი. უელსის მთავარი მდინარეებია: სევერნი, დი, ტაივი, ტოი და უაი. ჩრდილოეთ ირლანდიის უდიდესი მდინარეა ბანი, რომელიც სათავეს ღებულობს ლოხ-ნეის ტბიდან. საერთოდ ბრიტანეთში ბევრ მდინარეს ერთნაირი სახელწოდება აქვს: არის ორი უზი, სამი - დონი, ოთხი-დი და ა.შ.

დიდი ბრიტანეთი მდიდარია აგრეთვე ტბებით. ძირითადად ჭარბობს მყინვარული წარმოშობის ტბები. ტბების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა შოტლანდია და ჩრდილო-დასავლეთი ინგლისი. ყველაზე დიდი ტბებია: ლოხ-ნეი (ჩრდილოეთ ირლანდიაში), ლოხ-ლომონდი, ლოხ-ნესი (შოტლანდიაში). კემბრის მთებში შემორჩენილია გამჭირვალე ტბები. მას ტბათა მხარეს უწოდებენ. ბრიტანეთში ასევე ბევრია ხელოვნური წყალსაცავები და არხები, რომლებთაც მდინარეები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან.

აღსანიშნავია, რომ შიგა წყლებს დიდი ბრიტანეთში მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ისინი გამოიყენება სანაოსნოდ, ქალაქებსა და სოფლების წყალ-მომარაგებისათვის, თევზისა და წყლის ფრინველების მოსაშენებლად, ელექტროენერგიის საწარმოებლად, სპორტული-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ადგილების მოსაწყობად, მელიორაციისათვის და ა.შ.

5. დიდი ბრიტანეთის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ნიადაგები, მიწის გამოყენება

დიდი ბრიტანეთის მცენარეთა სამყარო მრავალფეროვანია. ქვეყანაში გავრცელებულია, როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილ მცენარეთა სახეობები. ეს უკანასკნელი გაშენებულია ტყე-პარკებსა და ბაღებში.

ადრე, ბრიტანეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყით იყო დაფარული. მაგრამ მოსახლეობის ზრდისა და ურბანიზაციის შედეგად ტყეები გაიკაფა. დღეისათვის ტყეები შემორჩენილია უმთავრესად მთის ფერდობებზე და მდინარეთა ხეობებში. ამ მხრივ აღსანიშნავია შერვუდის ტყე, სადაც შუა საუკუნეებში თავს აფარებდა რობინ ჰუდი. ამჟამად ტყეებს ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 10% უკავია. შედარებით ტყიანია შოტლანდია, სადაც ეს მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს. მცენარეთა სახეობებიდან უფრო გავრცელებულია ფოთლოვანები: მუხა, წიფელა, რცხილა, ვერხვი, ნეკერჩხალი. სამხრეთ შოტლანდიასა და ტბათა მხარეში ჭარბობს წიწვოვანი და შერეული ტყეები: მუხნარ-ნაძვნარ-ფიჭვოვანი ტყეები. უფრო ზედა ზონაში წიწვოვანი ტყეები, უფრო მეტად ფიჭვისა და არყის ხეების სახეობებით. მაღალი მთები დაფარულია მანანის ბუჩქებითა და მდელოებით. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში წიწვოვან ტყეთა გავრცელების საზღვარი 500მ იწყება. ეს სიმაღლე დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით, რაც ძირითადად ნალექების დიდი რაოდენობით აიხსნება.

დიდი ბრიტანეთის ტყეებში ადრე ბლომად იყო ცხოველებიც. მაგრამ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ცხოველთა სამყარო. განადგურდა და გადაშენდა დიდი მტაცებელი ცხოველები: დათვი, მგელი, გარეული ღორი და სხვა. დღეისათვის შემორჩა: მელა, მაჩვი, ირემი, გარეული თხა, კურდღელი, ზღარბი. ფრინველთაგან: ტყის მტრედი, კაკაბი, სოლო. მდინარეებსა და ტბებში ბლომადაა თევზები. ზღვებიდან მდინარეებში შემოდიან სელაპებიც. ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა მცენარეთა და ცხოველთა დაცვას. ამ მიზნით შექმნილია ნაკრძალები, სადაც წარმოებს ცხოველთა მომრავლება. აკრძალულია ნადირობაც და ა.შ.

დიდი ბრიტანეთი ნიადაგის მრავალი სახეობით გამოირჩევა. სხვადასხვა მხარეში (მთა, ბარი, აღმოსავლეთი, დასავლეთი) ნიადაგი განსხვავებულია. მაგრამ დაბლობებში ნიადაგის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ჭაობის-

ტორფიანი და ჭაობის-ლამიანი ნიადაგები. დაბლობების მოსაზღვრე გორაკებსა და ბორცვიან ზონებში ჭარბობს ეწერი და ეწერ-ლებიანი ნიადაგები. მთებსა და მაღლობებში უფრო გავრცელებულია ყომრალი ნიადაგები, რომელთა შორის გვხვდება აგრეთვე ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებიც. ქვეყნის მაღალ მთიან ნაწილში ჭარბობს მთა-მდელოს ზონის ნიადაგები. მდინარეთა ჭალები დაფარულია ალუვიური ნიადაგებით, რომელთა შემადგენლობა დამოკიდებულია იმ ქანებზე, რომელიც მდინარემ გადარეცხა და ჭალებში მოფინა.

საერთოდ, დიდი ბრიტანეთის ნიადაგები ბუნებრივი თვალსაზრისით უფრო მეტად დაბალნაყოფიერია, მაგრამ ადამიანთა მზრუნველობის შედეგად იგი დიდ მოსავალს იძლევა.

მოსახლეობის ზრდის შედეგად ბრიტანეთში ყველა ფუტი მიწა ათვისებულია და მას პატრონი ყავს. მიწის ფასიც მაღალია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მიწის გამოყენების გაუმჯობესებას. ამ მიზნით ჯერ კიდევ XXს. 30-იან წლებში ჩატარდა მიწის აღწერა, შედგენილ იქნა მიწის კადასტრები. დიდი ღონისძიებები ტარდება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და მოსავლიანობის ზრდისათვის.

6. დიდ ბრიტანეთის წიაღისეული სიმდიდრეები

✓ დიდი ბრიტანეთის კუნძულები მიწის წიაღისეულთა დიდი სიუხვით არ გამოირჩევა. მაგრამ ქვეყანა მდიდარია სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, განსაკუთრებით ქვანახშირის რესურსებით, რომლის მარაგი 190 მილიარდ ტონას აღე-მატება. ქვანახშირი მაღალკალორიულია, კოქსვადია და განლაგებულია მიწის ზედაპირთან ახლოს 360-800მ. სიღრმეში. ასევე ქვანახშირის აუზებს მეტად ხელსაყრელი მდებარეობა აქვთ. ისინი მდებარეობენ ზღვასთან და რკინის საბადოსთან ახლოს,

რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ექსპორტისათვის და აგრეთვე მეტალურგიის განვითარებისათვის.

ქვანახშირის მოპოვება ოცამდე საბადოდან წარმოებს, მაგრამ მოპოვებული ნახშირის ¾-ზე მეტი მოდის სამ აუზზე. ესენია: იორკშირის აუზი, რომელიც მდებარეობს პენინის მთების აღმოსავლეთით; ნორთუმ - ბერლენდ - დარემის აუზი პენინის მთების ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ უელსის აუზი.

დიდი ბრიტანეთი მდიდარია აგრეთვე ნავთობითა და გაზით, რომელთა მარაგი თავმოყრილია ჩრდილოეთის ზღვაში. მაგრამ ჩრდილოეთის ზღვის ნავთობ-გაზის შემცველი რაიონი მარტო ბრიტანეთს არ ეკუთვნის. მასზე პრეტენზიას აცხადებდნენ სხვა ქვეყნებიც. ამიტომ ჟენევის 1958 წ. კონვენციის საფუძველზე მოხდა ჩრდილოეთის ზღვის ფსკერის გაყოფა. ბრიტანეთს ერგო ნავთობ-გაზიანი ფსკერის 46 პროცენტი, ნორვეგიას-27, ჰოლანდიას-10, დანიას-9, გფრ-7, ბელგიასა და საფრანგეთს-0,5-0,5 პროცენტი. ამჟამად ნავთობის წლიური მოპოვება ბრიტანეთში 100 მილიონ ტონას აღემატება, რომლის გადამუშავება ადგილზე წარმოებს. მას ემატება შემოტანილი ნედლი ნავთობიც. გადამუშავების შემდეგ ნავთობ-პროდუქტების დიდი ნაწილი მიდის ექსპორტში, ხოლო გაზი კი ადგილზე მოიხმარება. ამ ბოლო წლებში გაზის მოპოვებამ 60-მილიარდ-კუბ-მეტრს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, ის რომ დიდ ბრიტანეთს გააჩნია საკუთარი რკინის მადანი, რომლის მარაგი 3,8 მილიარდ ტონას შეადგენს. მაგრამ რკინის მადანი დაბალი ხარისხისაა. მადანში რკინის შემცველობა 25-30% შეადგენს. რკინის მადნის მოპოვება ძირითადად აღმოსავლეთ მიდლენში წარმოებს. ბრიტანეთში მოიპოვება ფერადი ლითონებიც. ძირითადად კალა, რომლის მდიდარი საბადოებია კორნუოლის ნახევარკუნძულზე. აღსანიშნავია, რომ აქ კალას მოიპოვებდნენ ჩვენს წელთა აღრიცხვამდეც. მცირე რაოდენობით მოიპოვება ტყვია, თუთია, სპილენძი.

არამადნეული რესურსებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა სახის ქვამარილები და თიხა-მიწები, რომლებიც გამოიყენება სამთო-ქიმიურ მრეწველობაში და სხვაგან. აქედან ყველაზე

ძვირფასია კაოლინი-ფაიფურისათვის საჭირო თიხა, რომლიდანაც მიიღება უმაღლესი ხარისხის ფაიფური. მოპოვებული კაოლინის უდიდესი ნაწილი ექსპორტში მიდის.

დიდი ბრიტანეთი მდიდარია სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით. მათ შორისაა სხვადასხვა ფერის მარმარილო, გრანიტი, სხვადასხვა სახის კირქვა, ფიქლები, ქვა-ღირღი, ცემენტის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული და ა.შ.

დიდია ბუნებრივი რესურსების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. დიდი ბრიტანეთის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და არსებულმა ბუნებრივმა რესურსებმა უდიდესი როლი შეასრულეს მისი მაღალგანვითარებულ ქვეყნად გადაქცევაში.

7. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ბუნების დაცვა.

დიდი ბრიტანეთის რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, წიაღისეულ სიმდიდრეებთან ერთად შეადგენენ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ეკონომიკის განვითარებისათვის. მაგრამ ბუნებრივი რესურსები ყველა ქვეყანაში შეზღუდული რაოდენობითაა. აქედან გამომდინარეობს მათი რაციონალურად გამოყენების აუცილებლობა, რომელიც ითვალისწინებს ნაკლები რესურსების დახარჯვით მეტი სარგებლის მიღებას, თანაც ისე, რომ ბუნებამ შეინარჩუნოს კელავწარმოების უნარი. სხვა შემთხვევაში გარდაუვალია გარემოს გაჭუჭყიანება და ეკოლოგიური კრიზისი.

ბუნების დაცვა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ფაბრიკა-ქარხნებისა და სატრანსპორტო საშუალებათა სიმრავლე იწვევს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ზრდას, წყლისა და ნიადაგის გაჭუ-ჭყიანებას. სპეციალისტების გაანგარიშებით ფაბრიკა-ქარხნები ყოველ-

წლიურად ჰაერში უშვებენ 400 მლნ ტონამდე გამონაბოლქვს, რომელიც აჭუჭყიანებს არა მარტო ბრიტანეთს, არამედ მასთან ახლო მდებარე ქვეყნებსაც, განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებს, სადაც დასავლეთის ქარები ქრიან.

ბრიტანეთში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე წარმოიშვა "უკვამლო ზონის" შექმნის იდეა, რომელიც არ განხორციელებულა. მხოლოდ 1952 წლის ლონდონის ტრაგიკული სმოგის შემდეგ, რომელმაც 4700 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი გათბობაზე ნახშირის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება უშუალო კავშირშია გარემოს დაცვასთან. ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიების სრულყოფა და განვითარება, ე.წ. უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლა გარემოს დაცვის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. მოძველებული და არასრულყოფილი ტექნოლოგიების პირობებში დიდი რაოდენობით რჩება სხვადასხვა სახის ნარჩენები, რომლებიც ფარავენ და აჭუჭყიანებენ გარემოს. ამიტომ აუცილებელია პროდუქციის წარმოების ნარჩენების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნარჩენების მეორადი გადამუშავება. შეიძლება ითქვას რომ, დიდ ბრიტანეთში ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი უკვე მოწესრიგებულია. ნაგავსაყრელში შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ისეთი ნარჩენები, რომლებმაც თბური ან ბიოქიმიური გადამუშავება განიცადეს.

საინფორმაციო საშუალებებში ატეხილმა განგაშმა გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესახებ, ოზონის ხვრელის ზრდაზე, წყლისა და ნიადაგის გაბინძურებაზე, ავარიებზე ატომურ ელექტროსადგურებსა და ქიმიურ ქარხნებში და მათ მძიმე შედეგებზე, ბევრი სასიკეთო შედეგი გამოიღო. ეკოლოგიური საკითხისადმი ყურადღება სულ უფრო და უფრო გაიზარდა. "სმოგის" წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიამ საგრძნობლად გააუმჯობესა ქალაქების ჰაერი. თბოელექტროსადგურები და ქარხნები აღიჭურვა გამონაბოლქვის საწინააღმდეგო უახლესი დანადგარებით, რის

შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა გოგირდის ორჟანგის (SO_2) და აზოტის ჟანგის (NO) გამონაბოლქვი. აიკრძალა დაბალი ხარისხის საწვავის გამოყენება ავტომანქანებში და სახლების გათბობაზე. ევროკავშირის დონეზე გადაწყდა და აიკრძალა იმ ნივთიერებათა ნაერთების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ კლიმატური კატასტროფის მომტანი "თბური ეფექტის" გაძლიერებას და რომლებიც არღვევენ ატმოსფეროში ოზონის დამცველ ფენას.

ბოლო წლებში დიდ ბრიტანეთში შეიქმნა მრავალი ორგანიზაცია, რომელთა მიზანია ბუნების დაცვის პრობლემების მოგვარება. ბუნების დაცვის საკითხებზე მსჯელობენ პოლიტიკური პარტიებიც. ამ მიმართულებით აღსანიშნავია მწვანეთა პარტიის საქმიანობა. ქვეყანაში იზრდება ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების რაოდენობა. პარლამენტმა და მთავრობამ გამოსცა მრავალი კანონი, რომლებიც განსაკუთრებით ჰავის დაცვასა და ნარჩენების მოშორებას ეხება. ბევრ ქალაქში მწარმოებლები და სავაჭრო ორგანიზაციები უკან ღებულობენ მოხმარებისათვის უვარგის ტექნიკასა და საყოფაცხოვრებო საგნებს. იცვლება მოქალაქეთა დამოკიდებულება გარემოს დაცვაზე. ადამიანები ცდილობენ გარემოს შესანარჩუნებლად გამოასწორონ ცხოვრებისა და მოხმარების მოძველებული წესები და ჩვევები. მაგრამ, სპეციალისტების აზრით, გარემოს დაცვაზე დღემდე მიღებული ზომები საკმარისი არაა და აუცილებელია უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება.

თავი II
დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა

1. მოსახლეობის რაოდენობა და დინამიკა. ასაკობრივი და სქესობრივი შედგენილობა

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა და ტერიტორიული განლაგება დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ეს ცვლილებები განპირობებული იყო სხვადასხვა ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. ამ ფაქტორებიდან აღსანიშნავია: გარეშე მტრების შემოსევები, შინა ომები და აშლილობები, ეპიდემიები, მიგრაციული პროცესები და ა.შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, კაპიტალიზმამდე ბრიტანეთის კუნძულები მცირედ დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა და მოსახლეობის ზრდის ტემპიც საკმაოდ დაბალი იყო. მეცნიერთა გაანგარიშებით ბრიტანეთის კუნძულებზე ჩვენს წელთა აღრიცხვამდე დაახლოებით 100 ათასამდე კაცი ცხოვრობდა, ხოლო პირველი ათასწლეულის ბოლოსათვის მოსახლეობის რაოდენობა 1 მლნ. შეადგენდა. ამ დროისათვის მთელ დასავლეთ ევროპაში მხოლოდ 40 მილიონამდე კაცი ცხოვრობდა. 1500 წელს ბრიტანეთის მოსახლეობა 3 მილიონს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ბრიტანეთში იწყება მოსახლეობის აღწერები, რომლებსაც სამხედრო და საგადასახადო დანიშნულება ჰქონდა. მაგრამ ეს აღწერები, პრიმიტიულად ტარდებოდა და მთელ მოსახლეობას არ მოიცავდა. ამ აღწერების საფუძველზე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 1600 წ. ბრიტანეთში 5 მილიონამდე კაცი ცხოვრობდა, ხოლო 1700 წ. 5,7 მლნ კაცი.

აღსანიშნავია ისიც, რომ შუა საუკუნეებში ხშირი ეპიდემიებისა და ომების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა ცალკეულ წლებში არა თუ იზრდებოდა არამედ მცირდებოდა. მხოლოდ მე-16 საუკუნიდან იწყება მოსახლეობის შედარებით

სტაბილური ზრდა. მაგრამ მთლიანად შუა საუკუნეების დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის ზრდისა და შემცირების სიტუაციები ხშირად მეორდებოდა.

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ზრდის დაჩქარება დაიწყო XVIII საუკუნიდან, რაც დაკავშირებული იყო სამრეწველო რევოლუციასთან. ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაჩქარებამ, ეპიდემიისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებამ სიკვდილიანობის შემცირება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გადიდება გამოიწვია. თანაც ამ მიღწევებს თან ახლდა შობადობის მომატებაც. ამის გამო XVIII საუკუნეში მოსახლეობის რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა, მაგრამ მე-18 საუკუნეშიც მოსახლეობის ზუსტი დემოგრაფიული მონაცემები ჩვენთვის ცნობილი არ არის. მოსახლეობის უფრო სრულყოფილი აღწერები მხოლოდ მე-19 საუკუნიდან იწყება. დიდ ბრიტანეთში მოსახლების პირველი სრულყოფილი აღწერა ჩატარდა 1801 წელს. აღწერის მონაცემებით 1801 წელს ინგლისში და უელსში ცხოვრობდა 8,9 მლნ კაცი, ხოლო შოტლანდიაში 1,6 მილიონი კაცი. მე-19 საუკუნეში დიდი ბრიტანე-თის მოსახლეობა მოუხედავად დიდი ემიგრაციისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1901 წელს მან 38,2 მლნ კაცს მიაღწია. XIX ს. მეორე ნახევრიდან I მსოფლიო ომამდე ყოველწლიურად საშუალოდ 140 ათასამდე ბრიტანელი ემიგრაციაში მიდიოდა. თუმცა, მათი ნაწილი უკან ბრუნდებოდა. ემიგრაციას ძირითადად იწვევდა უმუშევრობა, გლეხთა და სხვა წვრილ მწარმოებელთა გაღატაკება. ამასთან, ემიგრაციას ხელს უწყობდა ოკეანის გაღმა ქვეყნებში თავისუფალი მიწების არსებობა და სამუშაო ძალაზე დიდი მოთხოვნილება. ბრიტანელ ემიგრანტთა ძირითადი ნაკადები მიემართებოდა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, აგრეთვე სამხრეთ აფრიკაში. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან პირველ მსოფლიო ომამდე ევროპიდან სხვა კონტინენტებში 50 მლნ-ზე მეტი კაცი გადასახლდა.

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (საშუალოდ ყოველ-წლიურად 1000 მცხოვრებზე)

	1801-1890წ.წ.	1891-1900წ.წ.	1901-1910წ.წ.
შობადობა	32,5	28,9	27,4
სიკვდილიანობა	19,2	18,2	15,7
ბუნებრივი ზრდა	13,3	10,7	11,7

როგორც ვხედავთ, შემცირდა როგორც შობადობა, ასევე სიკვდილიანობაც. მაგრამ ბუნებრივი ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალი დარჩა.

მე-20 საუკუნეში დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ზრდის ტემპი შენელდა. 1920-1929 წ.წ. 1000 მცხოვრებზე საშუალოდ შობადობა შეადგენდა 19,6. სიკვდილიანობა -12,5. ბუნებრივი მატება-7,1 კაცს: 1930-1939წ.წ. შესაბამისად -15,5 12,2 და 3,3 კაცს. მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში დემოგრაფიული სიტუაცია რამდენადმე გაუმჯობესდა. 1951-1960 წლებში შობადობა შეადგენდა -16,3, სიკვდილიანობა-11,6 და ბუნებრივი მატება-4,7 კაცს. მომდევნო წლებში შობადობა შემცირდა. 1990 წ. 1000 მცხოვრებზე შობადობა შეადგენდა 13,3, სიკვდილიანობა-11,8 და ბუნებრივი მატება-1,5 კაცს. მაგრამ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა. თუ 1901-1910 წ.წ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივო-ბა 50 წელს შეადგენდა 1981-1990 წ.წ. იგი 75 წლამდე გაიზარდა, მათ შორის კაცების 73, ქალებისა 77 წელი.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე და სიკვდილიანობაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის კეთილდღეობა, მედიცინის განვითარება და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. ხოლო შობადობაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ მოსახლეობის სტრუქტურა სქესისა და ასაკის მიხედვით, ქორწინების ასაკი, მეუღლეთა განათლებისა და

დასაქმების დონე, ეთნიკური და რელიგიური ფაქტორები. ყოველწლიურად დიდ ბრიტანეთში საშუალოდ 800 ათასამდე ბავშვი იბადება. მნიშვნელოვნად შემცირდა 1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა. ამჟამად იგი ყოველ ერთწლამდე ასაკის 1000 ბავშვიდან შეადგენს 9-ს. მოსახლეობის ყოველწრიული ზრდა საშუალოდ დაახლოებით 140 ათას შეადგენს.

მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა ბოლო წლებში რამდენადმე შეიცვალა. 1901 წ. მოსახლეობის დაახლოებით 33% 15 წელზე ახალ-გაზრდა იყო, 1960წ. ეს ციფრი 23,3%, ხოლო 1999წ. - 19,1%-მდე დაეცა. მკვეთრად გაიზარდა საპენსიო ასაკის (მამაკაცები-65, ქალები 60 წელი) მოსახლეობის ხვედრითი წილი. 1901 წელს ისინი მთელი მოსახლეობის 6 % შეადგენდნენ, 1999წ. კი მათი ხვედრითი წილი 15,7%-მდე გაიზარდა. აქედან 70-79 წლის მოხუცებზე მოდიოდა 7,5%, ხოლო 80 და მეტი ასაკის მოხუცებზე 3,2%.

როგორც ვხედავთ, ამჟამად ბრიტანეთში 15 წლამდე მოზარდები უფრო მეტია ვიდრე 60 წელზე მეტი წლის მოხუცები. მაგრამ შობადობისა და სიკვდი-ლიანობის კოეფიციენტების ხანგრძლივმა შემცირებამ ქვეყნის მოსახლეობა "დაბერებამდე" მიიყვანა. დიდ ბრიტანეთის მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდა სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მომუშავე და კმაყოფაზე მყოფი მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების შეფარდებაზე. როგორც ცნობილია, პროდუქციას მთელი მოსახლეობა მოიხმარს, მაგრამ მას აწარმოებს შრომისუნარიანი მოსახლეობა, უფრო სწორად მომუშავენი. რადგან შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (16-65წ) ერთი ნაწილი შეიძლება არ მუშაობდეს, ხილო საპენსიო ასაკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მუშაობს.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ბოლო წლებში შეიცვალა. მეორე მსოფლიო ომის გავლენით მამაკაცების ხვედრითი წილი 48 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ქალებისა- 52%-მდე გაიზარდა. დღეისათვის მამაკაცთა ხვედრითი წილი საშუალოდ 49%-მდე ამაღლდა. მაგრამ ყველა ასაკობრივ ჯგუფებში ასეთი თანაფარდობა არ არის. ახალშობილთა სქესობრივ შეფარდებაში

ჭარბობს ბიჭები. დაახლოებით 105 ბიჭი მოდის 100 გოგონაზე. ასეთი თანაფარდობა შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში იცვლება ქალების სასარგებლოდ: 105 ქალი მოდის ყოველ 100 მამაკაცზე. მაგრამ ქალების სიჭარბე ძირითადად ხნიერ ასაკობრივ ჯგუფებში შეინიშნება. ქალები მამაკაცებთან შედარებით საშუალოდ უფრო მეტ ხანს ცხოვრობენ, ხოლო 45 წელზე დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში მამაკაცებისა და ქალების რიცხვი დაახლოებით თანაბარია.

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია ქორწინებათა და განქორწინებათა რაოდენობა. დიდ ბრიტანეთში ქორწინებათა რაოდენობა ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენს 6,9-ს, ხოლო განქორწინებათა რაოდენობა - 3,1-ს. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ბრიტანელთა ოჯახები შედარებით არამდგრადია. პირველად დაქორწინებულთა საშუალო ასაკი მამაკაცებისათვის 26 წელია, ხოლო ქალებისათვის - 22წ.

ბრიტანელთა ოჯახების უმრავლესობას ერთი-ორი შვილი ჰყავთ, ხოლო ოჯახების დაახლოებით 25% უშვილოა. შედარებით მრავალშვილიანია კათოლიკური ოჯახები, აგრეთვე ფერადკანიანების ოჯახები.

ბოლო პერიოდში სახელმწიფოს ზემოქმედება დემოგრაფიულ პროცესებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. ქალები თვითეულ ბავშვზე ღებულობენ, როგორც ერთდროულ, ასევე ყოველთვიურ დახმარებას. მშობიარობაზე შემოღებულია 17 კვირიანი (11 კვირა ბავშვის დაბადებამდე, 6 კვირა დაბადების შემდეგ) შვებულება ხელფასის 100% ანაზღაურებით.

მოსახლეობის რაოდენობაზე დიდ გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები (ემიგრაცია და იმიგრაცია). ამჟამად ბრიტანეთში მოსახლეობის ემიგრაცია მეტია იმიგრაციაზე. ქვეყნიდან უფრო მეტი მიდის საზღვარგარეთ საცხოვრებლად, ვიდრე ჩამოდის. ემიგრანტები ძირითადად მიდიან ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში. საშუალოდ ყოველწლიურად დაახლოებით 200 ათასამდე ბრიტანელი ტოვებს დედა სამშობლოს და მიდის

უკეთესი ცხოვრების საძიებლად. თუმცა ბევრი მათგანი უკან ბრუნდება. ბოლო პერიოდში შეიცვალა ემიგრანტთა შემადგენლობაც. ადრე უფრო მეტად ემიგრაციაში მიდიოდნენ გაღატაკებული გლეხები და ხელოსნები, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტელიგენციის ემიგრაცია, რომლებსაც საზღვარგარეთ უფრო მეტს უხდიან. ამ პროცესს ბრიტანელებმ"ბრეინ დრეინ" (ტვინების გადინება) უწოდეს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ინტელიგენციის, არამედ სხვა ფენების ემიგრაციაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე და მოსახლეობის აღწარმოებაზე. ემიგრაციაში უფრო მეტად მიდიან ახალგაზრდები (20-30წლისა), რის შედეგადაც მცირდება მოსახლეობის ბუნებრივი ზრდაც.

დიდ ბრიტანეთში ჩამოდიან დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის ემიგრანტები, უფრო მეტად ბრიტანეთს ერთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან, აგრეთვე ირლანდიიდან და ევროპის ქვეყნებიდანაც. მაგრამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა იმიგრაცია. თუმცა, გაიზარდა ფარული იმიგრაცია. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში იზრდება არათეთრკანიანი იმიგრანტების რიცხვი, რომლებიც დიდ ქალაქებში სახლდებიან და ასრულებენ მძიმე ფიზიკურ და შედარებით დაბალხელფასიან სამუშაოს მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და ფაბრიკა-ქარხნებში. ბრიტანეთში იზრდება აგრეთვე სტუდენტი-ახალგაზრდობის იმიგრაციაც, რადგან ბრიტანეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლების მიღების სურვილი ძალიან დიდია. ამასთან, სტუდენტების ჩამოსვლაზე შეზღუდვებიც არ არის.

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ოლქების მიხედვით უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე შემდეგ სურათს იძლევა.

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის დინამიკა 1801-2001 წლებში

მილიონი კაცი

წლები	დიდი ბრიტანეთი	მათ შორის		
		ინგლისი, უელსი	შოტლანდია	ჩრდ. ირლანდია
1801	10,5	8,9	1,6	—
1821	15,5	12,0	2,1	1,4
1841	20,1	15,9	2,6	1,6
1851	22,2	17,9	2,9	1,4
1901	38,2	32,5	4,5	1,2
1921	44,0	37,9	4,9	1,2
1941	48,2	41,7	5,2	1,3
1961	52,7	46,1	5,2	1,4
1981	56,3	49,6	5,2	1,6
2001	59,3	52,3	5,3	1,7

მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპი შენელდა. ეს პროცესი სპეციალისტების პროგნოზით მომავალშიაც გაგრძელდება. ამასთან, საგულისხმოა ის, რომ შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მოსახლეობა უფრო დაბალი ტემპით იზრდება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, სოციოლოგი დ. ხატჩისონი) თვლის, რომ დიდ ბრიტანეთში მოსახლეობა ბევრია. მისი აზრით დიდ ბრიტანეთში მოსახლეობის რაოდენობა 40 მილიონის ფარგლებში უნდა იყოს.

საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური და დემოგრაფიული მაჩვენებელია საოჯახო მეურნეობათა რაოდენობა და შემადგენლობა. დიდ ბრიტანეთში ოჯახების რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვნად წინ უსწრებს მოსახლეობის გადიდებას. 1901-1999 წლებში საოჯახო მეურნეობათა რაოდენობა 2,6-ჯერ გაიზარდა, მაგრამ

მნიშვნელოვნად შემცირდა საოჯახო მეურნეობათა საშუალო სიდიდე. 1901 წ. საოჯახო მეურნეობათა საშუალო სიდიდე 4,5 პირს უდრიდა, 1951წ-3,04, ხოლო 1999წ. ეს მაჩვენებელი 2,7 პირამდე შემცირდა. ამავე წელს ბრიტანეთში 21,3 მლნ საოჯახო მეურნეობა ითვლებოდა. საოჯახო მეურნეობის საშუალო სიდიდეზე გავლენა იქონია ორმა მსოფლიო ომმა და ემიგრაციამ. ამჟამად საოჯახო მეურნეობათა ნახევარზე მეტი ერთი და ორი პირისაგან შედგება, ხოლო ხუთი და მეტი წევრიანი ოჯახების რაოდენობა 14% შეადგენს. სპეციალისტების გაანგარიშებით საოჯახო მეურნეობათა საშუალო სიდიდის შემცირება გამოიწვია შვილიანობის შემცირებამ და ოჯახების გაყოფამ.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა მოსახლეობის კელავწარმოების თანამედროვე რეჟიმი, შობადობისა და სიკვდილიანობის დაბალი დონე და მოსახლეობის ზრდის სტაბილური ტენდენცია.

2. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, urbanizacia.

დიდი ბრიტანეთი ევროპაში ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. საშუალოდ ერთ კვადრატულ კილომეტრზე დაახლოებით 242 კაცი ცხოვრობს. მაგრამ მოსახლეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უთანაბროდაა განაწილებული. ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქებიდან მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველაზე მაღალია ინგლისში-370 კაცი 1კვ.კმ-ზე. შემდეგ მოდის უელსი-140 კაცი, ჩრდილოეთ ირლანდია-115 კაციკვ.კმ-ზე და ბოლოს შოტლანდია, სადაც საშუალოდ 1კვ.კმ-ზე მხოლოდ 68 კაცი ცხოვრობს. საერთოდ კი დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოსახლეობა ძირითადად ქალაქებსა და ბარის ზონაშია თავმოყრილი, ხოლო მთიანი რაიონები ნაკლებად დასახლებულია, რადგან მთაგორიანი რელიეფი და მკაცრი ჰავა ხელსაყრელი არაა მეურნეობის განვითარებისათვის.

მაგალითად, ჰაილენდზე მოდის შოტლანდიის მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი, მაშინ როდესაც იქ ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 5 %. ხოლო შუა შოტლანდიის დაბლობში, რომლის ფართობია 11 ათასი კვ.კმ-ი (14%) ცხოვრობს შოტლანდიის მთელი მოსახლეობის 75 პროცენტი.

2001 წელს დიდი ბრიტანეთის მთელი მოსახლეობიდან საკუთრივ ინგლისში ცხოვრობდა 49,3 მლნ კაცი, შოტლანდიაში-5,3 მლნ, უელსში-3,0 მლნ, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიაში მოსახლეობის რაოდენობა 1,7 მლნ შეადგენდა.

ქვეყნის ეკონომიკურმა და კულტურულმა განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს მოსახლეობის განსახლებაში, ანუ მცხოვრებთა ტერიტორიულ განლაგებაში. ეს ხდებოდა მოსახლეობის ერთი ნაწილის საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის (მიგრაციის) და ბუნებრივი ზრდის შედეგად. ქალაქების ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებამ და უკეთესმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა ქალაქური ცხოვრების აღმავლობა გამოიწვიეს. ყოველივე ამის შედეგად ქალაქების მოსახლეობა XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ნახევარში განუხრელად იზრდებოდა. 1801 წ. ქალაქებში ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის დაახლოებით 21%, 1901 წლისათვის ეს მაჩვენებელი 62%-მდე, ხოლო 1970 წელს 80%-მდე გაიზარდა. 70-იან წლებში ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა. ბევრი სასოფლო დასახლება ქალაქად გადაკეთდა. ამის შედეგად ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი 90%-მდე ამღლდა. წარმოების და მოსახლეობის ქალაქებში კონცენტრაციას მოპყვა ქალაქი-კონგლომერატების ფორმირება, როგორიცაა: დიდი ლონდონი, დიდი ბირმინგემი, დიდი მანჩესტერი და ა.შ.

ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის ზრდა 1801-2001 წლებში (პროცენტობით)

1801წ.	1851წ.	1871წ.	1901წ.	1921წ.	1971წ.	2001წ.
21,0	25,5	37,8	63,8	77,2	80,0	89,9

მოსახლეობის დიდი რაოდენობით დიდ ქალაქებში თავმოყრამ წარმოშვა მთელი რიგი პრობლემები, როგორიცაა: სატრანსპორტო, ეკოლოგიური, სანიტარული, დასაქმების და ა.შ.

მოსახლეობის შინა მიგრაციის ძირითადი მიზეზებია: რეგიონების უთანაბრო განვითარება, უმუშევრობა, სამუშაოს ძებნა, უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრებისაკენ ლტოლვა, ოჯახური მდგომარეობა, განათლების მიღება, უკეთესი ეკოლოგიური პირობების ადგილებში გადასახლება. ასევე ადგილი აქვს პენსიონრების ქალაქებიდან სოფლებში გადასახლებას. მაღალ განვითარებულ და ორგანიზებულ რეგიონებთან ერთად დღემდე რჩება ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი რეგიონები: მთიანი შოტლანდია და მთიანი უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია, მთიანი სამხრეთ-დასავლეთი ინგლისი. ეს რეგიონები მოსახლეობის კლებას განიცდის. თუმცა, ბოლო წლებში ამ რეგიონებიდან მოსახლეობის წასვლა შემცირდა, რასაც ხელი შეუწყო ხელისუფლების სწორმა პოლიტიკამ. ამ რეგიონებში იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. განსაკუთრებით ეს შეეხება ჩრდილო-აღმოსავლეთ შოტლანდიას, სადაც ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარების შედეგად მოსახლეობის ემიგრაცია შეჩერდა. მაგრამ მოსახლეობის ემიგრაცია დღემდე გრძელდება ინგლისის და უელსის დეპრესირებული სამრეწველო რაიონებიდან.

მეორეს მხრივ, დიდ ქალაქებში მოსახლეობის ზრდის შეჩერდვის მიზნით შენდება ახალი პატარა ქალაქები. ეს ღონისძიება მიმართულია მრეწველობისა და მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიების განტვირთვისათვის. სწორმა რეგიონალურმა პოლიტიკამ დადებითი როლი შეასრულა. დიდ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაციის პროცესი შეჩერდა. უფრო მეტიც. ხდებოდა მოსახლეობის დიდი ქალაქებიდან გარეუბნებში, პატარა ქალაქებსა და სოფლებში გადასახლების პროცესი. ე.წ. სუფთა ჰაერზე ლტოლვის პროცესი.

დიდი ბრიტანეთის საქალაქო დასახლების ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს იერის კონურბაციებში. მაგალითად გლაზგოს კონურბაციაში ცხოვრობს შოტლანდიის მთელი მოსახლეობის ერთიმესამედი. ინგლისის 6 კონურბაციაში ცხოვრობს 16,5 მილიონი კაცი, ინგლისის მოსახლეობის ერთიმესამედზე მეტი. აქედან ყველაზე დიდია ლონდონი რომლის საზღვრები 60-იან წლებში გაფართოვდა. ამჟამად იგი შედგება სიტისა და 32 საქალაქო რაიონისაგან. ბოლო წლებში ლონდონის მოსახლეობის ნაწილი გარეუბნებში გადასახლდა და მოსახლეობის რაოდენობაც შემცირდა.

დიდი ბრიტანეთის ქალაქების უმრავლესობამ გაიარა თავისი ისტორიული განვითარების ხანგრძლივი გზა. ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან თავიანთი ფუნქციების, დაგეგმარების, განაშენიანებისა და გარეგნული იერის მიხედვით. მათთვის დამახასიათებელია საქალაქო ცხოვრების მაღალი დონე, ძველი ტრადიციები, მათი დიდი გავლენა გარეუბანზე და მიმდებარე სოფლებზე. ამასთან, ყველა ქალაქზე იგრძნობა ლონდონის დიდი გავლენა.

ბრიტანეთში ფაქტიურად ათვისებულია ქალაქების მთელი ტერიტორია. ფართოვდება ქალაქების აგლომერაციები, სამრეწველო მშენებლობები, აეროპორტები, ავტოსტრადები, გაზ-ნავთობსადენები იკავებენ სასოფლო-სამეურნეო მიწების მასივებს. მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

სოფლის მოსახლეობა ცხოვრობს სხვადასხვა დაგეგმარების დასახლებებში. დაბლობებში ჭარბობს ვარსკვლავური და პარალელური ქუჩური დაგეგმარების დასახლებები. დასავლეთით მაღლობებზე, სადაც უფრო მეტად განვითარებულია მეცხოველეობა, ჭარბობს ხუტორული და ცალკეული ფერმების პატარა დასახლებები. ბევრია ნახევარად სასოფლო ტიპის დასახლებები, სადაც ცხოვრობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთში თითქმის არ არსებობს ტიპიური სოფელი. აქაური სოფელი განსახლების ფორმით, კეთილმოწყობით, მოსახლეობის დასაქმებით დიდად არ განსხვავდება ქალაქისაგან. სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ქალაქების გარეუბნებში და განსაკუთრებით ლონდონის გარეუბნებში მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ქალაქებში მუშაობენ, რაც ამავე დროს ძალიან ზრდის მანქანების ნაკადს დილისა და საღამოს პიკის საათებში. ასევე, ლონდონის ირგვლივ მდებარე სოფლებში განლაგებულია დიდგვაროვანი არისტოკრატიის მწვანეში ჩაფლული სასახლეები. გარეუბნებში გადასახლება გრძელდება. მან ერთგვარად შეზღუდა ურბანიზაციის ზრდა, პირიქით შეიმჩნევა მისი დაკლებაც. მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილით.

3. მოსახლეობის დასაქმება, სოციალური და პროფესიული შედგენილობა

ქვეყნის მთელი მოსახლეობა სამი თაობისაგან შედგება: ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც სამუშაო ასაკისათვის არ მიუღწევიათ (16 წლამდე); სამუშაო ასაკის მოსახლეობა(16-65 წ.წ.) და ამ ასაკს გადაცილებული მოსახლეობა. სამუშაო ასაკის მოსახლეობას თუ გამოვაკლებთ ინვალიდებსა და ავადმყოფებს მივიღებთ შრომით რესურსებს, ანუ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას. ამ კატეგორიას უნდა მივაკუთნოთ აგრეთვე მოზარდები და საპენსიო ასაკის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ.

ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაზე გავლენას ახდენს ეკონომიკის განლაგება, მისი დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოთა ტერიტორიული განლაგება, სახელმწიფოს

სამეურნეო და დემოგრაფიული პოლიტიკა და ა.შ. ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად დიდ ბრიტანეთში იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე იცვლებოდა მომუშავეთა განაწილება ეკონომიკის დარგების მიხედვით.

აღსანიშნაკია, რომ დიდი ბრიტანეთი მსიფლიოს იმ ქვეყნების ჯგუფში შედის, სადაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი მაღალია, თანაც მას ზრდის ტენდენცია აქვს. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეოის ზრდა წინ უსწრებდა მოსახლეობის საერთო რაოდენობაის გადადებას. 1911 წ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 18,1 მილიონ კაცს (42,9%) შეადგენდა. 1999 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ 29,6 მლნ-ს მიაღწია, რაც მთელი მოსახლეობის 49,9 პროცენტს შეადგენს. 1911-1999 წ.წ. ბრიტანეთში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 63%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც მთელი მოსახლეობა მხოლოდ 40%-ით გადიდდა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ეკონომიკის ახალი დარგების განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალეს შრომითი რესურსების დასაქმების სტრუქტურა. თუ ადრე დიდი ბრიტანეთის შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილი მატერიალური წარმოების დარგებში იყო ჩაბმული, უკანასკნელ პერიოდში დასაქმებისა და ახალი სამუშაო ადგილების უფრო დიდი სფერო გახდა მომსახურების დარგები. 1950 წელს სოფლის მეურნეობაში (მეტყეობისა და მეთევზეობის ჩათვლით) ჩაბმული იყო მომუშავე მოსახლეობის 5,4 %, ხოლო მრეწველობაში (მშენებლობის ჩათვლით) –48%, 1999 წლისათვის შესაბამისი მაჩვენებლები 2 და 27 %-მდე შემცირდა. 1950 წელს მომსახურების დარგებში დასაქმებული იყო მომუშავეთა დაახლოებით 47%, 1999 წლისათვის ეს მაჩვენებელი 71%-მდე გაიზარდა. მაგრამ დასაქმებულთა გარდა შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უმუშევარია. თუმცა, ბოლო წელებში უმუშევართა საერთო რაოდენრბა შემცირდა. ამჟამად იგი დაახლოებით 8-9%-ის ფარგლებშია.

შრომისუნარიანი მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებიდან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უმუშევრები ყველაზე მეტია 25 წლამდე ახალგაზრდებში (16%) ასევე უმუშევრი ქალები გაცილებით მეტია უმუშევრ მამაკაცებზე.. უმუშევრობის შემცირების მიზნით მოქმედებაშია რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა. ერთ-ერთი სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს იმ ფირმათა წახალისებას, რომლებიც სამუშაოზე მიიღებენ 20 წლამდე უმუშევარ ახალგაზრდას. სამუშაოს მიმცემები წლის განმავლობაში ყოველკვირეულად მიიღებენ 15 გირვანქა სტერლინგის სუბსიდიას სამუშაოზე მიღებულ თითოეულ ახალგაზრდაზე. გარდა ამისა ხდება იმ უმუშევართა წახალისება, რომლებიც დაიწყებენ საკუთარ სამეწარმეო საქმიანობას. ასეთი მეწარმეები ერთი წლის განმავლობაში ყოველკვირეულად ღებულობენ 40 გირვანქა სტერლინგის დახმარებას. თუ უფროსი ასაკის მომუშავეები ვადაზე ადრე გავლენ პენსიაზე, ოფიციალური საპენსიო ასაკის მიღწევამდე, მიეცემათ დახმარება, მაგრამ იმ პირობით თუ დამქირავებელი გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილზე უმუშევარს აიყვანს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მომუშავე ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მომუშავე ქალები დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 37% აღწევს. ძირითადად დასაქმებულები არიან გათხოვილი ქალები,რაც ოჯახების ცუდი ეკონომიკური მდგომარეობითაა გამოწვეული. მნიშვნელოვნად შეიცვალა მომუშავე ქალების სამუშაო ადგილიც. თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალების უმრავლესობა დასაქმებული იყო ოჯახების მოსამსახურედ, შემდგომ წლებში ამ კატეგორიის ქალების რაოდენობა შემცირდა და ამჟამად იგი 10% აღწევს. ქალები ძირითადად დასაქმებულები არიან მომსახურების დარგებში, ხოლო მრეწველობიდან: საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის, კვებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის დარგებში. სოფლის მეურნეობაში ქალთა შრომა საკლებად გამოიყენება. ქალები სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მხოლოდ 14% შეადგენენ. საკმაოდ ბევრია ხელისუფლების უმაღლეს

ეშელონებში მომუშავე ქალები. მაგრამ ქალების დასაქმების ზრდამ მთელი რიგი სოციალური და დემოგრაფიული პროცესების გამწვავება გამოიწვია: შემცირდა შობადობა, გაიზარდა განქორწინებათა რაოდენობა და ა.შ.

უმუშევრებს სურთ სამუშაოდ სხვაგან წასვლა, მაგრამ მათ აკავებთ ოჯახი და ადგილობრივი კავშირურთიერთობები, აგრეთვე ისიც, რომ მათ ახალი სპეციალობებში კვალიფიკაცია არ გააჩნიათ.

სოციალური თვალსაზრისით დიდი ბრიტანეთის მთელი მოსახლეობა რამდენიმე ჯგუფად და ქვეჯგუფად იყოფა. ყველაზე გავრცელებულია დიდი ბრიტანეთის მთელი მოსახლეობის სამ დიდ ჯგუფად დაყოფა. პირველ ჯგუფს (ჯგუფი A) მიეკუთვნება მსხვილ საწარმოთა მესაკუთრეები, კომპანიებისა და მსხვილ ბანკების დირექტორები, სახელმწიფო აპარატის უმაღლესი მოსამსახურეები, ეკლესიის მამამთავრები, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები და ა.შ. მოსახლეობის ეს ჯგუფი ქმნის საზოგადოების "ელიტას." მათი ოჯახის წევრებთან ერთად ეს ჯგუფი შეადგენს მთელი მოსახლეობის 5%. მეორე ჯგუფს (ჯგუფი B) მიეკუთვნება საზოგადოების საშუალო ფენა: საშუალო და წვრილ საწარმოთა მესაკუთრეები და მაღალკვალიფიციური მუშაკები, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეები. ისინი თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად შეადგენენ მთელი მოსახლეობის 25%. მესამე ჯგუფს (ჯგუფი C) მიეკუთვნება მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფები, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 70%.

შემოსავლის წყაროს მიხედვით მოსახლეობას ყოფენ ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ყოველნაირი მესაკუთრეები, რომლებიც შემოსავალს ღებულობენ მოგების, რენტის, დივიდენტისა და პროცენტის სახით. ამ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე წვრილი მეწარმეები, რომლებიც ოჯახის წევრთა შრომას იყენებენ. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დაქირავებული შრომის მთელი არმია, დაწყებული დირექტორებიდან და დამთავრებული არაკვალიფიციური მუშებით. ამ ჯგუფში შედის დაქირავებული მუშაკები, რომლებიც ხელფასს ღებულობენ. დაქირავებულ

მუშაკებზე მოდის მომუშავეთა 92 %, მეწარმეებზე-3%, ინდმეურნეობებზე-5%.

მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის დიდ ბრიტანეთში დასაქმებულთა პროფესიული სტრუქტურაც. მასზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. განუხრელად იზრდება წამყვანი პროფესიების სპეციალისტთა რაოდენობა: მენეჯერები, ინჟინრები, ბუღალტრები, მეცნიერები, მომსახურების სფეროს მაღალკვალიფიკაციური მუშაკები. მცირდება სოფლის მეურნეობის მუშაკები, ასევე მეშახტეების, მეტალურგების, მქსოველების, მშენებლების და ა.შ. რაოდენობა.

დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ სტატისტიკაში მიღებულია სპეციალობათა და პროფესიათა 27 ჯგუფად დაყოფა. ყველაზე მეტად გავრცელებული სპეციალობები და პროფესიებია: მანქანათმშენებლები, ელექტრიკოსები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სპეციალისტები, ვაჭრობისა და გასაღების მუშაკები, ფინანსისტები, ბუღალტრები, ხელოვნების მუშაკები, პოლიგრაფისტები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში მეტად მაღალია ვაჭრობისა და საფინანსო-საბანკო საქმის სპეციალობათა მუშაკების ხვედრითი წილი.

4. მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შედგენილობა

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა საკმაოდ ჭრელია. ინგლისელების გარდა ქვეყანაში ცხოვრობენ შოტლანდიელები, უელსელები (ვალიელები), ოლსტერელები, ირლანდიელები, ებრაელები და იმინგრანტების დიდი ჯგუფები ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან და სხვა ქვეყნებიდანაც. ისტორიის ადრინდელი ეტაპებიდან ბრიტანეთის კუნძულებზე მიმდინარეობდა ოთხი განსხვავებული ეთნიკური ერთობის: ინგლისელების, შოტლანდიელების, უელსელებისა (ვალიელებისა) და ირლანდიელების ფორმირება, რომლებიც

ტერიტორიულად ერთიმორისაგან გამოცალკევებულები იყვნენ. ამ ოთხი ეროვნების ურთიერთდამოკიდებულებას დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ისტორიაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული საკითხი მთლიანად დღესაც გადაწყვეტილი არაა.

დიდი ბრიტანეთის მთელი მოსახლეობა ქმნის ბრიტანეთის ერთიან ერს, რომლის ფორმირებას ხელი შეუწყო ერთიანი ენისინგლისური ენის არსებობამ. ინგლისურმა ენამ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხები ერთმანეთთან დააკავშირა. ამჟამად ინგლისურ ენას მშობლიურ ენად აღიარებენ არამარტო ინგლისელები, არამედ შოტლანდიელები, უელსელები, ოლსტერელები, ირლანდიელები და სხვა ეთნიკური წარმომავლობის იმიგრანტები, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობენ. ეთნიკური და ენობრივი წარმომავლობის დაშორება გამოიწვია ენობრივმა ასიმილაციამ. ეროვნული უმცირესობები გადავიდნენ უფრო გავრცელებულ, ეკონომიკურად და კულტურულად უფრო განვითარებულ ხალხის ენაზე. მაგრამ ეთნიკური ჯგუფის განსაზღვრის დროს ენასთან შედარებით უპირატესობა უნდა მიეცეს ეროვნულ თვითმყოფადობას. მართალია, შოტლანდიელების, უელსელებისა და ოლსტერელების აბსოლუტური უმრავლესობა მშობლიური ენად ინგლისურ ენას აღიარებენ, მაგრამ ისინი გამოირჩევიან კულტურისა და ყოფის თავისებურებებით და ეროვნულ თვითმყოფადობას ინარჩუნებენ.

ინგლისელები - დიდი ბრიტანეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მაღალგანვითარებული ერია, რომელთა რაოდენობა 50 მლნ აღემატება. ინგლისელები ცხოვრობენ საკუთრივ ინგლისში, უელსში, შოტლანდიასა და ოლსტერში. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე სხვა ქვეყნებშიაც.

// ინგლისელი ერი ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერევისა და ხანგრძლივი ასიმილაციის შედეგად. ეს პროცესი დაიწყო V საუკუნიდან და გაგრძელდა XVIII საუკუნემდე. ბრიტანეთის კუნძულების ერთ-ერთი უძველესი ბინადრები იყვნენ კელტური ტომები. V-VI საუკუნეებში ბრიტანეთის კუნძულებზე ევროპის დიდი ხმელეთიდან

გადმოსახლდნდნ გერმანელი ტომები: ანგლები, საქსები, იუტები. მოხდა მათი კელტურ მოსახლეობასთან შერწყმა. გერმანელი და კელტური ტომების ასიმილაციის საფუძველზე შეიქმნა ანგლოსაქსური ერიუნება, რომელზედაც შემდგომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სკანდინავებმა, რომლებმაც დაიპყრეს ინგლისის ტერიტორიის ნაწილი. XI საუკუნეში ინგლისში ფრანკ-ნორმანთა ბარონები გაბატონდნენ. ინგლისის ნორმანიზაცია ვილჰელმ დამპყრობლის პერიოდიდან სწრაფად განვითარდა. ნორმანული წარმოშობის მეფეები ცდილობდნენ გაეზარდათ საფრანგეთის ბატონობა ინგლისზე და ყოფილიყვნენ საფრანგეთისა და ინგლისის მეფეები. ფრანგული ენა და კულტურა მიიღო ინგლისის საზოგადოების უმაღლესმა ფენებმა, აგრეთვე სამხედროებმა. ანგლოსაქსური ენა თანდათანობით შეიზღუდა და გამოიდევნა განათლებისა და კულტურის სფეროებიდან. მაგრამ იგი რჩებოდა როგორც საყოფაცხოვრებო სალაპარაკო ენა დაბალ და საშუალო ფენებში. XII საუკუნიდან იწყება ინგლისური ენის აღორძინება. ინგლისურ ენაზე შეიქმნა პირველი ნაწარმოებები. ეს იყო რელიგიურ თემაზე დაწერილი ტრაქტატები. XIII ს. ბოლოს დაიწყო ფრანგული რომანებისა და პოემების ინგლისურ ენაზე თარგმნა. შემდეგ შეიქმნა ორიგინალური ნაწარმოებებიც. მაგრამ არ არსებობდა ერთიანი ინგლისური ენა. ყველაზე გავრცელებული იყო ინგლისური ენის სამხრეთული და ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტები, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა.

✓ ქვეყანაში ინგლისური ენის დამკვიდრებას ხელი შეუწყო ინგლისურ ენაზე ბიბლიის თარგმნამ და სასამართლოსა და მმართველობაში საქმის წარმოების ინგლისურ ენაზე გადაყვანამ. პარლამენტშიაც დაიწყო საკითხების განხილვა ინგლისურ ენაზე. ფრანგულ ენის ინგლისში გაბატონებას საბოლოოდ ბოლო მოუღო საფრანგეთთან ომმა (ე.წ. ასწლიანმა ომმა). ასევე დიდი როლი შეასრულა ჰენრი IV, რომელმაც 1399წ. პირველად ისტორიაში ფიცი დადო არა ფრანგულ ან ლათინურ ენაზე, არამედ ინგლისურ ენაზე და ქვეყანაში საბოლოოდ დაამკვიდრა ინგლისური ენა. ✓

აღსანიშნავია, რომ ლონდონის დიალექტმა თანდათანობით გავრცელება იწყო მთელს ინგლისში. ამას ხელი შეუწყო წიგნის ბეჭდვის შემოღებამ, რომელიც ლონდონში დაიწყო 1477 წ. XVს. დასასრულსა და XVI დასაწყისიდან იწყება ინგლისური კულტურის აღორძინების ეპოქა. ქვეყანაში ფართოდ იწყო გავრცელება ჰუმანისტურმა იდეებმა. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და სამრეწველო გადატრიალებამ კი ხელი შეუწყო ინგლისური ენისა და კულტურის როლის ზრდას.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად ძირითადად დასრულდა ინგლისელი ერის ჩამოყალიბება. ქვეყნის შიგნით ინგლისური ენის გაძლიერების შემდეგ დაიწყო მისი გავრცელება საზღვარგარეთ. ინგლისელი ემიგრანტები კი გახდნენ მთელი რიგი სხვა ერების: აშშ-ში ამერიკელების, ინგლისელი კანადელების, ავსტრალიელების, ახალი ზელანდიელების ჩამოყალიბების საფუძველი. XIX საუკუნეში ინგლისი გახდა მსოფლიოში ყველაზე განვითარებული და მდიდარი ქვეყანა, "მსოფლიო სახელოსნო", მსოფლიოს პირველი საკაჭრო და საბანკო ქვეყანა, ზღვის "ბრძანებელი".

შოტლანდიელები ძირითადად ცხოვრობენ კუნძულ დიდ ბრიტანეთის ჩრდილოეთ ნაწილში და მის მიმდებარე კუნძულზე. შოტლანდიელი ემიგრანტები და მათი შთამომავლები ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. შოტლანდიელებს მიეკუთვნებიან აგრეთვე გელები-კელტურენოვანი მოსახლეობის ნარჩენები, რომლებიც ცხოვრობენ შოტლანდიის მთიან რაიონებში და შეტლანდიის კუნძულებზე.

შოტლანდიელთა ეთნიკური საფუძველია პიქტების ადგილობრივი ტომები და V-VI საუკუნეებში ირლანდიიდან გადმოსახლებული სკოტები. VII საუკუნეში მოხდა მათი ნაწილობრივი არევა აქ გადმოსახლებული ანგლებისა და საქსების გერმანელ ტომებთან. აღსანიშნავია, რომ განვითარების ადრინდელ ეტაპზე შოტლანდიაში ეთნიკური პროცესების განვითარებაზე გავლენას ახდენდა გეოგრაფიული ფაქტორი, შემდგომში ეს პროცესები გააძლიერა შოტლანდიის სახელმწიფოს შექმნამ.

XI-XIII საუკუნეებში მოხდა შოტლანდიაში ფეოდალური სახელმწიფოსა და შოტლანდიელი ეთნოსის ჩამოყალიბება და განმტკიცება სხვადასხვა ტომობრივი თუ ეროვნული ელემენტების შერწყმით. შოტლანდიური ენის ფორმირების საფუძველი გახდა ინგლისური ენის ერთ-ერთი ჩრდილოეთის დიალექტი. ამასთან, შოტლანდიურ ენაში შეიდა გელური ენის სიტყვები. გარდა ამისა შოტლანდიურ ენაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სკანდინავიელთა ენამ. ლექსიკითა და გრამატიკით შოტლანდიური ნაციონალური ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ლიტერატურული ინგლისური ენისაგან.

XIV-XV საუკუნეებში შოტლანდიური ენა იყო სახელმწიფო ენა. მაგრამ XVI საუკუნიდან რეფორმაციამ და ინგლისურად ნათარგმნი ბიბლიის დმკვიდრებამ ხელი შეუწყო ინგლისური ენის გავრცელებას და შოტლანდიური ენის შეზღუდვას. ხოლო შოტლანდიის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ შოტლანდიური ენა კიდევ უფრო შეავიწროვა ინგლისურმა ენამ. იგი თანდათანობით დაკნინდა და დიალექტის მდგომარეობამდე ჩამოქვეითდა. მხოლოდ ჰაილენდის კელტებმა შეინარჩუნეს კელტური წარმოშობის გელური ენა. XIX საუკუნეში ინგლისის მთავრობამ დაიწყო გელების დევნა და შევიწროება. ჰაილენდში მეცხვარეობის განვითარებასთან დაკავშირებულმა შემოღობებმა გამოიწვია გელების მიწიდან ძალდატანებითი აყრა. გელები დაისაქსნენ. ნაწილი ქალაქებში გადმოსახლდნენ, ნაწილი ოკეანის გაღმა გადაიხვეწნენ.

გელები წარმოადგენენ შოტლანდიის კელტურენოვან მოსახლეობას. ისინი ეთნიკურად შოტლანდიელებთან დაკავშირებული არიან. მაგრამ მათ გააჩნიათ საკუთარი გელური ენა, რომელიც ახლოსაა ირლანდიურ ენასთან. ისინი გამოირჩევიან აგრეთვე კულტურის და ყოფის თავისებურებებითაც. გელებმა XIII საუკუნეში დამოუკიდებელი სამეფოც შექმნეს, რომლის მთავარს რეზიდენცია ჰქონდა ჰებრიდის კუნძულებზე. რეფორმაცია მათ არ შეხებიათ, ეკლესიები მათ თითქმის არ ჰქონდათ. მათი სარწმუნოება იყო ძველი წარმართველობა, რომელიც შემდეგ კათოლიკობას შეერწყა.

შოტლანდიის ხელისუფლება ცდილობდა გელური ენის შეზღუდვას. მისი გამოყენება აიკრძალა ეკლესიასა და სკოლაში. მაგრამ გელელ ბავშვებს შოტლანდიურ ენაზე სწავლა გაუჭირდათ. ამიტომ ხელისუფლება იძულებული გახდა ნება დაერთო სწავლებაში მის გამოყენებაზე. გელური ენა ძირითადად მაინც საყოფაცხოვრებო სალაპარაკო ენად რჩებოდა. 1851 წ. გელური ენა იცოდა 300 ათასმა კაცმა. ამჟამად იცის 80 ათასამდე კაცმა, რა თქმა უნდა ინგლისურთან ერთად, ძირითადად ჰებრიდის კუნძულებზე. XX საუკუნიდან დაიწყო გელური კულტურის და ყოფის აღორძინება. გამოდის წიგნები გელურ ენაზე, ვითარდება გელური მხატვრული ლიტერატურა, ხალხური თვითშემოქმედება და ა.შ.

კულტურის და ყოფის მიხედვით შოტლანდიელები უფრო ახლოს არიან ირლანდიელებთან, მაგრამ ინგლისურის გავლენა სულ უფრო და უფრო ძლიერდება. მართალია შოტლანდიელები თავიანთ ენას თანდათანობით კარგავენ, მაგრამ მათში ნაციონალური თვითშეგნება ძალიან ძლიერია. მასზე დიდ გავლენას ახდენს ის, რომ შოტლანდიელები დიდ ხნის განმავლობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ და ინგლისელებთან ბრძოლით ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და ეროვნულ ენას. მხატვრული ლიტერატურა ვითარდება ინგლისურ და შოტლანდიურ ენებზე, აგრეთვე გელურ ენაზე. მაგრამ ინგლისურ ენაზეც დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებთა სულისკვეთება შოტლანდიურია. შეიძლება ითქვას, რომ შოტლანდიელებმა დღემდე შეინარჩუნეს ნაციონალური სულისკვეთება ცხოვრების ყველა სფეროში და აქვთ ნაციონალური თვითშეგნება.

შოტლანდიელებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს საერთო ბრიტანულ ეკონომიკასა და კულტურაში. მსოფლიოში ცნობილია შოტლანდიელი მეცნიერები, გამომგონებლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები: ფილოსოფოსი დევიდ ჰიუმი, ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტეკონომიის მამამთავარი ადამ სმითი, ორთქლის მანქანის გამომგონებელი ჯეიმზ უატი, შოტლანდიური ენის ამღორძინებელი პოეტი რობერტ ბერნსი,

ისტორიული რომანების ფუძემდებელი ევროპაში უოლტერ სკოტი, ცნობილი რომანისტი რობერტ ლუის სტოვენსონი, ჰიუ მაკდაიერმიდი, გელი პოეტები: ჯონ მაკდონალდი, ჯონ სმითი, სორლი მაკლინი და სხვები.

შოტლანდიაში ფართო გავრცელება პპოვა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს შოტლანდიის ეროვნული პარტია (დაარსდა 1928 წელს), რომელიც იბრძვის შოტლანდიელთა ეროვნული და სოციალური პრობლემების დემოკრატიულად გადაწყვეტისათვის და შოტლანდიის თვითმმართველობის მოპოვებისათვის.

უელსელები ძირითადად ცხოვრობენ უელსის ნახევარ კუნძულზე და მის მიმდებარე კუნძულ ანგლსში. უესელთა ეთნიკური საფუძველია კელტური ტომები კიმრები და ბრიტები. VII საუკუნის II ნახევარში ანგლოსაქსებმა ისინი მთებში განდევნეს და სხვა კელტური ტომებიდან მოწყვეტილი აღმოჩნდენენ. სწორედ აქედან იწყება უელსელი (ვალიელი) ეროვნების ჩამოყალიბება. უელსელებმა X საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში შესძლეს ერთიანი სამეფოს შექმნა, რომელმაც XIII საუკუნის ბოლომდე დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. ინგლისის მიერ უელსის დაპყრობის შემდეგ იწყება მისი ანგლიფიკაცია. უელსის მთელი ტერიტორია საგრაფოებად დაიყო და ინგლისური ენა ყველა მათგანში ოფიციალური საკალდებულო ენა გახდა. უელსური ენა თანდათანობით შეიზღუდა და მხოლოდ საყოფაცხოვრებო სალაპარაკო ენა გახდა. მაგრამ უელსურ ენზე ბიბლიის თარგმნამ (XVI საუკუნის II ნახევარი) ხელი შეუწყო ამ ენის შენარჩუნებასა და აღორძინებას, ხოლ შემდეგ მას მოყვა ასობით ახალი სკოლების გახსნა, სადაც სწავლება უელსურ ენზე მიმდინარეობდა. ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მოძრაობა უელსური ენის ინგლისურ ენასთან გათანაბრებისათვის. ეს მოთხოვნა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დააკმაყოფილა. 1967 წლიდან უელსური ენა გაუთანასწორდა ინგლისურ ენას. უელსურ ენაზე გამოდის ჟურნალ-გაზეთები, იბეჭდება წიგნები. უელსური ენა ისწავლება უნივერსიტეტში.

მიუხედავად ამისა უელსური ენის მცოდნეთა რაოდენობა არა თუ იზრდება, არამედ მცირდება. თუ 1891 წელს უელსური ენის მცოდნეთა რაოდენობა 910 ათას კაცს (3 წელზე ზევით) შადგენდა, 1981 წლისათვის ეს მაჩვენებელი 630 ათასამდე შმცირდა. უელსური ენა უფრო მეტად სოფლელებმა იციან, ხოლო ქალაქელებთა შორის ამ ენის მცოდნეთა რაოდენობა ცოტაა. მიუხედავად ამისა უელსელებში ნაციონალური თვითშეგნება საკმაოდ მაღალია. უელსელმა ხალხმა დღემდე შეინარჩუნა თავისი ტრადიციული კულტურა. მათი საყვარელი ინსტრუმენტია არფა, რომელიც არის უელსის ეროვნული სიმბოლო. პოპულარულია გუნდური სიმღერები. ყოველწლიურად ქვეყნის რომელიმე ქალაქში იმართება კელტური კულტურის ფესტივალი, ცხადდება კონკურსები საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებზე, პოპულარულია წლის საუკეთესო პოეტის სახელის მინიჭება.

უელსში მოქმედებენ ნაციონალისტური ორგანიზაციები. მათ შორისაა უელსის ახალგაზრდობის კავშირი, უელსის რესპუბლიკური პარტია. ამჟამად უელსელები იბრძვიან თავიანთი ეროვნული უფლებების გაფართოებისათვის, თვითმართველობის სტატუსის მოპოვებისათვის. საერთო-საყოველთაო მოძრაობის დევიზია "პარლამენტი უელსისათვის".

ჩრდილოეთ ირლანდიელები (ოლსტერები) - ცხოვრობენ კუნძულ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც არის დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციულ- პოლიტიკური ოლქი. იგი შეიქმნა ინგლის-ირლანდიის 1921 წლის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულებით ბრიტანეთის შემადგენლობაში შევიდა 6 საგრაფო ირლანდიის პროვინცია ოლსტეროდან. ამ ოლქის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა არაერთგვაროვანია. აქ ცხოვრობენ კუნძულის ძირეული მოსახლეობა-ირლანდიელი კელტები, დაახლოებით 500 ათასამდე კაცი. და დანარჩენი 1 მლნ-ზე მეტი შოტლანდიელი ირლანდიელები-პრესვიტორიანული პროტესტანტები და ინგლისელი ირლანდიელები-ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენლები. მოსახლეობის ასეთი შედგენილობა აქ ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში, ირლანდიის

გაძლიერებული კოლონიზაციის წლებში. ოლსტერის მოსახლეობის ეს სამი ჯგუფი, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდება კულტურული წარსულითა და რელიგიით ხშირად ერთმანეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას იჩენენ. ორივე პროტესტანტული ჯგუფი გამოდის კათოლიკური უმცირესობის წინააღმდეგ. ირლანდიელი კათოლიკები-უმთავრესად წვრილი ფერმერები, სასოფლო-სამეურნეო ან ქალაქების ნაკლებად კვალიფიციური მუშები არიან. მათი ცხოვრების დონე ჩამორჩება გადმოსახლებულთა ცხოვრების დონეს. გადმოსახლებულებმა ხელში ჩაიგდეს მაღალშემოსავლიანი სამუშაოები ეკონომიკასა და პოლიტიკაში, ხოლო ძირეული მოსახლეობა დაბეჩავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამას მიემატა რელიგიური დაპირისპირებაც პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის. ადგილობრივ მოსახლეობას ხელმძღვანელობას უწევს"ირლანდიის რესპუბლიკური არმია.", რომელიც ხშირად მიმართავს ტერირისტულ აქტებსაც, რასაც შედეგად მოყვება ბრიტანეთის ხელისუფლების სადამსჯელო აქციები.

ოლსტერელები ინგლისურ ენაზე მეტყველებენ, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილმა იცის ირლანდიური ენა. მიუხედავად ამისა მათ დღემდე შეინარჩუნეს მატერიალური და სულიერი კულტურის თავიანთი ეროვნული ნიშნები. მათი ყოფაცხოვრების წესები და საცხოვრებელი სახლებიც განსხვავებულია. საკმაოდ პოპულარულია ძველი კელტური დღესასწაულები: ზაფხულის გაცილება, რომელიც აღინიშნება 1 ნოემბერს, ნახირის საზაფხულო საძოვრებზე გარეკვის დღესასწაული მაისის დასაწყისში და ა.შ.

სხვა ეროვნებიდან აღსანიშნავია ებრაელები, რომელთა რაოდენობა 650 ათას კაცს აღწევს. ისინი ცხოვრობენ ქალაქებში. შემდეგ მოდის პოლონელები (130 ათასი), გერმანელები (100 ათასი), ბერძნები (50 ათასი), ნორმანდიის კუნძულებზე - ფრანგები, რომლებმაც შეინარჩუნეს ფრანგული ენა. ფერადკანიანთა მოსახლეობიდან აღსანიშნავია: იამაიკელები (500ათასი), ინდოელები (400ათასი), პაკისტანელები (300 ათასი), აფრიკელები (კენია, ნიგერია და სხვა. 300

ათასი). სულ ფერადკანიანთა რაოდენობა 3 მლნ აღწევს. მათი 80 % დაბადებულია ბრიტანეთში.

რელიგიური კულტურა. რელიგიური რწმენის მიხედვით დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს პროტესტანტულ ქრისტიანობას, ნაწილი კათოლიკურსა და ქრისტიანობის სექტებს. პროტესტანტობა ქრისტიანობის მესამე, ბურჯუაზიული მიმართულებაა. იგი ბრიტანეთში მე-16 საუკუნეში აღმოცენდა. მაგრამ აქ რეფორმაცია ბოლომდე არ განხორციელებულა და აქაური ანგლიკანური ეკლესიები ღვთისმსახურობის, მოწყობისა და მართვის მიხედვით კათოლიკურისაგან დიდად არ განსხვავდება.

ინგლისში /სახელმწიფო რელიგიად ითვლება პროტესტანტული მიმართულების ანგლიკანური ეკლესია, რომელსაც ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავს და რომელიც მის მთელ ტერიტორიას მოიცავს./ანგლიკანური ეკლესიის მოწყობა იერარქიულია. მის სათავეში დგას დედოფალი(მონარქი), რომელიც ითვლება ეკლესიის უმაღლეს გამგებლად. მაგრამ ფაქტიურად ეკლესიას პარლამენტი განაგებს.

ანგლიკანური ეკლესია იყოფა კენტერბერგის და იორკის არქიეპისკოპოსად, რომლებსაც სათავეში უდგანან არქიეპისკოპოსები./მაგრამ აქედან ანგლიკანური ეკლესიის სულიერ მამად ითვლება კენტერბერგის არქიეპისკოპოსი. მხოლოდ მას აქვს გვირგვინის დადგმის (კურთხევის) უფლება. მას ლორდთა პალატაშიც საპატიო ადგილიც უკავია მეფის საგვარეულოს წევრების შემდეგ. ხოლო კენტერბერგის კათედრალური ტაძარი-ანგლიკანური ეკლესიის ცენტრია მთელს ბრიტანეთში. არქიეპისკოპოსები, თავის მხრივ, იყოფა ეპარქიებად. ყოველ ეპარქიას სათავეში უდგას ეპისკოპოსი (სულ არის 43 ეპარქია).

1919 წ. შემოღებულ იქნა ანგლიკანური ეკლესიის მართვის უფრო დემოკრატიული ორგანო-ეკლესიათა ეროვნული კრება. ეს კრება შედგება სამი პალატისაგან. საეპისკოპოსო, სამღვდელო და მორწმუნე ადამიანთა წარმომადგენლების პალატებისაგან. კრებას თავმჯდომარეობს კენტერბერგის არქიეპისკოპოსი.

მიმდევართა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა კათოლიკური ეკლესია, რომლის გავლენა იზრდება. კათოლიკობა უფრო გავრცელებულია ჩრდილოეთ ინგლისსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში. კათოლიკები არიან უფრო მეტად ირლანდიული წარმომავლობის ინგლისელები და იმიგრანტთა შთამომავალი ინგლისელები. კათოლიკობას უფრო მეტი მიმდევრები ჰყავს ქალაქებში, ვიდრე სოფლებში. კათოლიკური ეკლესიასაც აქვს იერარქიული მოწყობა. ზედა საფეხურზეა ვესტმინსტერის არქიეპისკოპოსი, რომელიც ითვლება დიდი ბრიტანეთის კათოლიკური ეკლესიის მეთაურად. იგი ამავე დროს არის ვატიკანის ერთ-ერთი კარდინალი.

ინგლისში ძალიან ბევრია პროტესტანტული სექტები, სახელწოდებით "თავისუფალი ეკლესია" ანუ "ნონკონფორმისტი". ისინი გამოდიან ბრიტანეთის ეკლესიის იერარქიული მოწყობის წინააღმდეგ და მის გაწმენდას კათოლიზმის ელემენტებისგან. ყველაზე პოპულარულია მეთოდისტების სექტა, რომელიც წარმოიშვა მე-18 საუკუნეში. მეთოდისტები უფრო მეტად გავრცელებულია კორნუოლზე და ჩრდილოეთის საგრაფოებში. ძალიან ბევრია ბაპტისტური ორგანიზაციები (მათ ჰყავთ 500 ათასამდე მიმდევარი). სულ ინგლისში რეგისტრირებულია 200-ზე მეტი სექტა.

უელსში გაბატონებულ რელიგიად ითვლება ანგლიკანური ეკლესია, მაგრამ XIX საუკუნიდან იწყება მისი გავლენის შესუსტება და სხვადასხვა სექტების მომრავლება. განსაკუთრებით გაძლიერდა კონგრეგაციონალისტებისა და მეთოდისტების გავლენა. ანგლიკანურ ეკლესიას ძირითადად შემორჩა მიწათმოქმედთა არისტოკრატია. უელში ძალიან ბევრია სალოცავები, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან თავისი არქიტექტურითა და მოწყობით და ეკუთვნიან სხვადასხვა სექტას. სალოცავს გააჩნია აგრეთვე დარბაზი კრებისათვის და სასკოლო საკვირაო ოთახი. სექტები ბევრია და სხვადასხვა სექტის მიმდევართა დაქორწინების შემთხვევაში ერთ-ერთი, ისე როგორც გვარს რწმენას იცვლის. XX საუკუნის 20-იან წლებიდან დაიწყო უელსის ანგლიკანური ეკლესიის Bბრიტანეთის ანგლიკანური

ეკლესიის კონტროლისაგან განთავისუფლება. უელსის ეკლესია უფრო ნაციონალურ ხასიათს ღებულობს. მაგრამ ძლიერდება კათოლიციზმის გავლენა.

შოტლანდიას 1690 წლიდან აქვს თავისი ნაციონალური ეკლესია-პრესვიტორიანული ეკლესია, რომელსაც ყავს 2 მილიონამდე მიმდევარი. არის აგრეთვე კათოლიკური ეკლესია და სხვადასხვა სექტები, მათ შორის მეთოდისტების, ბაპტისტების და თავისუფალი ეკლესიის სექტები.

პრესვიტორიანული ეკლესია ღვთისმსახურობისა და მოწყობის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ანგლიკანური ეკლესიისაგან. მისი მართვის უმაღლესი ორგანოა არჩევითი უხუცესთა საბჭო მღვდელმთავრებთან ერთად. შენობა, სადაც მიმდინარეობს ღვთის მსახურება ჩვეულებრივი შენობისაგან არაფრით არ განსხვავდება. იგი მორთული არ არის, აღმსარებლობაც გამარტივებულია. რელიგიური დღესასწაულებიც ცოტაა და თანაც მოკრძალებულია. შოტლანდიელ ბურჟუებში ბევრია პურიტანებიც, რომლებიც გამოდიან ღვთისმსახურებასა და ყოფაცხოვრებაში ყოველგვარი ზედმეტობის წინააღმდეგ.

ოლსტერი. აღგილობრივი მოსახლეობა კათოლიკები არიან, ხოლო აქ გადმოსახლებული შოტლანდიელები პრესვიტორიანული ეკლესიის, ინგლისელები კი- ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრები არიან, ასევე ბევრია სხვადასხვა სექტები. დიდი ბრიტანეთის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით ოლსტერში ირლანდიელ კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის რელიგიური დაპირისპირებები არსებობს, რომელიც ხშირად სისხლისღვრამდეც მიდის.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიები დიდი ბრიტანეთის კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებენ. მათ გააჩნიათ უამრავი სკოლები, კლუბები, ასოციაციები და კავშირები, თავშესაფრები და ხელმოკლებულთა სასადილოები. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის რელიგიური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს.

თავი III
დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა

1. ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი

XVII საუკუნეში, როცა ევროპის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ძირითადი კერები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე იყო თავმოყრილი, ბრიტანეთის კუნძულები ევროპის განაპირა მხარეს წარმოადგენდა, საიდანაც მხოლოდ კალის მადანი გაჰქონდათ. მაგრამ მდგომარეობა თანდათანობით შეიცვალა. ჯერ პანზის სავაჭრო კავშირის აღმოცენებამ (რომელმაც ხელი შეუწყო სამხრეთ ინგლისის ეკონომიკურ განვითარებას), ხოლო შემდეგ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, როცა მსოფლიო სავაჭრო გზებმა ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილოეთით, ატლანტიკის ოკეანეში გადაინაცვლეს, დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა მსოფლიო სავაჭრო და საზღვაო გზების ცენტრში. ვაჭრობისა და ზღვაოსნობის განვითარებამ კი დააჩქარა კაპიტალის დაგროვების პროცესი, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე აგრალურმა რეფორმებმა და რეფორმაციამ. კაპიტალის დაგროვება და თავისუფალი მუშახელის შექმნა კი კაპიტალისტური წარმოების განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

XVIII საუკუნეში დიდ ბრიტანეთში სხვა ქვეყნებზე ადრე დაიწყო სამრეწველო გადატრიალება, რომელიც გულისხმობდა მანუფაქტურიდან საფაბრიკო-საქარხნო სისტემაზე, ხელით შრომიდან მანქანურ შრომაზე გადასვლას. სამრეწველო გადატრიალებას მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა. ორთქლის მანქანის გამოყენებამ მრეწველობა გაანთავისუფლა ტერიტორიული განლაგების შეზღუდვებისაგან. თუ ადრე სამრეწველო საწარმოების განლაგება ხდებოდა მდინარეთა ნაპირებთან, ორთქლის მანქანის დანერგვამ საბოლოოდ გარდაქმნა მრეწველობა. ორთქლის მანქანა დაინერგა ტრანსპორტში. შეიქმნა ორთქლის ძრავაზე მომუშავე რკინიგზა და გემი. განვითარების დონით ბრიტანეთმა მალე გაუსწრო ჰოლანდიასა და საფრანგეთს. მისმა სამრეწვე-

ლო ნაწარმმა თანდათანობით დაიპყრო მსოფლიო ბაზარი. ინ-
გლისი გადაიქცა "მსოფლიო ფაბრიკად". მრეწველობის ცალკეუ-
ლი დარგებიდან განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია
საფეიქრო წარმოებამ, ქვანახშირის მოპოვებამ, მეტალურგიამ,
გემთმშენებლობამ. 1800-1870წწ. თუჯის გამოდნობა 33-ჯერ
გაიზარდა და 6,7 მილიონ ტონას მიაღწია.

დიდ ბრიტანეთში მრეწველობა ძირითადად მუშაობდა ექსპორ-
ტისათვის. საზღვარგარეთ განსაკუთრებით დიდი მოწონებით
სარგებლობდა საფეიქრო ნაწარმი. ასევე საექსპორტო საგანს
წარმოადგენდა თუჯი და ფოლადი, ქვანახშირი და კოქსი, გემები
და სხვადასხვა მანქანები. აღსანიშნავია, რომ ბრიტანული საქონელი
მნიშვნელოვნად იაფი იყო ევროპის სხვა ქვეყნების ანალოგიურ
საქონელთან შედარებით. ამის გამო იაფი ინგლისური საქონე-
ლი ბაზრიდან ადვილად დევნიდა სხვა ქვეყნების საქონელს.

დიდი ბრიტანეთის მრეწველობის წარმატებებს ხელი შეუ-
წყო აგრეთვე სახელმწიფო ეკონომიკურმა პოლიტიკამ. ხელისუ-
ფლება თავიდან მიმართავდა პროტექციონიზმის პოლიტიკას.
ხოლო მას შემდეგ რაც ქვეყნის მრეწველობა გაიზარდა და
განმტკიცდა იმდენად, რომ მისთვის საშიში არ იყო უცხოეთის
კონკურენცია, ხელისუფლებამ შემოიღო თავისუფალი ვაჭრობის
პოლიტიკა. თავისუფალმა ვაჭრობამ კი ინგლისელ ვაჭრებს
ფართო გზა გაუხსნა და განამტკიცა ბრიტანეთის ჰეგემონია.
მნიშვნელოვნად დაჩქარდა ინდუსტრიული დარგების განვითარე-
ბა, რომლის პროდუქციაზე მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვ-
ნილება იყო. 1870 წ. დიდ ბრიტანეთზე მოდიოდა მსოფლიოს
ქვანახშირის მოპოვების 51,5 %, თუჯის გამონადნობის 49% და
ბამბის დამუშავების 46%.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდასთან ერთად
იზრდებოდა ექსპორტის მოცულობა. 1800წ. ექსპორტის მოცუ-
ლობა შეადგენდა 24 მლნ გირვანქა სტერლინგს, 1840წ.- 102
მლნ, 1870წ-200 მლნ გირვანქა სტერლინგს. 1870 წ. ბრიტანეთის
საგარეო ვაჭრობის ხვედრითი წილი მსოფლიო საქონელ-
ბრუნვაში 39% შეადგენდა.

√ აღსანიშნავია, რომ მრეწველობისა და ვაჭრობის წინსვლას დიდად შეუწყო ხელი ტრანსპორტის განვითარებამ. სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტთან ერთად სწრაფად დაიწყო რკინიგზის განვითარება.√ რკინიგზის ხაზების საერთო სიგრძემ 1870წ. 25 ათას კმ-ს მიაღწია. საგაჭრო ფლოტის საერთო ტონაჟი 1800-1870 წ.წ. 2 მილიონიდან 5,7 მილიონამდე გაიზარდა.

√ ეკონომიკურმა ზრდამ დიდად გაზარდა კაპიტალის დაგროვება და კრედიტის განვითარება გამოიწვია. ჯერ კიდევ 1624 წ. გაიხსნა ინგლისის ბანკი. მომდევნო წლებში მუშაობას იწყებენ კომერციული ბანკებიც. XIX საუკუნის შუა ხანებში ბრიტანეთი და მისი დედაქალაქი ლონდონი გადაიქცა მსოფლიო საკრედიტო-საფინანსო ცენტრად.√ კრედიტის განვითარებამ და მისი მოქმედების სფეროს გაფართოებამ ქვეყნის ფინანსური ძლიერება მნიშვნელოვნად გაზარდა. ბრიტანეთი თანდათან გადაიქცა მსოფლიო ბანკირად.

√ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და კაპიტალის დაგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა კოლონიების ძარცვა. კოლონიები იაფი ნედლეულის წყაროსა და პროდუქციის გასაღების ბაზარს წარმოადგენდნენ. ამიტომ კოლონიებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს და განამტკიცეს ბრიტანეთის ეკონომიკური ძლიერება.√

√ მაგრამ XIX ს. 70 წლებიდან დიდმა ბრიტანეთმა დაკარგა სამრეწველო მონოპოლია. ეკონომიკური განვითარების ტემპების მიხედვით მას გაუსწრეს აშშ-მ და გერმანიამ.√ ასე მაგალითად, 1870-1913წ.წ. დიდი ბრიტანეთის სამრეწველო წარმოება გაიზარდა 2-ჯერ, აშშ - 9 ჯერ, გერმანიისა კი-6 ჯერ. თუმცა, 900-იანი წლებამდე დიდი ბრიტანეთი კვლავ ასრულებდა მთავარ როლს მსოფლიო ვაჭრობაში, გემთმშენებლობასა და ნაოსნობაში. იგი კვლავ რჩებოდა მსოფლიო ბანკირად და მსხვილ კოლონიების მფლობელ სახელმწიფოდ.

√ დიდი ბრიტანეთის განვითარების ჩამორჩენაზე გავლენა იქონია მრეწველობის ძველი ტექნიკური აღჭურვილობის არსებობამ. მოძველებული ტექნიკის განახლებას დიდძალი კაპიტა-

ლი ჭირდებოდა. ბრიტანელი კაპიტალისტები კი ამჯობინებდნენ თავიანთი კაპიტალი დაებანდებინათ კოლონიებში, სადაც მეტი მოგება მიიღებოდა, რადგან ნედლეული და სამუშაო ძალა უფრო იაფი იყო. ქვეყნის შიგნით კი მოძველებული ტექნიკა რჩებოდა, რის შედეგადაც ბრიტანული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე თანდათანობით ნაკლებად კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ბრიტანეთის ჩამორჩენაზე გავლენა იქონია აგრეთვე ნედლეულის ნაკლებობამ, რომელიც მას შორიდან უნდა შემოეტანა. ამასთან, მრეწველობის ახალი დარგების განვითარება მოითხოვდა ფერად ლითონებს, კაუჩუკს, ნავთობს, რომლებიც მას არ აქონდა. ამის გამო ბრიტანეთის ხვედრითი წონა მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში თანდათანობით მცირდებოდა. თუ 1870წ. ბრიტანეთზე მოდიოდა მსოფლიო სამრეწველო წარმოების 32%, ეს მაჩვენებელი 1913 წ. 14%-მდე დაეცა. თანდათანობით მცირდებოდა ბრიტანეთის ხვედრითი წილი მსოფლიო საქონელბრუნვაშიც 1887 წელს მის წილად მოდიოდა მსოფლიო საქონელბრუნვის 25%, 1900წ.-19,5 %, ხოლო 1913 წ. -15,5%.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენა იქონია აგრეთვე სოფლის მეურნეობაში შექმნილმა მდგომარეობამ. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენისა გამო ქვეყანა იძულებული იყო სურსათი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოეტანა. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დისპროპორცია შეიქმნა. სოფლის მეურნეობის განუვითარებლობამ სოფლის მოსახლეობის შემცირება გამოიწვია. მათი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ნაწილი კი-ქალაქებში გადასახლდა. პირველი მსოფლიო ომის წინ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 8 %. საზღვარგარეთ კაპიტალის დიდძალმა ექსპორტმა სათანადო გავლენა იქონია სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა ოდენობაზე.

ისე როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში დიდ ბრიტანეთშიაც კაპიტალის კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ გამოიწვია მონოპოლიების აღმოცენება. თუმცა, თავიდანვე დიდი ბრიტანეთი მონოპოლიათა სიმრავლით არ გამოირჩეოდა. მაგრამ წარმოებისა და კაპიტალის მონოპოლიზაციის პროცესი თანდა-

თანობით გაძლიერდა. მრეწველობის უმეტეს დარგებში მსხვილი კორპორაცია გაბატონდა. ეს პროცესი განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომისშემდგომ წლებში გაძლიერდა. კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის პროცესები განვითარდა საბანკო-საკრედიტო სფეროშიაც. XX ს. დამდეგისათვის ლონდონის 5 მსხვილი ბანკის ხელში (დიდი ხუთეული) ფაქტიურად აღმოჩნდა ქვეყნის მთელი საბანკო კაპიტალის 80%. მრეწველობის დაკრედიტების ზრდასთან ერთად განვითარდა საბანკო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალთან შერწყმისა და ფინანსური ოლიგარქიის წარმოქმნის პროცესი. ლონდონი გახდა მსოფლიო საფინანსო ცენტრი, ხოლო გირვანქა სტერლინგი-საერთაშორისო ვალუტა. საერთაშორისო ანგარიშსწორებები წარმოებდა გირვანქა სტერლინგით.

დიდი ბრიტანეთის კაპიტალი კოლონიების გარდა მძლავრად შეიჭრა სხვა ქვეყნებშიაც. მათ შორის რუსეთში, სადაც უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა 23% ბრიტანეთზე მოდიოდა. რუსეთში ბრიტანეთის კაპიტალი ეწეოდა ბუნებრივი სიმდიდრეების: ნავთობის, ოქროს, ფერადი ლითონების მოპოვებას. აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ბრიტანეთის ყოველწლიური შემოსავალი კაპიტალის ექსპორტიდან 4-ჯერ აღემატებოდა საკუთარი ქვეყნიდან მიღებულ შემოსავალს. მაგრამ თანდათანობით გერმანიამ მნიშვნელოვნად შეავიწროვა ბრიტანეთი ჯერ ევროპის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის ბაზარზე. გერმანიის დაპირისპირება დიდ ბრიტანეთთან სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. ბრიტანეთი იძულებული გახდა მთელი რიგ დათმობებზე წასულიყო აშშ-სთან, საფრანგეთთან და რუსეთთან. იგი ცდილობდა მოკავშირეები ეპოვა გერმანიის წინააღმდეგ. ეს ცდა სამხედრო კავშირის-ანტანტის შექმნით დამთავრდა. ანტანტის შემადგენლობაში შეეიდნენ: ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი. მიუხედავად სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვნად გაზრდისა, დიდი ბრიტანეთი პირველ მსოფლიო ომში მოუმზადებელი ჩაება. მიუხედავად ამისა I მსოფლიო ომი ბრიტანეთისა და მისი მოკავშირეების გამარჯვებით დამთავრდა. ომის შედეგად ბრიტანეთი აფრიკასა და აზიაში გერმანიის კოლონიებს დაეპატრონა.

მართალია, საომარი მოქმედებები ბრიტანეთის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა, ხოლო ზღვაზე მას დიდი უპირატესობები გააჩნდა, მაგრამ ქვეყანამ მაინც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და ადამიანთა დანაკარგი განიცადა. ომმა 900 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, გაიზარდა ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალები. მნიშვნელოვნად დაეცა გირვანქა სტერლინგის მსყიდველობითი უნარიანობა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შენელდა. შემცირდა სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოება, გაიზარდა საომარი მასალებისა და იარაღების წარმოება.

პირველი მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში ეკონომიკის ერთგვარი აღმავლობა დაიწყო. ეს პროცესი 1929 წლამდე გაგრძელდა. მრეწველობამ მთლიანად და განსაკუთრებით მისმა წამყვანმა დარგებმა 10-15% გადააჭარბეს ომამდელ დონეს. მაგრამ 1929 წელს მთელი კაპიტალისტური სამყარო, მათ შორის დიდი ბრიტანეთი მოიცვა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. კრიზისმა მნიშვნელოვნად შეასუსტა ბრიტანეთის ეკონომიკა. კრიზისმა განსაკუთრებით დააზარალა მრეწველობის ძველი დარგები: ქვანახშირის მოპოვება, მეტალურგია, გემთმშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა. მასიურად დაიწყო ამ დარგების საწარმოთა გაკოტრება. მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობა. კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით ხელისუფლება შეეცადა სოციალური დახმარების ფონდების ხარჯზე დახმარება გაეწია საწარმოებისათვის. მაგრამ ამან მშრომელთა უკმაყოფილება და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება გამოიწვია. ეკონომიკური სირთულეებისა გამო ხელისუფლებამ შემოიღო პროტექციონისტული პოლიტიკა. უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე დაწესდა მაღალი საბაჟო ტარიფები (10-30%) V

მართალია, დიდ ბრიტანეთში ამ კრიზისს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მთელი სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვნად დაცემა არ გამოუწვევია, მაგრამ კრიზისიდან გამოსვლა გაჭიანურდა. 1928 წ. დონე მხოლოდ 1935 წ. იქნა გადაჭარბებული. მაგრამ წარმოების ზრდა ძირითადად სამხედრო მრეწველობაზე მოდიოდა.

V მნიშვნელოვნად გართულდა კოლონიებთან ურთიერთობა. 1931 წ. "უესტმინსტერის სტატუსით" დომინიონებს: კანადას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკის კავშირს მიენიჭათ სრული დამოუკიდებლობა. დაიწყო ბრიტანეთის იმპერიის დაშლა. ხმარებაში შემოვიდა ტერმინი "ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა", რომელმაც შემდგომში ტერმინი "ბრიტანეთის იმპერია" შეცვალა. განთავისუფლებული ქვეყნები თუ დარჩებოდნენ "თანამეგობრობაში" მათ დიდი უპირატესობა ენიჭებოდათ საგარეო ვაჭრობაში.

V კოლონიებთან ურთიერთობაში შექმნილ სირთულეებთან ერთად სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა გერმანიასთან დამოკიდებულება. ბრიტანეთი ცდილობდა გერმანიის ძალები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარემართა. მაგრამ არ გამოუვიდა. იგი იძულებული გახდა გერმანიასთან ომი დაეწყო. მართალია, იგი ამ ომიდან გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ქვეყანა მნიშვნელოვნად დასუსტდა. ჩერჩილმა ომის შედეგები შეაფასა, როგორც "ტრიუმფიც და ტრაგედიაც". ომმა 400 ათასამდე ბრიტანელის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ომით გამოწვეულმა ზარალმა 25 მილიარდ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა.

V ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო დანგრეული და მოშლილი ეკონომიკის აღდგენა. ომის შედეგად დანგრეული საწარმოები 1947 წლისათვის აღდგენილ იქნა და დაიწყო ომისშემდგომი ეკონიმიკური აღმავლობა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ხელისუფლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ. ხელისუფლებაში მოსულმა ლეიბორისტებმა განახორციელეს ქვანახშირისა და გაზის მრეწველობის, სამოქალაქო ავიაკომპანიების, რკინიგზების, წყლის ტრანსპორტის, ელექტროსადგურების, ტელეკავშირებისა და ფოსტის, ინგლისის ბანკის ნაციონალიზაციაV მომდევნო წლებში გატარდა მთელი რიგი სხვა დარგების ნაციონალიზაციაც (ქიმიური, ფოლადისა და რკინის დამამუშავებელი საწარმოები და სხვა). განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის განვითარებასაც. შემოღებული იქნა სახელმწიფო სამედიცინო მომსახურება, გაიზარდა დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება.

II დიდი ბრიტანეთის ომისშემდგომ ეკონომიკურ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია აშშ ფინანსურმა დახმარებებმა. 1945 წ. ბრიტანეთმა ორმხრივი შეთანხმებებით აშშ-სგან 4,4 მილიარდი დოლარის სესხი მიიღო. ¿გარდა ამისა "მარშალის გეგმით" ბრიტანეთს ერგო 2,6 მილიარდი დოლარი საქონლისა და ფულის სახით. თუმცა, 1950 წ. დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა "მარშალის გეგმით" გათვალისწინებულ დახმარებებზე. 1951 წ. ხელისუფლების სათავეში მოსულმა კონსერვატორებმა (ჩერჩილი, იდენი) რამდენადმე შეცვალეს ლეიბორისტების ეკონომიკური პოლიტიკა. მათი აზრით, ეკონომიკაში საკმარისია მხოლოდ "საკალუტო და საბიუჯეტო კონტროლის" განხორციელება. ამ მიზნით მათ შეამცირეს საზღვარგარეთიდან ნედლეულისა და სურსათის შემოტანა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკაზე. გაიზარდა ფასები სურსათზე, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

¿ღსანიშნავია, რომ დიდმა ბრიტანეთმა სხვა ქვეყნებზე ადრე დაიწყო ატომური ენერგეტიკის განვითარება. ამ მიზნით მიღებულ იქნა ატომური ენერგოსადგურების მშენებლობის ათწლიანი პროგრამა. 1970 წ. დიდ ბრიტანეთში უკვე 10 ატომური ელექტროსადგური მუშაობდა. დაიწყო ბირთვული ენერგიის გამოყენება სამხედრო საქმეშიაც, რამაც სამხედრო ხარჯების ზრდა გამოიწვია და უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკის განვითარებაზე. ამის გამო ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების ტემპი შენელდა. ¿კონსერვატორებმა ლეიბორისტების მიერ განხორციელებული ნაციონალიზაცია თავიდან ცნეს. მაგრამ მათ ეს არახელსაყრელ ღონისძიებად მიაჩნდათ. ამიტომ კონსერვატორებმა დაიწყეს პრივატიზაციის განხორციელება, რომელიც ძნიშვნელოვნად დაჩქარდა 80-იან წლებიდან. კერძო მფლობელებს დაუბრუნდა ბევრი სახელმწიფო საწარმო. საჯარო კორპორაციები გადაიქცნენ სააქციო საზოგადოებებად. პრივატიზებულ საწარმოთა შორის იყო გაზის სახელმწიფო კომპანია, ტელეკომპანიები, ავიაკომპანიები და სხვები. პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა. დღეისათვის სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა ინგლისის

ბანკი, რკინიგზა, ატომური ენერგეტიკა, ქვანახშირის შახტების დიდი ნაწილი, გემთმშენებლობა, ფოსტა. ბრიტანელი სპეციალისტების აზრით მომსახურების რიგი დარგები: წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გაზით მომარაგება, ფოსტა და სხვა უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება, რადგან ამ დარგებში წარმოებული პროდუქცია და მომსახურება იმდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რომ მათი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს არა კერძო პირების მოგების მიღების ინტერესების შესაბამისად, არამედ ქვეყნის საერთო ინტერესების შესაბამისად.

ნაციონალიზებული საწარმოები შეუძლებლად უფრო მეტი ზომით ითვალისწინებენ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს და იძლევიან მეტ დახმარებებს, ვიდრე კერძო საწარმოები. ამასთან, ნაციონალურ დარგთა პროდუქციაზე სახელმწიფოს შეუძლია უფრო დაბალი ფასები დააწესოს და ამით ერთგვარად შეამციროს ინფლაციის ტემპები.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარება მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში უფრო ჩქარი ტემპებით წარიმართა, ვიდრე პირველი მსოფლიო ომისშემდგომ წლებში იყო. ასე მაგალითად, 1933-1938 წ.წ. წარმოების ყოველწლიური მატება 2,7 % შეადგენდა, ხოლო 1950-1970 წ.წ. კი იგი 3,3% უდრიდა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობის ახალი დარგები: მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა, ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, ნავთობქიმიური მრეწველობა.

ბრიტანეთის იმპერიის დაშლას, შეიძლება ითქვას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოუხდენია. ბრიტანეთმა სხვადასხვა ფორმით მაინც შეძლო ყოფილ კოლონიებზე თავისი გავლენის შენარჩუნება. ამავე დროს მან დაიწყო გასაღების ახალი ბაზრების გამონახვა. როგორც ცნობილია, 50-იან წლებში დასავლეთ ევროპაში დაიწყო ინტეგრაციული პროცესების განვითარება. შეიქმნა "საერთო ბაზარი". მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა თავიდან არ მოისურვა "საერთო ბაზარში" შესვლა. "საერთო ბაზარს" მან დაუპირისპირა

"თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაᲐ". მაგრამ ამ უკანასკნელმა ბრიტანეთს რაიმე მნიშვნელოვანი სარგებელი არ მისცა. ამის გამო იძულებული გახდა "საერთო ბაზარშᲘ შესულიყო.

Კ მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ეკონომიკის მონოპოლიზაციის პროცესები. მიმდინარეობდა კოლონიებში დაბანდებული კაპიტალის დიდი ნაწილის უკან ბრიტანეთში დაბრუნება და მისი მრეწველობის ახალ დარგებში (საავტომობილო, საავიაციო, ატომური, ელექტრონიკის, ნავთობქიმიურ დარგებში) დაბანდება. ამავე დროს ბრიტანეთში დიდი რაოდენობით შემოდის აშშ-ისა და სხვა ქვეყნების კაპიტალი, რომელთა ბაზაზე იქმნება მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიოს 100 უმსხვილესი მონოპოლიიდან 26 ბრიტანული კორპორაციაა. Კ

უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ორიენტაცია კოლონიებზე დიდი ხნის მანძილზე აფერხებდა ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას, ეკონომიკის გარდაქმნას და განვითარებულ ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას. ამის გამო ათეული წლობით შეფერხდა ქვეყნის ჩართვა დასავლეთ ევროპის ინტეგრაციულ პროცესებში. ბრიტანეთის ეკონომიკის ახალ პირობებთან სუსტი ადაპტაციის უნარი მნიშვნელოვნად იყო განპირობებული სოციალური მობილურობის დაბალი დონით, ელიტარული ელემენტების შენარჩუნებით და სოციალური სტრუქტურის კასტურობით. ამ პირობებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ნელი ტემპები.

ასეთ პირობებში ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა მეურნეობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით ეკონომიკის გარდაქმნის ამოცანა, განვითარების ტემპების დაჩქარება, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ახალი ადგილის პოვნა, საგარეო ურთიერთობის ახალი პრიორიტეტების გამომუშავება. მაგრამ ამ ამოცანების შესასრულებლად ხელისუფლებაში მყოფი კონსერვატორები და ლეიბორისტები განახვაევებულ ეკონომიკურ

პოლიტიკას ატარებდნენ. ერთიანი პერსპექტიული პროგრამის არ არსებობა კი განვითარების დაჩქარების ხელშემშლელი ფაქტორი გახდა.

მე-20 საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკაში ძალთა თანაფარდობა დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ არ განვითარებულა. რის შედეგადაც მისი როლი უფრო მოკრძალებული აღმოჩნდა. თუმცა, 90-იანი წლებიდან ბრიტანეთის პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში გამყარდა. მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის გარდაქმნისა და მისი რიგი დარგების განვითარების საქმეში.

2. ეკონომიკის ზოგადი დახასიათება

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. ეკონომიკური საქმიანობისა და მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტის (მშპ) წარმოების ოდენობის მიხედვით იგი მსოფლიოში მეხუთე ადგილზე იმყოფება. ამ მხრივ იგი ჩამორჩება აშშ, იაპონიას, გერმანიასა და საფრანგეთს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთის რეალური პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მისი ეკონომიკის მთელი პოტენციალი. ამაზე მიგვითითებს თუნდაც ქვეყნის მდგომარეობა კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე და საკრედიტო სფეროში. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობის მიხედვით დიდი ბრიტანეთი მეორე ადგილზე იმყოფება, ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს. ლონდონის სიტში ხორციელდება მსოფლიო სავალუტო ოპერაციების 1/3. ასევე მნიშვნელოვანია ბრიტანეთის როლი სადაზღვევო, მსოფლიო გადაზიდვებისა და მომსახურების ექსპორტის სფეროში.

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მომსახურების სფეროს განვითარების მაღალი დონე. ამაზე მიგვითითებს მშპ წარმოების სტრუქტურა. 1999წ. მომსახურებაზე მოდიოდა მშპ 71,7 %, ინდუსტრიაზე 26,5, ხოლო სოფლის მეურნეობაზე-1,8%. მომსახურების სფერო იძლეოდა

საექსპორტო შემოსავლების 50%. ამასთან ეკონომიკის ეს სფერო უფრო მაღალი ტემპებით ვითარდება, ვიდრე მრეწველობა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლად მაინც მრეწველობა რჩება, რომელიც ამავე დროს არის სამხედრო ძლიერების საფუძველიც.

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა მთლიანად მონოპოლიზებულია. 100 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის ხელშია მთელი სამრეწველო წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის 50%. მსხვილი სამრეწველო კონპანიები აწარმოებენ მშპ 40 % და ახორციელებენ მთელ კაპიტალდაბანდებათა 45 %. მსოფლიოს მილიარდელ კომპანიების რიცხვში შედის ბრიტანული წარმოშობის 61 სამრეწველო, 4 საავაჭრო, 4 საბანკო, 1 სადაზღვევო კომპანია. მაგრამ ამ კომპანიების ერთი ნაწილი უცხოური კაპიტალის გავლენის ქვეშ იმყოფება. მათი აქციების დიდი ნაწილის მფლობელები უცხოელები არიან. მსხვილი კომპანიები ძირითადად მრავადარგოვანია, რაც მანევრირების საშუალებასა და მოგების მყარი ნორმის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა. რასაც ხელს უწყობს აგრეთვე მსოფლიო ბაზარზე მათი პოპულარულობაც.

აღსანიშნავია აგრეთვე ბრიტანეთის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე. ამაზე მიგვითითებენ ბრიტანეთის ტერიტორიაზე დიდძალი უცხოური კაპიტალდაბანდებები, ასევე საზღვარგარეთ კაპიტალის დიდი რაოდენობით გატანა. ბრიტანეთიდან ყოველწლიურად საზღვარგარეთ ინვენსტიციების სახით გაედინება მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5 %, რაც სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მაღალია. საზღვარგარეთული ინვესტიციების დაახლოებით 40% ხმარდება გადამამუშავებელ მრეწველობას, 20 % - ნავთობის მრეწველობას, 28% - ვაჭრობას და 15 % - საბანკო-სადაზღვევო საქმეს. ყოველივე ამის შედეგად დიდ ბრიტანეთს ფაქტიურად საზღვარგარეთ გააჩნია "მეორე ეკონომიკა", საიდანაც იგი დიდძალ შემოსავალს ღებულობს.

— დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მისი დამოკიდებულება საგარეო კავშირებზე.

მრეწველობის 60 % მუშაობს იმპორტულ ნედლეულზე. იმპორტზეა დამოკიდებული აგრეთვე ქვეყნის სურსათით მომარაგებაც, თუმცა, ბოლო წლებში საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, შემცირდა კვების პროდუქტების იმპორტი. მეორე თავისებურებაა ის, რომ მრეწველობა ძირითადად მუშაობს ექსპორტზე. ქვეყანაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტი გადის საზღვარგარეთ. განსაკუთრებით დიდია საქონლის რეექსპორტი. შემოაქვს ნედლი ნავთობი, გააქვს-ნავთობპროდუქტები, შემოაქვს მატყლი, ბამბა და გააქვს ქსოვილები და ტანსაცმელი. შემოაქვს ჩაის ნახევარფაბრიკატები, გააქვს დაფასოებული ჩაი, შემოაქვს კაუჩუკი, გააქვს რეზინი და მისი ნაწარმი. და ა.შ.

განუხრელად იზრდება ბრიტანეთის ეკონომიკის მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. მატულობს როგორც პროდუქციის ექსპორტი, ასევე იმპორტიც. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ქვეყნის საექსპორტო ქვოტა 12 % გაიზარდა, ხოლო საიმპორტო-14%. ყველაზე მეტად ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებებია: ხელსაწყოთმშენებლობა (საექსპორტო ქვოტა 61%) ქიმიური მრეწველობა (47%), საავტომობილი მრეწველობა (46%), საერთო მანქანათმშენებლობა (43%), ტექსტილური და ტყავის მრეწველობა (33%). საერთაშორისო ბაზრისათის სპეციალიზებულია ენერგოძალოვანი მანქანათმშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, პოლიგრაფიული მრეწველობა და სხვა. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში იზრდება საექსპორტო პროდუქციის ანალოგიური პროდუქციის იმპორტიც. მაგრამ ეს მარტო ბრიტანეთისათვის არაა დამახასიათებელი.

V დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო სექტორის მაღალი ხვედრითი წონა. სახელმწიფო არის ქვეყნის დიდძალი კაპიტალისა და ფულადი რესურსების მფლობელი/სახელმწიფოს დანახარჯები მთლიანად შიდა ეროვნული პროდუქტის წარმოებაში 1999 წ. 40,3 % შეადგენდა. რაც სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მაღალია, ბოლო წლებში ყოველწლიურად

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები 10 მლიარდ გირვანქა სტერლინგს აღემატება. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია მომუშავეთა 24%.

სახელმწიფო საწარმოების ძირითადად კონცენტრირებულია ინფრასტრუქტურის დარგებში: ენერგეტიკაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაზე, შავ მეტალურგიაში, თვითმფრინავმშენებლობაში, საერთო მანქანათნშენებლობაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროებში. სახელმწიფო საწარმოთა ორი ფორმა არსებობს: 1. სახელმწიფო კორპორაციები, რომლებიც აერთიანებენ ერთი დარგის საწარმოებს და 2. შერეული-სახელმწიფო და კერძო კაპიტალის აქციონერული კომპანიები. სახელმწიფო მეწარმეობა დიდ ბრიტანეთში დღემდე ინარჩუნებს მყარ პოზიციებს. ამჟამად იგი ვითარდება უფრო მეტად შერეული მეწარმეობის ფორმით. წარმოებს კერძო კომპანიების მიერ სახელმწიფო საწარმოთა აქციების შესყიდვა და პირიქით.

დიდი ბრიტანეთი ევროპაში გამოირჩევა სამხედრო ხარჯების დიდი რაოდენობით და აგრეთვე ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტში მაღალი ხვედრითი წონით. 1990წ. სამხედრო ხარჯების ხვედრითი წილი მშპ 4% აღწევდა. ამჟამად იგი 2,5 % შეადგენს, მაშინ როდესაც გერმანიაში შესაბამისი მაჩვენებელი-1,5 %, საფრანგეთში-2,1%, იტალიაში-1,9 % უდრის. ბრიტანეთი მსოფლიოში მესამე ატომური ქვეყანაა. ეკონომიკის მილიტარიზაცია კი უარყოფითად მოქმედებს სამოქალაქო დარგების განვითარებაზე. მართალია, საშხედრო შეკვეთების ხარჯზე იზრდება დასაქმება, მცირდება უმუშევრობა, მაგრამ სპეციალისტების აზრით ეკონომიკის მილიტარიზაცია და დიდძალი სამხედრო ხარჯები არის მსოფლიო ეკონომიკაში დიდი ბრიტანეთის პოზიციების შესუსტების ერთ-ერთი მიზეზი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდი ბრიტანეთი ჩამორჩება სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს უახლესი ტექნოლოგიების პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის მხრივ. თუმცა, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა უახლესი პროდუქციის წარმოება. სპეციალისტების გაანგარიშებით, ბრიტანეთის საფირმო 10 ათასი ნაწარმიდან მხოლოდ 25% შეესაბამება მსოფლიოს

სტანდარტებს და 16% ახლოსაა საერთაშორისო სტანდარტებთან. ნაკლებად მეცნიერებატევად დარგებში უკეთესი მდგომარეობაა და ამ დარგების პროდუქციას გასაღების ფართო ბაზარი გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ XXს. 90-იანი წლებიდან დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის განვითარების ტემპები დაჩქარდა. 1993-98 წ.წ. ეკონომიკის ზრდის საშუალო ტემპი 2,7 %, ხოლო 1999-2000წ.წ. 3,1 % შეადგენდა. ეკონომიკის აღმავლობის მნიშვნელოვანი წყარო გახდა მოსახლეობის სყიდვითუნარიანობის ამაღლება (3,5%). განსაკუთრებით გაიზარდა მოსახლეობის დანახარჯები ხანგრძლივი სარგებლობის საქონელზე. მარტო 2000 წ. გაიყიდა 2 მილიონი მობილური ტელეფონი, რომელსაც ამჟამად 40 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც. 2000 წ. ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო და 26,5 მილიონ კაცს შეადგენდა. ამავე წელს რეალური ხელფასი 5% გაიზარდა. უმუშევართა რაოდენობა 5,3 % შემცირდა. ამასთან ქვეყანაში სხვადასხვა სამუშაოთა 1 მილიონი ვაკანსია იყო. კომპანიების დიდი ნაწილი განიცდის ახალ სპეციალობათა მუშახელის ნაკლებობას, განსაკუთრებით მშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. ხელისუფლება იძულებული გახდა სოფლისმეურნეობისათვის გაეზარდა სეზონური მუშახელის შემოყვანის ქვოტა.

ეკონომიკის აღმავლობამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება. 1999წ. ბიუჯეტი გადაჭარბებული იქნა 17,1 მილიარდი, 2000 წ. -19,2 მილიარდი, ხოლო 2001 წელს - 23,1 მილიარდი გირვანქა სტერლინგით. ბიუჯეტში დაგროვილმა ზედმეტმა თანხამ კი საშუალება მისცა ლეიბორისტებს გაეტარებინათ პოპულარული ღონისძიებები. გაიზარდა ხელფასები და პენსიები. ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყო თანხები. გაიზარდა მცირე ბიზნესის სტიმულირების ხარჯები, შემოღებულ იქნა საგადასახადო შეღავათები და ა.შ.

გარდა მსხილი მონოპოლიზირებული წარმოებისა, ბრიტ-

ანეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წვრილი და საშუალო ფირმების დიდი რაოდენობით არსებობა. ქვეყანაში მოქმედებს 1,3 მილიონამდე წვრილი და საშუალო ფირმა. ასეთი ფირმების არსებობა გამოწვეულია ობიექტური პირობებით. წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება და გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურის შეცვლის აუცილებლობა ხელს უწყობს წვრილი და საშუალო ფირმების არსებობას, რომლებსაც სწრაფად შეუძლიათ საწარმოო პროცესებში ცვლილებების შეტანა არსებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

წვრილი ფირმები პრაქტიკულად მოქმედებენ ეკონომიკის ყველა დარგში: მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროებში. ამასთან მათი რაოდენობა განუხრელად იზრდება. წვრილი და საშუალო ფირმები, როლებიც სპეციალიზებული არიან ერთი ან რამდენიმე სახეობის პროდუქციის წარმოების მიხედვით აღწევენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას, ამიტომ ხშირად მათ პროდუქციის წარმოება უფრო იაფი უჯდებათ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ისინი სულ უფრო და უფრო მეტად ორიენტებული არიან უცხოეთის ბაზარზე, რასაც ხელს უწყობს ხელისუფლება, რომელიც ექსპორტზე დანახარჯების ნაწილს თვითონ ეწევა.

3. მრეწველობა და მისი დარგები

✓ მრეწველობა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის საფუძველია. მრეწველობაში დასაქმებულია 12 მილიონზე მეტი კაცი და იწარმოება მშპ 1/3-ზე მეტი (ენერგეტიკისა და მშენებლობის ჩათვლით). იგი ეწევა სხვადასხვა სახეობის ნედლეულის მოპოვებასა და გადამუშავებას და შესაბამისად მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობად იყოფა. ძირითადად მრეწველობაზეა დამოკიდებული მთელი ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

დიდი ბრიტანეთის მრეწველობა ძირითადად მუშაობს შემოტანილი ნედლეულით და წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილიც ორიენტირებულია საგარეო ბაზარზე. მისთვის დამახასიათებელია ერთის მხრივ, მრეწველობის თანამედროვე დარგების სწრაფი განვითარება და მეორეს მხრივ, ძველი ტრადიციული დარგების განვითარების ჩამორჩენა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: ელექტრონიკა, ზუსტი მანქანათმშენებლობის თანამედროვე დარგები, ქიმიური მრეწველობა. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ნახშირის მრეწველობა, საფეიქრო მრეწველობა, გემთმშენებლობა, შავი მეტალურგია.

მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად დაჩქარდა გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება. ამჟამად მის დარგებში დასაქმებულია მრეწველობაში მომუშავეთა 3/4, ხოლო მათ მიერ წარმოებული პროდუქცია მთელი მრეწველობის პროდუქციის 90% აღემატება.

გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა აქვს მანქანებისა და ზუსტი ხელსაწყოების წარმოებას, შემდეგ მოდის ქიმიური მრეწველობა და კვების მრეწველობა.

მრეწველობაში საწარმოო პროცესების კონცენტრაციამ და ცენტრალიზაციამ გამოიწვია მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანების ჩამოყალიბება. მრეწველობის ზოგიერთ დარგში პროდუქციის წარმოების თითქმის 90% უმსხვილესი კორპორაციების ხელშია. ასეთი კორპორაციებია: "იმპერიალ ქემიკალ ინდასტრიზ", "ივნილეევერ", "ბრიტიშ ლეილანდ", "ჯენერალ ელექტრიკ კომპანი", "ბრიტიშ პეტროლიუმი" და სხვები. თვითეულ ამ კომპანიაში დასაქმებულია 200 ათასზე მეტი მუშა- მოსამსახურე.

დიდი ცვლილებები ხდება მრეწველობის განლაგების თვალსაზრისითაც. სამრეწველო საწარმოთა ძირითად ნაწილი თავმოყრილია დიდ ქალაქებსა და კონურბაციებში, ინდუსტრიულ ცენტრებში, რომლებიც ეკონომიკურად და კულტურულად მაღალგანვითარებულ რეგიონებს წარმოადგენენ. მაგრამ ამასთან

ერთად , ჯერ კიდევ შემორჩა ე.წ. დეპრესირებული რეგიონები, სადაც თავმოყრილია მრეწველობის ძველი, ტრადიციული დარგები: ქვანახშირის მოპოვება, ფოლადის წარმოება, საფეიქრო მრეწველობა, გემთმშენებლობა. ამ დარგებს ყველაზე უფრო მეტად შეეხო წარმოების დაქვეითება. დაქვეითების მიზეზი კი იყო ის, რომ ზოგიერთმა დარგმა დაკარგა საექსპორტო ბაზრები, ან მათი პროდუქცია შეიცვალა ახალი უკეთესი პროდუქციით. მაგალითად, ქვანახშირი- ნავთობით, შალი და ბამბასინთეზური ბოჭკოთი, წარმოების დაქვეითებამ კი უმუშევრობის გაზრდა გამოიწვია. მთავრობამ შეიმუშავა ახალი რეგიონალური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს დეპრესირებული რეგიონებისადმი დახმარების გაწევას, დეპრესირებულ რაიონებში ახალი საწარმოების მშენებლობის დაწყებას. ინვესტიციების მოზიდვის მიზნით დაწესებულია მნიშვნელოვანი შეღავათები. კომპანიები, რომლებიც დეპრესირებულ რაიონებში განალაგებენ საწარმოებს ღებულობენ სხვა დახმარებებსაც: შეღავათიან არენდას, სახელმწიფო შეკვეთებს ყველაზე ხელსაყრელ პირობებით და ა.შ. დიდ ქალაქებში ახალ საწარმოთა მშენებლობის შეზღუდვის მიზნით გამკაცრებულია საგადასახადო რეჟიმი, მოხსნილია ყოველგვარი შეღავათები.

დიდი ბრიტანეთის სამრეწველო წარმოების პროდუქციის ზრდა XX საუკუნეში შემდეგ სურათს იძლევა. (მილიარდი დოლარი, შესადარი ფასები)

1900წ.	1913წ.	1950წ.	1970წ.	1990წ.	2000წ.
53,0	73,0	130,0	245,0	300,0	335,0

სამრეწველო წარმოების მოცულობა უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში გაიზარდა 6-ჯერ და უფრო მეტად. წარმოების ზრდა ძირითადად ახალი და უახლესი პროდუქციის წარმოების ხარჯზე მოხდა. მაგრამ გაიზარდა აგრეთვე ძველი, ტრადიციული პროდუქციის: თუჯისა და ფოლადის, საფეიქრო ნაწარმის, ფეხსაცმლის წარმოებაც, გარდა ქვანახშირის მოპ-

ოვებისა, რომელიც არა თუ გაიზარდა, არამედ პირიქით შემ-
ცირდა (270 მლნ ტონიდან 110 მლნ ტონამდე).

√დიდი ბრიტანეთის მრეწველობის ძირითადი დარგებია: ენ-
ერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლო-
ბა, ქიმიური მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, კვების
მრეწველობა, ქაღალდისა და ხე-ტყის მრეწველობა, პოლი-
გრაფიული მრეწველობა, საშენი მასალების მრეწველობა და
სხვა. √

ენერგეტიკა აერთიანებს სათბობის მომპოვებელ და
გადამამუშავებელ მრეწველობას და ელექტროენერგეტიკას. სათ-
ბობის მომპოვებელი დარგები ეწევა ქვანახშირის, ნავთობის,
ბუნებრივი აირის, ტირიფის,საწვავი ფიქლების და სხვათა მოპ-
ოვებას.

ქვანახშირის მოპოვება უძველესი დარგია. პირველ
მსოფლიო ომამდე ბრიტანული ქვანახშირი მსოფლიო ბაზარზე
გაბატონებული იყო. 1913 წელს მისმა მოპოვებამ რეკორდულ
დონეს 287 მილიონ ტონას მიაღწია. ქვეყნის მოთხოვნილება
საწვავზე მთლიანად დაკმაყოფილებული იყო. ამასთან, ქვანახ-
შირის მნიშვნელოვანი რაოდენობა საზღვარგარეთ გაჰქონდათ.
ქვანახშირის საბადოთა გარშემო იქმნებოდა სამრეწველო კო-
მპლექსები. მაგრამ დროთა განმავლობაში ქვანახშირს გამოუჩნ-
და კონკურენტები: ნავთობი და ბუნებრივი აირი, ჰიდროენერგია,
რომლებიც უფრო იაფია და გამოსაყენებლადაც უფრო ადვილ-
ია. ამის გამო დაიწყო ქვანახშირის მოპოვების შემცირება. ამჟა-
მად იგი 105-110 მილიონ ტონამდე შემცირდა. მიუხედავად ამისა
ქვანახშირი რჩება ქვეყანაში საწვავის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.
ქვანახშირი ძირითადად იხარჯება თბოელექტროსადგურებში
ელექტროენერგიის საწარმოებლად და მეტალურგიაში კოქსი-
სათვის.

ნავთობის მოპოვება ჩრდილოეთის ზღვის აკვატო-
რიაში ხდება. ბოლო წლებში წლიური მოპოვება 100-110 მილ-
იონ ტონამდე გაიზარდა. გარდა ამისა, ბრიტანეთის ნავთობის
კომპანიებს ნედლი ნავთობი შემოაქვთ საუდის არაბეთიდან, კუ-

ვეიტიდან, ირანიდან და ლიბიიდან. ადგილობრივი და შემოტანილი ნავთობის გადამუშავება სწარმოებს მსხვილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში,რომლებიც განლაგებული არიან პორტებთან ახლოს. [ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები აშენდა შოტლანდიაში. ნავთობის უმსხვილესი კომპანიებია: "როიალ დატჩ შელჩ,"ბრიტიშ პეტროლიუმჩ, "ალტრემარჩ, "ბრიტიოლჩ. აქედან ყველაზე დიდია "როიალ დატჩ შელჩ, რომელიც ინგლისურ-ჰოლანდიური კომპანიაა და ნავთობპროდუქტების წარმოებისა და ვაჭრობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. მასზე მოდის მსოფლიოში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ვაჭრობის 8%. "ბრიტიშ პეტროლიუმჩ, მსოფლიოში მე-5 ადგილზეა. მას თავისი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები აქვს მსოფლიოს 19 ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ეს კომპანია ნავთობის მოპოვებას ეწევა საქართველოშიც.

გ ა ზ ი ს მოპოვება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. დიდი ბრიტანეთს საკუთარი გაზი ყოფნის. გარდა ბუნებრივი გაზისა მისი მიღება ხდება ქვანახშირიდანაც. გაზი გამოიყენება, როგორც სამრეწველო საწარმოებში, ასევე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. გაზის მოპოვება ხდება ხუთი ძირითადი საბადოდან. აღსანიშნავია, რომ გაზის მოხმარება განუხრელად იზრდება, რადგან იგი ეკოლოგიურად უფრო სუფთაა და თანაც იაფია.

ე ლ ე ქ ტ რ ო ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ა. ელექტროენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის განვითარების მიხედვით დიდ ბრიტანეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 300 მილიარდ კვტსაათს აღწევს. ქვეყანა ელექტროენერგიით უზრუნველყოფილია. გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით 80% იწარმოება თბოელექტროსადგურებში, დანარჩენი ატომურ ელექტროსადგურებში და ჰიდროელექტროსადგურებში. ელექტროენერგიის საწარმოებლად გამოყენებულია ქარის ენერგიაც. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია ატომური ელექტროსადგურების სამძლავრისა და

მათ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის მიხედვით. მოქმედებაშია 20-ზე მეტი ატომური ელექტროსადგური. პირველი ატომური ელექტროსადგური ამუშავდა 1956 წელს-კოლდერხოლის აეს-ი, რომლის დადგმული სიმძლავრე 184 ათასი კილოვატი იყო. შემდეგ მას მოჰყვა უფრო მძლავრი აეს-ის აშენება. თბოელექტროსადგურებთან შედარებით ატომური ელექტროსადგურები ელექტროენერგიის უფრო სუფთა წყაროა, მაგრამ ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას მისი უსაფრთხოების საკითხები. მათი ტერიტორიული კონცენტრაცია, რასაც ადგილი აქვს დიდ ბრიტანეთში იწვევს ტერიტორიის "თბურ გაჯუჯყიანებას." დიდ სირთულეს წარმოადგენს აგრეთვე რადიაციული ნარჩენების უტილიზაცია და "დაშარხვა".

ჰიდროელექტროსადგურები შედარებით მცირე სიმძლავრისაა. მათი უმრავლესობა თავმოყრილია შოტლანდიაში. ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის მთელი წარმოებული ელექტროენერგიის 2%.

დიდი ბრიტანეთის ელექტროსადგურები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით. შექმნილია ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა-"სუპერგრიდი". ენერგოსისტემა თავის მხრივ წყალქვეშა კაბელებით დაკავშირებულია საფრანგეთის ენერგოსისტემასთან და წარმოებს ელექტროენერგიის ურთიერთ მიწოდება.

შ ა ვ ი მ ე ტ ა ლ ურ გ ი ა მრეწველობის უძველესი დარგია, რომელიც სათავეს მე-18 საუკუნიდან იღებს. ამჟამად ფოლადის წლიური წარმოება 18-20 მილიონ ტონას, ხოლო თუჯისა-12-13 მილიონ ტონას შეადგენს. მეტალურგიულ ქარხნები უფრო მეტად განლაგებულია ქვანახშირის აუზებთან ან პორტებთან ახლოს. ისინი ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობენ, მაგრამ ნაწილობრივ მაღალხარისხოვანი რკინის მადანი საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ქარხნები ძირითადად უშვებენ მაღალხარისხოვან ლეგირებულ, უჟანგავ ფოლადს. დარგი მონოპოლიზებულია. მაღალხარისხიანი ფოლადისა და ფოლადის ნაგლინების ნახევარზე მეტი თავმოყრილია კომპანია "ბრიტიშ

სტილის" ხელში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა.

ფ ე რ ა დ ი მ ე ტ ა ლ უ რ გ ი ა. დიდი ბრიტანეთის ფერადი მეტალურგია უდიდესია ევროპაში. იგი თითქმის შემოტანილ ნედლეულზე ძუშაობს. ამიტომ ფერადი მეტალურგიის ქარხნები განლაგებულია პორტებთან ახლოს. წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი საექსპორტოა. ფერადი მეტალურგიის ძირითადი რაიონია-მიდლენდი, სადაც თავმოყრილია ამ დარგის საშუალო და მცირე სიდიდის ქარხნები. მაგრამ ფერადი ლითონების ძირითადი მწარმოებელი ორი უმსხვილესი კომპანიაა-"რიო-ტინტო-ზინკ" და "ჯონსონ-მატე". ამ კომპანიებს ფერადი ლითონების მოპოვებისა და გადამუშავების ქარხნები განლაგებული აქვთ 40-მდე ქვეყანაში. ისინი ეწევიან თითქმის ყველა სახის ფერადი ლითონების წარმოებას, აგრეთვე ურანისა და პელიუმის, გერმანიუმის და სხვათა მოპოვებასა და გადამუშავებას. ესენი გამოიყენება ატომურ მრეწველობაში, თვითმფრინავშენებლობაში და ელექტრონიკაში.

მ ა ნ ქ ა ნ ა თ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა დიდი ბრიტანეთის მრეწველობის ყველაზე დიდი და წამყვანი დარგია მანქანათმშენებლობა, სადაც დასაქმებულია გადამამუშავებელ მრეწველობაში მომუშავეთა 1/4-ზე მეტი. მანქანათმშენებლობიდან ყველაზე დიდია სანტრანსპორტო მანქანათმშენებლობა, რომელიც უშვებს სხვადასხვა სახის ავტომანქანებს, საპაერო და საზღვაო ლაინერებს, თბომავლებს და ელმავლებს, რკინიგზის ვაგონებს და გადაადგილების სხვა საშუალებებს.

დიდი ბრიტანეთის საავტომობილო კომპანიები ავტომანქანების წარმოების ოდენობის მიხედვით მე-3 ადგილზე იმყოფებიან. უდიდესი საავტომობილო კომპანიებია "ბრიტიშ ლეილანდ" და "ლუკას ინდასტრიზ". ყოველწლიურად ქვეყანაში იწარმოება 2 მილიონზე მეტი მსუბუქი ავტომანქანა და ნახევარ მილიონზე მეტი სატვირთო მანქანა და ავტობუსი. ავტომანქანების წარმოების ცენტრებია ბირმინგემი და საშხრეთ-

აღმოსავლეთი ინგლისი. წარმოებული ავტომანქანების ნახევარზე მეტი საექსპორტოა.

თ ვ ი თ მ ფ რ ი ნ ა ვ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა. დიდი ბრიტანეთის ყველაზე სწრაფად განვითარებული დარგია. ამ დარგში გაბატონებულია სახელმწიფო კომპანია "ბრიტიშ აეროსპეისი", რომელიც ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა მსოფლიოში. ეს კომპანია საფრენი აპარატების წარმოების მიხედვით მეორე ადგილზეა მსოფლიოში. იგი ძირითადად სპეციალიზებულია სამოქალაქო და სამხედრო თვითმფრინავების წარმოებაში. მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე სათანამგზავრო კავშირგაბმულობის საშუალებათა დაპროექტებასა და წარმოებაში. ამ კომპანიის მიერ საფრანგეთის მონაწილეობით წარმოებული იქნა ზებგერითი სიჩქარის ლაინერი "კონკორდი" [მეორე უდიდესი ფირმაა "უესტლენდ ერკრაფტ", რომელიც უშვებს შვეულმფრენებს.] თვითმფრინავის ძრავების წარმოებაში სპეციალიზებულია კომპანია "როლს როისი". მის მიერ გამოშვებული ძრავები მსოფლიო ბაზარზე სარგებლობს საუკეთესო რეპუტაციით. თვითმფრინავების წარმოების ოდენობის მიხედვით დიდი ბრიტანეთს მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. ქვეყანაში იწარმოება 20-მდე ტიპის სამოქალაქო და სამხედრო თვითმფრინავი, აგრეთვე რაკეტები და ჯურვები.

გ ე მ თ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა უძველესი დარგია. XX ს. პირველ ნახევარში დიდი ბრიტანეთი საზღვაო ლაინერების წარმოების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფებოდა. მაგრამ 60-იანი წლებიდან მას გაუსწრო იაპონიამ და სხვა ქვეყნებმაც. მაგრამ ბრიტანეთის გემთმშენებლობა ცნობილია ძრავალი სახეობის გემების წარმოებითა და მათი უმაღლესი ხარისხით. ქვეყანაში იწარმოება ტანკერები, სამგზავრო ლაინერები, ბარჟები, ტრაულერები, წყალქვეშა გემები, ყინულმჭრელები, ზღვის ფსკერის ბურღვის მცურავი დანადგარები და სხვა. [გემთმშენებლობის ცენტრია მდ. კლაიდის შესართავი და ქ. ბელფასტი.]

ელექტროტექნიკა მანქანათმშენებლობის მზარდი დარგია, რომელიც დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა. ელექტროტექნიკის პროდუქციას (ელექტროძოტორი, გენერატორი, ტრანსფორმატორი, და ტურბინი) ძირითადად უშვებს მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია "ჯენერალ ელექტრიკ", რომელსაც ბოლო წლებში შეუერთდა ორი უდიდესი ფირმა- "ინგლიშ ელექტრიკ" და "ასოშიეიტედ ელექტრიკოლ ინდასტრიზ".

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ელექტრონიკა, რომლის საწარმოები უფრო მეტად განლაგებულია შოტლანდიაში. ხელისუფლება დაინტერესებულია ამ დარგის განვითარებით და ყოველნაირად ხელს უწყობს მას. სახელმწიფოს ხელისშეწყობით მოხდა ამ დარგის ფირმების გაერთიანება ერთ მსხვილ კომპანიაში-"ინტერნეიშნლ კომპიუტერზ"-ში. ექსპორტის მოცულობის მიხედვით ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა ერთ-ერთი წამყვანი დარგია.

ქიმიურიმრეწველობა - მრეწველობის წამყვანი და სწრაფად განვითარებადი დარგია. იგი უშვებს 1000-ზე მეტი დასახელების პროდუქციას. მათ შორის: სინთეთიკურ მასალებსა და პლასმასებს, სასუქებსა და პერბიციდებს, სინთეთიკურ კაუჩუკს, ქიმიურ ბოჭკოს, საღებავებს, სარეცხ საშუალებებს, პარფიუმერიას, ფარმაცევტულ პრეპარატებს, სხვადასხვა ქიმიკატებს და ა.შ. ქიმიური პროდუქციის ძირითადი მწარმოებლებია 100-მდე კონცერნი. მათ შორისაა ტრანსნაციონალური და ნაციონალური კომპანიები: იკი, "იმპერიელ გრუპ", "ბიჩემ გრუპ", "ბუტს გრუპ" და სხვები. ქიმიური ქარხნები მუშაობენ ადგილობრივ და შემოტანილ ნედლეულზე. მათი ძირითადი ნედლეულია ნავთობი და გაზი, სხვადასხვა ქვამარილები, ზღვის წყალი, ქვანახშირის დაკოქსვის პროდუქტები.

ქიმიური მრეწველობის ახალი დარგია ნავთობქიმია, რომელიც ვითარდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ბაზაზე. ნავთობის ქიმიური დამუშავების ბაზაზე მიიღება უამრავი პროდუქცია, მათ შორის ხელოვნური ხიზილალაც.

ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ - მრეწველობის ძველი ტრადიციული დარგია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისამდე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და ექსპორტის მიხედვით გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებს შორის პირველ ადგილზე იყო. მაგრამ მე-20 საუკუნეში სხვა ქვეყნებში ამ დარგის განვითარებისა გამო საექსპორტო ბაზარი შემცირდა პროდუქციის გასაღება გაძნელდა და ამის გამო ბამბისა და შალის ქსოვილების წარმოება შემცირდა. მასზე იმოქმედა აგრეთვე უფრო იაფი ხელოვნური და სინთეზური ქსოვილების მოზღვავებამ.

ამჟამად შალის ქსოვილების წარმოება ძირითადად დასავლეთ იორკშირში წარმოებს, ხოლო ბამბის ქსოვილისა-ლანკაშირში. ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, ნართისა და ქსოვილების წარმოება კონცენტრირებულია ორი კორპორაციის "კერტოლდის" და "ბრიტიშ ნაილონ სპინერზის" ხელში. ამ კომპანიების ფაბრიკები განლაგებულია თითქმის ყველა რეგიონში.

ამჟამად საფეიქრო მრეწველობა დიდ ცელილებებს განიცდის. მიმდინარეობს საწარმოო პროცესების მოდერნიზაცია და ინტენსიფიკაცია, ფაბრიკების უახლესი ტექნიკით აღჭურვა

ᲙᲕᲔᲑᲘᲡᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ბრიტანეთის მრეწველობის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული დარგია, რომელიც ეწევა ადგილობრივი და შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებას. კვების მრეწველობის საწარმოები განლაგებულია ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, ან მოხმარების რაიონებში, აგრეთვე ნავსადგურების მახლობლად. მისი ცალკეული დარგებიდან აღსანიშნავია ხორცისა და რძის პროდუქტების, შაქრის, თამბაქოს, ლუდისა და არყის წარმოება

მსოფლიოში ცნობილია შოტლანდიური ვისკის წარმოება, რომლის უდიდესი ნაწილი საექსპორტოა და ქვეყნისათვის დიდი შემოსავალი მოაქვს. დიდი ბრიტანეთი გამოირჩევა მაღალხარისხიანი კვების პროდუქტების წარმოებით.

იმპორტული ნედლეულის საფუძველზე მნიშვნელოვნადაა განვითარებული ქ ა ღ ა ლ დ ი ს ა და ც ე ლ უ ლ ო ზ ი ს წარმოება. ქვეყანაში მოთხოვნილება ქაღალდზე სულ უფრო და უფრო იზრდება პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით. დიდი ბრიტანეთი კი მსოფლიოში ცნობილია თავისი პოლიგრაფიული მრეწველობით, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვის მაღალი კულტურით.

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ს ა შ ე ნ ი მ ა ს ა-ლ ე ბ ი ს წარმოებას, რომელიც ძირითადად ვითარდება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. საშენ მასალებზე კი მოთხოვნილება განუხრელად იზრდება სააშენებლო ინდუსტრიის ზრდასთან დაკავშირებით. ბრიტანეთი მსოფლიოში ცნობილია მაღალი ხარისხის მინისა და ფაიფურ-ფაიანსის ნაწარმით, რომლისათვისაც საჭირო ნედლეულით (კაოლინით) იგი მდიდარია.

4. სოფლის მეურნეობა და მისი დარგები.

მეორე მსოფლიო ომამდე დიდ ბრიტანეთში სოფლის მეურნეობის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რადგან ქვეყნის მოთხოვნილება კოლონიებიდან შემოტანილი იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით კმაყოფილდებოდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წლებში კოლონიებიდან სურსათისა და ნედლეულის შემოტანა გაძნელდა. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა წაეხალისებინა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ასევე ომისშემდგომ წლებში მძიმე ფინანსური მდგომარეობისა გამო ხელისუფლება იძულებული გახდა შეემცირებინა სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი და გაეზარდა საკუთარი წარმოება.

ამჟამად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მომუშავეთა დაახლოებით 3%. საშუალოდ ერთ მომუშავეზე მოდის 1/3 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა. მაგრამ წარმოების მაღალი ინტენსიფიკაციის გამო სურსათზე და სასოფლო-სამეურნეო

ნედლეულზე ქვეყნის მოთხოვნილებათა დიდი ნაწილი ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდება. ადგილობრივი წარმოება მთლიანად უზრუნველყოფს მოთხოვნილებებს: ქერზე, შვრიაზე, კარტოფილზე, ფრინველისა და ღორის ხორცზე, კვერცხზე და რძეზე. სხვა პროდუქტებზე მოთხოვნილებათა გარკვეული ნაწილი იმპორტით იფარება. ასეთებია: შაქარი, კარაქი, ხორბალი, საქონლისა და ხბოს ხორცი, ხილი და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება 19 მილიონამდე ჰექტარი მიწა, აქედან 12 მილიონი ჰექტარი მიწა უკავია საძოვრებს. საძოვრებს უფრო მეტად უკავია მთიანი რაიონების მიწები, ხოლო დაბლობები ძირითადად ნათესი და მრავალწლიანი ნარგავებითაა დაკავებული. საძოვრებს 3-ჯერ მეტი ტერიტორია უკავია, ვიდრე მარცვლეულ კულტურებს. დიდი ბრიტანეთის ბუნებრივი პირობები უფრო ხელსაყრელია მეცხოველეობის განვითარებისათვის, ვიდრე მიწათმოქმედებისათვის. მეცხოველეობა იძლევა მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 65%, ხოლო მიწათმოქმედება-35%. ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 14 მილიონს აღემატება, ცხვრისა-28 მილიონს, ღორისა დაახლოებით 8 მილიონს. ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია მეფრინველეობის ფაბრიკებში.

მეცხოველეობის ძირითადი დარგია მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბა. დიდი ბრიტანეთი ცნობილია მაღალი პროდუქტიულობის საქონლით. მოშენებულია მეხორცეობისა და მერძეობის მიმართულების ჯიშები. მერძეობისა- წითელი დევონის ძროხები, ღია ფერისა და შავ-თეთრი ჯიშის ძროხები, ჯერსის, კერის ჯიშები. ასევე ცნობილია სახორცე ჯიშებიც: ჰერეფორდი, გელოუეი. ბრიტანული საქონლის ჯიშებს ბევრი ქვეყანა ყიდულობს, მათ შორის ისინი შემოყავდათ საბჭოთა კავშირშიაც.

მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ა განვითარებულია უფრო მეტად მთიან რეგიონებში, სადაც მოშენებულია უელსური და შოტლანდიური ჯიშის ცხვრები, რომლებიც უპირატესად სახორცეა, ხოლო დაბლობებზე მოშენებულია რომნი-მარშის ჯიშის

ცხვრები. არის აგრეთვე სხვა ჯიშის ცხვრებიც. სულ 30-მდე ჯიშია რეგისტრირებული. ბრიტანული მატყლი და შალის ქსოვილი, რომელიც შუა საუკუნეებში მთავარი საექსპორტო საქონელი იყო, ქვეყანას დიდ შემოსავალს აძლევდა. ამჟამად კი მეცხვარეობაზე მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ 1%.

მ ე ღ ო რ ე ო ბ ა უფრო მეტად აღმოსავლეთ ინგლისში და ოლსტერშია განვითარებული, აგრეთვე მსხვილი ქალაქების გარეუბნებში, სადაც ღორის საკვებად გამოყენებულია კვების პროდუქტების გადამუშავების ნარჩენები. ყველაზე გავრცელებული ჯიშებია: ესექსის, უესექსის, ლენდრეის ჯიშები.

მ ე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ო ბ ა მაღალგანვითარებული დარგია. იგი მთლიანად გადაყვანილია ინდუსტრიულ ბაზაზე. ფრინველის ხორცითა და კვერცხით ქვეყანა მთლიანად უზრუნველყოფილია. ამასთან კვერცხი და ფრინველის ხორცი საზღვარგარეთ გააქვთ.

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. სახნავ-სათესებად ძიროთადად გამოიყენება ქვეყნის უფრო მშრალი და მზიანი მხარე. ესაა აღმოსავლეთი ინგლისი და სამხრეთ-აღმოსავლეთი შოტლანდია. ამ რაიონებში ნალექების რაოდენობა შედარებით ნაკლებია, ტემპერატურა უფრო მაღალია და მზის სხივებიც უფრო მეტია. მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე მეტი ფართობი უკავია ქერსა და ხორბალს. ქერი გამოიყენება ალაოს დასამზადებლად. ალაოსაგან კი ამზადებენ ლუდს ან ხდიან ვისკს. ქერი გამოიყენება აგრეთვე პირუტყვის საკვებად. ამასთან ქერი ჰაერის სიგრილეს უფრო იტანს და იგი დასავლეთის რაიონებშიაც მოჰყავთ. ხორბლის ძირითადი რაიონია აღმოსავლეთი ინგლისი. უფრო მეტად მოჰყავთ საპურე ხორბალი, რომლის მოსავლიანობა მაღალია და ჰექტარზე 65 ცენტნერს აღწევს. ასევე გავრცელებული მარცვლეულია შვრია, განსაკუთრებით შოტლანდიაში, სადაც მას საჭმელად-შოტლანდიის ფაფის დასამზადებლად იყენებენ. შვრია აგრეთვე გამოიყენება ცხენის საკვებად. მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ ნაკლებად ეფექტური კულტურის ნათესები მცირდება. სამაგიეროდ

იზრდება სიმინდის ნათესები. სიმინდს კი მრავალმხრივი გამოყენება აქვს.

ბრიტანეთის ტრადიციული კულტურაა-კარტოფილი, რომელიც მოჰყავთ თითქმის ყველგან, განსაკუთრებით ჩრდილოეთში ირლანდიაში და აღმოსავლეთ ინგლისსა და შოტლანდიაში. კარტოფილთან ერთად მოყავთ აგრეთვე პირუტყვისათვის საკვები ძირხვენები, განსაკუთრებით საკვები ჭარხალი, აგრეთვე კომბოსტო: დიდი ყურადღება ექცევა შაქრის ჭარხლის მოყვანასაც. მისი მოყვანა განსაკუთრებით გაიზარდა II მსოფლიო ომის წლებში, მაგრამ ამჟამადაც ხელისუფლება ხელს უწყობს მის მოყვანას. იგი ძირითადად მოჰყავთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. ვინაიდან მოთხოვნილება პირუტყვის საკვებზე დიდია, ამიტომ ნათესი ფართობების დიდი ნაწილი უკავია ნათეს ბალახებს და საკვებ კულტურებს.

დიდი ყურადღება ექცევა მ ე ბ ა ღ ე ო ბ ი ს ა და მ ე-ბ ო ს ტ ნ ე ო ბ ი ს განვითარებასაც. მას მისდევენ თითქმის ყველგან. მაგრამ განსაკუთრებით კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ესექსა და კენტში, რომელსაც დიდი ხანია ინგლისის "ბაღს" ეძახიან. დიდი ფართობი უკავია მარწყვის ნარგავებსაც. ტრადიციისამებრ შემოდგომის დასაწყისში ათასობით ქალაქები, თავიანთი ოჯახებით მიემგზავრებიან მარწყვის მოსაკრეფად, რათა დამატებითი შემოსავალი მიიღონ და იყონ სუფთა ჰაერზედაც. მარწყვის მოსავალი იმდენად დიდია, რომ მის ასაღებად მუშახელი შემოჰყავთ საზღვარგარეთიდანაც. რაც შეეხება მეხილეობას იგი უმნიშვნელოდაა განვითარებული. მისი ასორტიმენტი და პროდუქციის რაოდენობაც მოკრძალებულია.

მემცენარეობის მნიშვნელოვანი დარგია ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ-ი ს მ ო შ ე ნ ე ბ ა. უფრო მეტად მოშენებულია ღია ყვითელი ფერის ნარცისები, ხოლო ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ლანკაშირში გადაშლილია ჰოლანდიური ტიტების მინდვრები, რომლებიც უამრავ ტურისტებს იზიდავს.

დიდ ბრიტანეთში მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ფერმერულ მეურნეობებში იწარმოება. უფრო გავრცელებულია მსხვილი და საშუალო სიდიდის ფერმები. მაგრამ არის ე.წ.

საოჯახო ფერმებიც. საშუალოდ ერთ ფერმაზე მოდის 100 ჰექტარი მიწა, ხოლო მსხვილ ფერმები 1500-2000-მდე ჰექტარ მიწას ამუშავებენ. ფერმები ძირითადად სპეციალიზებულია რომელიმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიხედვით და იყენებენ დაქირავებულ შრომას. ფერმერთა უმრავლესობას მიწა იჯარით აქვთ აღებული, ხოლო ნაწილი საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავებას ეწევა. ფერმებში მთელი საწარმოო პროცესები მექანიზებული და ავტომატიზირებულია. მიწის დამუშავებისა და ცხოველთა შენახვა-მოვლის კულტურა მეტად მაღალია. მიუხედავად ამისა უმეტესი ფერმების რენტაბელობა დაბალია. იგი ძირითადად უზრუნველყოფილია ხელისუფლების დახმარებითა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ევროკავშირის ქვეყნებში ერთიანი სტაბილური ფასების არსებობით. თუმცა, სოფლის მეურნეობის ტექნიკაზე, საწვავზე, სასუქზე და პირუტყვის საკვებზე ფასების ზრდის გამო ბევრი ფერმა გაკოტრებამდე მიდის და სახელმწიფოსაგან შველას ითხოვს.

მე-20 საუკუნეში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დინამიკა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (პროდუქცია მილიარდი დოლარებით, 2000 წ. ფასებში)

1900წ.	1913წ.	1929წ.	1938წ.	1950წ.	1960წ.	1980წ.	2000წ.
6,0	6,5	7,0	7,5	8.0	10,5	14,5	21,0

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში 3,5 ჯერ გაიზარდა. მისი ზრდის ტემპი თანდათანობით მატულობს და ბოლო 20 წლის განმავლობასი თითქმის 1,5-ს მიაღწია. ეს მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა თითქმის 2-ჯერ შემცირდა. პროდუქციის წარმოების გადიდება მიღწეულ იქნა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის ხარჯზე.

დიდ ბრიტანეთში განვითარებულია თევზჭერაც. ჩრდილოეთის ზღვისა და ატლანტიკის ოკეანეში იჭერენ

ვირთევზას, პალტუსს და ქაშაყს. თევზჭერა ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. თევზჭერის ძირითადი ნავსადგურებია: პალი, გრეიტ-იარმუთი, აბერდინი, ფლიტვუდი და სხვები.

5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. მათზე მოდის ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქციის 8% და მის დარგებში დასაქმებულია მომუშავეთა საერთო რაოდენობის 6%-ზე მეტი. ქვეყანაში მოქმედებს ერთიანი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეობას: რკინიგზას, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტს, ავტოტრანსპორტს, საჰაერო ტრანსპორტსა და მილსადენ ტრანსპორტს.

ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო სისტემაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს ს ა ზ ღ ვ ა ო ტრანსპორტი. ვინაიდან დიდი ბრიტანეთი კუნძულოვანი ქვეყანაა და მისი საგარეო კავშირები ექსპორტ-იმპორტი ძირითადად საზღვაო ტრანსპორტის მეშვეობით ხდება. მას პირველი ადგილი უკავია ქვეყნის საერთო ტვირთბრუნვაში. მასზე მოდის ქვეყნის მთელი ტვირთბრუნვის 90%-ზე მეტი. საზღვაო ტრანსპორტი გამოიყენება, როგორც საგარეო, ასევე ქვეყნის შიდა გადაზიდვებშიაც.

დიდი ბრიტანეთის საზღვაო-სავაჭრო ფლოტი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. გემების საერთო ტონაჟის მიხედვით იგი მესამეა მსოფლიოში (აშშ-ის და იაპონიის შემდეგ), ხოლო საერთაშორისო გადაზიდვების მიხედვით პირველ ადგილზე იმყოფება. ასევე, მაღალია მისი ტექნიკური დონე, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო გადაზიდვებში დიდი ბრიტანეთის უპირატესობას. ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტის ნახევარზე მეტი 10 და ნაკლები წლისაა. იგი გამოირჩევა გემების მაღალ ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც. გემების ტვირთამწეობითა და მოძრაობის საჩქარით ძველი უნიკერსალური გემები შესცვალეს სპაციალიზებულმა

ტვირთმზიდველებმა, ტანკერებმა და კონტეინერმზიდველებმა. ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადაზიდვების ზრდასთან დაკავშირებით განუხრელად იზრდება ტანკერების ხვედრითი წილი. ამჟამად საზღვაო ტრანსპორტზე გადაზიდვების თვითღირებულება 17-ჯერ უფრო ნაკლებია, რკინიგზასთან შედარებით.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს 400-ზე მეტი ნავსადგური, რომელთა უმრავლესობა შიდა გადაზიდვებს ემსახურება. ხოლო საერთაშორისო გადაზიდვები უმთავრესად წარმოებს ლონდონისა, ლივერპულის, მანჩესტერის, გლაზგოს, პალის, ბრისტოლის, ნიუკასლის, დუვრის პორტებიდან.

ევროპის დიდ კონტინენტთან დიდი ბრიტანეთი დაკავშირებულია სარკინიგზო პარონებით(დუვრი-დიუნკერი, ხარდჟი-ოსპენდე) და მრავალი საზღვაო-საავტომობილო და სამგზავრო პარონებით დანიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, ჰოლანდიასთან და საფრანგეთთან.

სამდინარო ტრანსპორტისათვის გამოსადეგია მდინარეთა მთელი სიგრძის დაახლოებით 30%. ძირითადი სანაოსნო მდინარეებია: თემზა, სევერნი, ხამბერი, კლაიდი, ტაინი და სხვები. მდინარეები ერთმანეთთან დაკავშირებულია სანაოსნო არხებით. მაგრამ "სამდინარო გზა"თავისი რაბებითა და სხვა ნაგებობებით ტექნიკურად მოძველებულია და კონკურენციას ვერ უწევს ავტოტრანსპორტს. მნიშვნელოვანია მანჩესტერის არხი, რომელიც მანჩესტერს ზღვასთან აკავშირებს. მისი სიგრძეა 57კმ, სიღრმე-8,5 მეტრი, რაც საშუალებას იძლევა შემოვიდეს დიდი საზღვაო გემებიც. ამჟამად ტვირთბრუნვაში სამდინარო ტრანსპორტის როლი უმნიშვნელოა. მაგრამ სამდინარო გზები უფრო ტურისტული და საექსკურსიო მიზნებისათვის გამოიყენება.

დიდი ბრიტანეთი რკინიგზის ტრანსპორტის უძველესი ქვეყანაა. მსოფლიოში პირველი რკინიგზა ინგლისში იქნა გაყვანილი 1825 წელს ქალაქების დარლინგტონსა და სტოქტონს შორის. ასევე პირველი ტრამვაი ინგლისში იქნა გაყვანილი 1863 წელს და პირველი მეტრო 1890 წელს. რკინიგზის სიგრძე ომამდე 30,7 ათას კმ-ს შეადგენდა. ამჟამად 17,2 ათასი კმ-მდე შემცირდა. აქედან 2/3 ორგზიანი და

მრავალგზიანია. რკინიგზის მთელი ხაზების 20% ელექტროფიცირებულია. რკინიგზის სიგრძის შემცირება გამოიწვია არარენტაბელური და წამგებიანი უბნების დახურვამ. მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში მაინც გამოირჩევა რკინიგზის ქსელის დიდი სიხშირით. ყოველ 1000 კვადრატულ კმ-ზე მოდის დაახლოებით 70 კმ რკინიგზა.

·რკინიგზის ხვედრითი წილი ტვირთბრუნვასა და მგზავრთა გადაყვანაში მცირდება. ომამდე მასზე მოდიოდა ქვეყნის შიდა ტვირთბრუნვის 40%, ამჟამად დაახლოებით 15%. მიუხედავად ამისა, დიდი ბრიტანეთის რკინიგზა გამოირჩევა მაღალი სერვისითა და მომსახურებით. მისი ძირითადი მაგისტრალები ჩქაროსნულია. ლონდონსა და ედინბურგს შორის მოძრაობს სუპერექსპრესი, რომელიც საათში 200-მდე კმ-ი სიჩქარეს ანვითარებს.

ქვეყნის შიდა სატვირთო გადაზიდვებსა და მგზავრთა გადაყვანაში პირველ ადგილზეა ა ვ ტ ო ტ რ ა ნ ს პ ო რ-ტ ი. მასზე მოდის მთელი შიდა ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის ნახევარზე მეტი. ამჟამად ქვეყანაში 20 მილიონზე მეტი ავტომანქანაა. აქედან 19 მილიონზე მეტი მსუბუქი, ხოლო დანარჩენი ავტობუსი და სატვირთო ავტომანქანაა. ამასთან ერთად იზრდება და ფართოვდება საავტომობილო გზები. მიმდინარეობს ძველი გზების რეკონსტრუქცია და ახალი თანამედროვე მაგისტრალების მშენებლობა. საავტომობილო გზების ნახევარზე მეტი I, II ,III კატეგორიისაა. ხოლო დანარჩები დაბალი კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა, ისინი ასფალტითაა დაფარული. დიდი ყურადღება ექცევა ქალაქების დამაკავშირებელი ავტომაგისტრალების სიგრძის შემცირებას. ამ მიზნით მდინარეებზე შენდება ახალი ხიდები, გაყავთ გვირაბები, რათა შემცირდეს შემოვლითი გზები. მიუხედავად ამისა გზები ძალიან გადატვირთულია. ხშირია "საცობები". ავტომობილიზაციის ზრდას თან ახლავს გარემოს დაბინძურება, ნავთობის ჭარბი ხარჯვა, ავტოსაგზაო შემთხვევები და ა.შ. მიუხედავად ამისა ავტოტრანსპორტმა შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი, ადამიანები უფრო მობილურები გახადა და ხელი შეუწყო მათი დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენებას.

მნიშვნელოვან აღმავლობას განიცდის ს ა პ ა ე რ ო ტრანსპორტი. იგი კონკურენციას უწევს საზღვაო ტრანსპორტს. ამჟამად შორეულ მანძილზე და უპირველეს ყოვლისა საერთაშორისო მარშრუტებზე მგზავრები ძირითადად საპაერო ტრანსპორტს გადაყავს. იზრდება აგრეთვე ტვირთის გადაზიდვები საპაერო ტრანსპორტის მეშვეობითაც. ქვეყანაში 150-მდე საპაერო აეროპორტია. მათ შორის უდიდესი აეროპორტებია: ლონდონში ხიტროუ და გეტვიკი. სხვა აეროპორტებიდან აღსანიშნავია მანჩესტერი, ლუტონი, გლაზგო, აბერდინი, ედინბურგი, რომლებიც უზრუნველყოფენ მგზავრებისა და ავიატვირთების გადაზიდვის 3/4-ს. გარდა საერთაშორისო ტრასებისა იზრდება აგრეთვე შინაგანი ტრასების მნიშვნელობაც, რადგან მგზავრთა დიდი ნაწილი ქვეყნის შიგნით გადაადგილებისათვის საპაერო ტრანსპორტს ირჩევს.

მ ი ლ ს ა დ ე ნ ი ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს განვითარებას განაპირობებს ნავთობისა და გაზის მოხმარების ზრდა. მილსადენები მომხმარებლისათვის ნავთობისა და გაზის მიწოდების ყველაზე იაფი, მოხერხებული და უფრო უსაფრთხო საშუალებაა. დიდ ბრიტანეთში მაგისტრალური ნავთობსადენები და გაზსადენები ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროდან, აგრეთვე ნავსადგურებიდან ქვეყნის შუაგულისაკენ მიემართება, რომლებიც შემდეგ მომხმარებლებს ამარეგებენ.

დიდ ბრიტანეტში დიდი ყურადღება ექცევა კ ა ვ შ ირ- გ ა ბ მ უ ლ ო ბ ა თ ა საშუალებების განვითარებას. ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მუშაობენ ელექტრონული სატელეფონო სადგურები. ქვეყანაში 30 მილიონ'ზე მეტი სატელეფონო აპარატია დადგმული. ამასთან ერთად ყოველი მეორე ბრიტანელი მობილური ტელეფონით სარგებლობს. ქვეყანაში მომქმედი რადიო და სატელევიზიო სადგურები გადაყვანილია სათანამგზავრო მაუწყებლობაზე. ისინი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, რაც უზრუნველყოფს გადაცემისა და მიღების უმაღლეს ხარისხს. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოში პირველი *საფოსტო მარკა* ინგლისში იქნა

გამოშვებული 1840 წელს და პირველად მსოფლიოში აქ შეიქმნა საფოსტო კაუშირი.

6. საგარეო ეკონომიკური კავშირები.

თანამედროვე პირობებში ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური კავშირები სულ უფრო და უფრო იზრდება და ფართოვდება. ამჟამად ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია სხვა ქვეყნებთან კავშირ-ურთიერთობების გარეშე. დიდი ბრიტანეთისათვის კი საგარეო ეკონომიკურ კავშირებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რადგან მისი მრეწველობა ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნედლეულის გადამუშავებას ეწევა, ხოლო წარმოებული მზა პროდუქციის თითქმის ნახევარი საზღვარგარეთ გააქვს. ბრიტანეთი ასევე კაპიტალისა და მომსახურების ექსპორტს ეწევა.

აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის საგარეო ეკონომიკური კავშირები იზრდება და ფართოვდება. დიდ აღმავლობას განიცდის საგარეო ეკონომიკური კავშირების ყველა ფორმა: საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა და განსაკუთრების მომსახურების ექსპორტი, ე.წ. "უხილავი ვაჭრობა". ამასთან, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის გეოგრაფიაც. თუ კოლონიური იმპერიის დაშლამდე ბრიტანეთს საქონელი და კაპიტალი ძირითადად კოლონიებში გაქონდა, XX საუკუნის 60-იან წლებიდან, მას მოუხდა შემობრუნება ევროპისაკენ და სხვა განვითარებული ქვეყნებისაკენ. ეს პროცესები განსაკუთრებით დაჩქარდა დიდი ბრიტანეთის ევროგაერთიანებაში შესვლის შემდეგ. რამდენადმე შეიცვალა საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაც. თუU ადრე დიდ ბრიტანეთს ძირითადად ნედლეული და სურსათი შემოჰქონდა და მზა ნაწარმი გაპონდა, ამჟამად მას ნედლეული შემოაქვს და გააქვს კიდეცაც. ასევე შემოაქვს და გააქვს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაც. მაგრამ მაინც დიდ ბრიტანეთს უფრო

მეტად ნედლეული შემოაქვს და უფრო მეტად მზა პროდუქცია გააქვს.

დიდი ბრიტანეთის ექსპორტის ძირითადი საგნებია: მანქანები და მოწყობილობები, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, ალკოჰოლური სასმელები, შავი ლითონები, კაოლინი, ტექსტილური ნაწარმი, ნავთობპროდუქტები. ხოლო იმპორტის ძირითადი საგნებია: რკინის მადანი, ნედლი ნავთობი, ფერადი ლითონები, მანქანა-იარაღები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, მარცვლეული, შაქარი, ხილი და რიგი ბოსტნეული. მაგრამ, საბოლოოდ დიდი ბრიტანეთს უფრო მეტი საქონელი შემოაქვს, ვიდრე გააქვს. ამიტომ მისი საგაჭრო ბალანსი უარყოფითია. ცალკეული ქვეყნებიდან მას უარყოფითი საგაჭრო ბალანსი აქვს გერმანიასთან, იაპონიასთან, ჩინეთთან, ხოლო დადებითი საგაჭრო ბალანსი ჰქონდა ბრიტანეთს ერთა თანამეგობრობის ქვეყნებთან (ინდოეთი, ავსტრალია, პაკისტანი და სხვა ქვეყნები).

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის მოცულობა. ბოლო წლებში საქონლის ექსპორტმა 400 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო საქონლის იმპორტმა 420 მილიარდ დოლარს. საქონლის ექსპორტის ზრდა 1900-2000 წ.წ. შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (2000წ. ფასებით)

	1900წ.	1950წ.	1980წ.	2000წ.
საქონლის ექსპორტი მილიარდი დოლარი	38,5	66,0	235,0	400.0
საქონლის ექსპორტის ზრდა	1,0	1,71	6,10	10,39
ბრიტანეტის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში პროცენტობით	15,1	8,5	6,0	4,4
საქონლის ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ-ში პროცენტობით	15,0	14,5	25,0	28,0

გასულ საუკუნეში საქონლის ექსპორტი 10-ჯერ და უფრო მეტად გაზარდა, მაგრამ შემცირდა ბრიტანეთის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში 15%-დან 4,4 %-მდე. ხოლო საქონლის ექსპორტის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 15-დან 28%-მდე ამაღლდა.

დიდი ბრიტანეთის ევროგაერთიანებაში შესვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქონლის ექსპორტ-იმპორტი გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებთან. მაგრამ დიდ ბრიტანეთს ევროგაერთიანების უმეტეს ქვეყნებთან უარყოფითი საგაჭრო ბალანსი აქვს.

საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი იფარება საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმებიდან მიღებული შემოსავლებით. ასეთებია: საგარეო ინვესტიციები და მომსახურების ექსპორტი. საზღვარგარეთ გატანილი კაპიტალიდან დიდი ბრიტანეთი ყოველწლიურად დიდძალ შემოსავალს ღებულობს მოგების, დივიდენტებისა და პროცენტების სახით. ხოლო მომსახურების ("უხილავი ვაჭრობის") ექსპორტის მიხედვით დიდ ბრიტანეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია, დიდმა ბრიტანეთმა წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დიდი გამოცდილება და ცოდნა შეიძინა, რომელიც ექსპორტის საგანი გახდა. დიდი ბრიტანეთის საკონსულტაციო და აუდიტორული ფირმები უცხოელ პარტნიორებს, სახელმწიფოებს, კომპანიებს, კერძო პირებს სხვადასხვა მომსახურებას უწევენ საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო ოპერაციების, საავიაციო და საზღვაო მომსახურების სახით, რომლებიც დიდძალ შემოსავალს იძლევა. ასევე მნიშვნელოვანია უცხოელი ტურისტებისაგან მიღებული შემოსავალიც. ყოველივე ამის შედეგად დიდი ბრიტანეთის საგადამხდელო ბალანსი (გადახდების საბოლოო ბალანსი) დადებითია და ქვეყანას უარყოფითი საგაჭრო ბალანსიდან საშიშროება არ ემუქრება.

დიდი ბრიტანეთის კაპიტალდაბანდებები და ინვესტიციები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში იზრდება. კაპიტალდაბანდებები უცხოეთში ძირითადად გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებსა და ნავთობის მოპოვებას, აგრეთვე საბანკო და სადაზღვევო საქმეს ხმარდება: ამჟამად კაპიტალის ექსპორტის თითქმის 80% განვითარებულ ქვეყნებში მიემართება. მაგრამ კაპიტალის ექსპორტის ზრდასთან ერთად იზრდება კაპიტალის იმპორტიც. თუმცა, საგარეო ვაჭრობისაგან განსხვავებით კაპიტალის ექსპორტი ჭარბობს კაპიტალის იმპორტს.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ XXI საუკუნეში ჩამოყალიბდება ინფორმაციული საზოგადოება, რომელშიაც გადამწყვეტი როლი ექნება ცოდნასა და ინტენსიურ ინფორმაციას. იგი შეეხება როგორც წარმოებას ისე მომსახურებას. ამ მიმართულებით დიდ ბრიტანეთს თავის კონკურენტებთან შედარებით დიდი უპირატესობები გააჩნია, როგორიცაა: ინგლისური ენა, რომელიც ფაქტიურად მსოფლიო ენაა, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ყართო ქსელი, ევროგაერთიანების წევრობა და ბრიტანეტის ერთა თანამეგობრობის არსებობა, ხელსაყრელი მდებარეობა და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ხელს უწყობს საერთაშორისო საქმიანი მომსახურების განვითარებას. დიდი ბრიტანეთის ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობას უზრუნველყოფენ აგრეთვე ბრიტანული უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც საზღვარგარეთ უფრო მეტ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებენ, ვიდრე ბრიტანეთის ექსპორტია. ბრიტანული სარეკლამო-სააგენტო ფირმები და მათი ფილიალები მოქმედებენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მაგალითად ფირმა "სატჩი ენდ სატჩი", რომელსაც 100-ზე მეტი ფილიალი აქვს, საზღვარგარეთული ოპერაციებიდან ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდი დოლარის შემოსავალს ღებულობს.

დიდ ბრიტანეთში ძალიან ბევრია საინჟინრო და საკონსულტაციო კომპანიები და ფირმები, რომლებიც უცხოეთის დაკვეთებზე მუშაობენ. საინჟინრო კომპანიები ქმნიან, როგორც ინფრასტრუქტურის ობიექტების: აეროპორტების, საზღვაო პორტების, საირიგაციო სისტემების, რკინიგზების, ავტოსტრადების, ხიდების, ასევე საწარმოო დანიშნულების ობიექტების - ნავთობქიმიური და გაზგადამამუშავებელი კომპლექსების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ატომური ელექტროსადგურების დაპროექტებას, საინჟინრო-საამშენებლო მომსახურებას და ა.შ.

საკონსულტაციო ფირმები ეხმარებიან უცხოელ ექსპერტებს ბრიტანეთისა და მესამე ქვეყნის ბაზრის შესწავლაში, ისინი აგროვებენ და ფლობენ ინფორმაციებს მსოფლიოში

მიმდინარე პროცესების შესახებ. ამისათვის მათ ჰყავთ კვალიფიციური სპეციალისტები, აქვთ ლაბორატორიები და იყენებენ უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

დიდი ბრიტანეთის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ტურიზმი. დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს ერთ-ერთი ტურისტული რაიონია. ყოველწლიურად დიდი ბრიტანეთში 17 მილიონზე მეტი უცხოელი ტურისტი შემოდის. მართალია, ამ მხრივ იგი ჩამორჩება საფრანგეთს (56მლნ ტურისტი), ესპანეთს (35 მლნ) და იტალიას (27მლნ), მაგრამ 17 მილიონი ტურისტი ცოტაა არაა. მას ქვეყნისსათვის ყოველწლიურად 7 მილიარდზე მეტი გირვანქა სტერლინგის შემოსავალი მოაქვს. ტურისტების ძირითადი ნაკადი შემოდის აშშ-დან, დასავლეთ ევროპიდან და ერთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან. დიდ ბრიტანეთში ტურისტებს უპირველეს ყოვლისა იზიდავს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების სიმრავლე, ტრადიციები, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის მაღალი დონე, პოლიტიკური ფაქტორები: უსაფრთხოება, სასაზღვრო და საპასპორტო რეჟიმების სიმარტივე, ასევე ბუნებრივი ფაქტორები: ლანშაფტის მოზაიკურობა, სანაპირო ზოლის მრავალფეროვნება, საძთო პეიზაჟები, ტურისტული ინდუსტრია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთს საგარეო-ეკონომიკური კავშირები აქვს საქართველოსთანაც. ბრიტანეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვის ყოველწლიური მოცულობა დაახლოებით 10 მილიონ დოლარს შეადგენს. ბრიტანული ინვენსტიციები ხმარდება ნავთობის საძიებო და ბურღვა-მოპოვების სამუშაოებს. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოში ბრიტანულ საკონსულტაციო და აუდიტორიული ფირმების საქმიანობაც.

§ 7. საფინანსო-საკრედიტო სისტემა

ფინანსები და კრედიტი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მათი მეშვეობით წარმოებს

ქვეყანაში არსებული ფულადი სახსრების მობილიზაცია და გამოყენება მთელი ეკონომიკის განვითარებისათვის. ამასთან, ფინანსებისა და კრედიტების საშუალებით ხდება მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტის განაწილება და გადანაწილება ეკონომიკის სუბიექტებსა და საზოგადოების წევრებს შორის.

დიდ ბრიტანეთს მაღალგანვითარებული საფინანსო-საკრედიტო სისტემა გააჩნია. მისი ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები წამყვან როლს ასრულებენ მსოფლიოში. ხოლო ლონდონი (ნიუ-იორკის შემდეგ) არის მსოფლიოში უდიდესი საფინანსო ცენტრი. აქ გარდა ადგილობრივი ბანკებისა თავისი განყოფილებებითა და ფილიალებით წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა უმსხვილესი ბანკი. ამასთან, ლონდონის სიტი საერთაშორისო საბანკო ბიზნესში ნოვატორობისა და მობილურობის მაგალითად ითვლება. ლონდონის საფონდო ბირჟა კი-უმსხვილესია მსოფლიოში, ხოლო სადაზღვევო კომპანია "ლოიდზ ოფ ლონდონ"-ძირითადი სადაზღვევო ბაზაა მსოფლიოში. სწორედ მის მეშვეობით საქართველოსა და სხვა ქვეყნების სადაზღვევო კომპანიები გადიან მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე.

დიდი ბრიტანეთის ფულადი ერთეულია გირვანქა სტერლინგი, რომელიც 100 პენსად იყოფა. იგი ინგლისის ფულადი ერთეული გახდა 1694 წლიდან, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გირვანქა სტერლინგი თანდათანობით განმტკიცდა და XIX საუკუნეში მსოფლიო ვალუტად იქცა. მე-20 საუკუნეში დიდი ბრიტანეთის როლის შესუსტებასთან ერთად გირვანქა სტერლინგის პოზიციები მსოფლიო ბაზარზე დაეცა. 1931 წ. დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა ოქროს სტანდარტზე და გირვანქა სტერლინგი გამოაცხადა საანგარიშსწორებო საშუალებად ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში. შეიქმნა გირვანქა სტერლინგის ზონა. დადგენილ იქნა გირვანქა სტერლინგისა და მის ზონაში შემავალი ქვეყნების ვალუტათაშორისო გაცვლითი კურსი. სტერლინგის ზონის შემოღებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას. მაგრამ თანდათანობით სტერლინგის ზონაში შეიჭრა აშშ-ს დოლარი. დოლარმა შეაღიწროვა გირვანქა სტერლინგი. მიუხედავად ამისა, გირვანქა სტერლინგი დღემდე რჩება საერთაშორისო

ანგარიშსწორების ერთ-ერთ საშუალებად. სწორედ გირვანქა სტერლინგის ზონის არსებობა გახდა დიდ ბრიტანეთში ევროგაერთიანების საერთო ვალუტის -"ევროს" არ შემოღების მიზეზი. დიდი ბრიტანეთი "ევროს" შემოღებას ნაადრევად მიიჩნევს. მაგრამ როდის იქნება იგი მზად ევროს ზონაში გაერთიანებისათვის ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

დიდი ბრიტანეთის საფინანსო სისტემის საფუძველია ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები. ბანკებს კი სათავეში უდგას ინგლისის ბანკი-ქვეყნის ცენტრალური სახელმწიფო ბანკი. დანარჩენი ბანკები კი კომერციული სტრუქტურებია.

ინგლისის ბანკი დაარსდა 1634 წელს, როგორც სააქციო საზოგადოება საფრანგეთთან ომის დაფინანსებისათვის. 1844 წლის აქტით მხოლოდ მას აქვს ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე ბანკნოტების გამოშვების უფლება. 1946 წელს ბანკი ნაციონალიზებული იქნა. ინგლისის ბანკი არის ბანკი სხვა ბანკებისათვის. დანარჩენ ბანკებს მასში გახსნილი აქვთ ანგარიშები ურთუერთ ანგარიშსწორებისათვის. ინგლისის ბანკში ანგარიშები გახსნილი აქვთ აგრეთვე სხვა ქვეყნების ბანკებსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს. იგი არის ინგლისისა და უელსის ერთადერთი საემისიო ბანკი. იგი ყოველდღიურად დაახლოებით 8 მილიონ ცალ ბანკნოტას უშვებს და არეგულირებს ქვეყანაში ფულის მიმოქცევას.

ინგლისის ბანკში თავს იყრის სახელმწიფოს ფულადი შემოსავლები და იგი პასუხისმგებელია სახელმწიფო ვალის მართვაზე. იგი თვალყურს ადევნებს, რომ სხვა ბანკებმა არ დაარღვიონ მმთავრობის საფინანსო პოლიტიკა. საჭიროების შემთხვევაში ნაღდ ფულსაც აძლევს მათ. ინგლისის ბანკში ინახება საზღვარგარეთული ვალუტა და ქვეყნის ოქროს მარაგი. იგი როცა საჭიროა ზემოქმედებას ახდენს გირვანქა სტერლინგის საცვლელ კურსზე. მას მიყავს სამთავრობო ორგანოების ანგარიშები. იგი ითვლება სახელმწიფოს "საოჯახო ბანკად". ბანკს განაგებს დირექტორატი, რომელსაც სათავეში უდგას მმართველი და მისი მოადგილე, რომლებიც ინიშნებიან 5 წლის ვადით.

დიდი ბრიტანეთის კომერციულ ბანკებს შორის წლების განმავლობაში წამყვან როლს ასრულებდა ლონდონის ბანკების დიდი

ხუთეული: "ბარკლაიზ", "ლოიდზ", "მიდლენდ", "ნეშნელ ბანკ" და "ნეშნელ ვესტმინსტერ ბანკ". 60-იან წლების ბოლოს უკანასკნელი ორი ბანკი ერთ ბანკად "ნეშნელ ვესტმინსტერ ბანკ"-ად გაერთიანდა. შესაბამისად კომერციული ბანკების სათავეში დგას "დიდი ოთხეული". თითოეული მათგანის კაპიტალი 4 მილიარდ დოლარს აღემატება და მსოფლიოს 100 უმსხვილეს ბანკს შორის პირველ ოცეულში არიან.

კომერციული ბანკები ეწევიან ყველა სახის საფინანსო-საბანკო მომსახურებას. ისინი შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებრივ კომპანიებს წარმოადგენენ და საფინანსო ბიზნესს მოგების მიღების მიზნით ეწევიან.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებენ სხვა სახის საფინანსო ინსტიტუტებიც, რომლებიც სპეციალიზებული არიან მომსახურების ფორმების მიხედვით. ესენია: სადისკონტო პალატები, საკაჭრო ბანკები, საზღვარგარეთული ბანკები, თანამეგობრობის ბანკი, სადაზღვევო კომპანიები, შემნახველი ბანკები, საპენსიო ფონდები და ა.შ.

სადისკონტო პალატები - სპეციალიზებული არიან ვექსილების, სახაზინო ვექილების და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების დისკონტირებაზე, ვექსილების განაღდებაზე და მოკლევადიანი სესხების გაცემაზე. ისინი სხვა ბანკებიდან იღებენ მოკლევადიან სესხებს და მას იყენებენ ვექსილების გასანაღდებლად. მათი მოგება მიიღება სესხისა და გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობიდან.

საკაჭრო ბანკები სპეციალიზებული არიან საბითუმო-საბანკო მომსახურებაზე. ისინი ძირითადად საკაჭრო ოპერაციების დაკრედიტებას ეწევიან. ისინი სამრეწველო საწარმოებიდან ღებულობენ დიდძალ თანხებს, რომლებსაც შემდეგ გაცემენ კრედიტის სახით საკაჭრო საწარმოებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ეს ბანკები ეწევიან აგრეთვე საკალუტო ოპერაციებსაც.

საზღვარგარეთული ბანკები. ლონდონის სიტში განლაგებულია 400-ზე მეტი საზღვარგარეთული ბანკის განყოფილებები და ფილიალები. ისინი ძირითადად ემსახურებინ საერთაშორისო ვაჭრობას, ახორციელებენ საგადასახდელო ოპერაციებს და მართავენ მსხვილი კომპანიების ვალებს.

ეროვნული შემნახველი ბანკი. შეიქმნა არამდიდარი მეანაბრეებისათვის. იგი ღებულობს პატარა-პატარა ანაბრებს და ხალხს სახსრების დაზოგვას აჩვევს. იგი ძირითადად საფოსტო განყოფილების მეშვეობით მოქმედებს.

სადაზღვევო კომპანიები - ეწევიან საერთო და გრძელვადიან დაზღვევას. საერთო დაზღვევა მოიცავს ხანძრის, გაქურდვის და შემთხვევითობის რისკების დაზღვევას. გრძელვადიანი დაზღვევა ორი ელემენტისაგან შედგება: 1) სიცოცხლის დაზღვევა, როდესაც კომპანია თანახმაა გადაუხადოს დაზღვეულ პირს გარდაცვალების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა და 2) გრძელვადიან დაზოგვების პროგრამის უზრუნველყოფა. სიცოცხლის დაზღვევის ჩვეულებრივი ხელშეკრულება წარმოადგენს ანაბარს, რომელიც კომპანიაში გროვდება და გარკვეული დროის გასვლის, ან პირობის საფუძველზე უბრუნდება დაზღვეულს. ამ თანხას პირობის გასვლამდე კომპანია იყენებს და გარკვეულ შემოსავალსაც ღებულობს. არსებობს დაზღვევის სხვა ფორმებიც: ქონების, ავტომანქანის, მგზავრთა დაზღვევა. და ა.შ.

დიდი ბრიტანეთის საფინანსო-ფულადი სისტემა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა, რაც განაპირობა ეკონომიკის განვითარებამ და ქვეყნის მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ. 80-იან წლებიდან დიდ ბრიტანეთში დაიწყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის, ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება, რომელიც ემყარებოდა მონეტარულ და საფინანსო ზომებს, მრეწველობისადმი დახმარებას, შემოსავლების, მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებას, ფასებზე ზემოქმედებას. ასეთი პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში ინფლაციის წლიური დონე 4 %-მდე შემცირდა. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს ეკონომიკაზე ზემოქმედების ძირითადი მომართულებებია: საგადასახადო პოლიტიკა და მისი მობილურობა, ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება, სახელმწიფო საკუთრების აქტივიზაცია და მისი როლის გაძლიერება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ზეგანგმიური შემოსავლები კი ხმარდება ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, მათ შორის საფინანსო-ფულადი სისტემის განმტკიცებას.

თავი IV.
მომსახურების დარგები

1. ჯანდაცვის სისტემა და სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ჯანდაცვის არსებულ სისტემაზე. ამიტომ უკანასკნელ წლებში ჯანდაცვისა და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ქვეყანაში არსებული პირობების შესაბამისად ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა სისტემა გამოიყენება. საერთოდ კი ჯანდაცვის ოთხი განსხვავებული სისტემა არსებობს. ესენია: ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემა, კერძო სისტემა, სადაზღვეევო მედიცინა და შერეული სისტემა.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ერთადერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა, სადაც მოქმედებს ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემა. ეს სისტემა შემოღებულ იქნა 1948 წლიდან, ხოლო კანონი ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემის შემოღების შესახებ პარლამენტმა მიიღო 1946 წელს, ლეიბორისტული პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. ამ კანონის მიღებაზე გავლენა იქონია დიდ ბრიტანეთში შექმნილმა ცუდმა დემოგრაფიულმა სიტუაციამ, როგორიცაა: შობადობის შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, სიცოცხლის ხანგრძლივობის უფრო დაბალი დონე სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

ჯანდაცვის აღნიშნული კანონის მიხედვით ქვეყანაში შეიქმნა ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახური. ინგლისსა და უელსში ჯანდაცვის საქმეს ხელმძღვანელობას უწევს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, შოტლანდიაში - ჯანდაცვის დეპარტამენტი, ხოლო ოლსტერში - ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტრო. ყველა

სახის სამედიცინო დახმარება უფასოა. შემოღებულია მცირე გადასახადი რეცეპტის გამოწერაზე და კბილის მკურნალობასა და პროთეზირებაზე ნაწილობრივი გადახდა. ჯანდაცვის დაფინანსება ბიუჯეტიდან (დაახლოებით 75%) და სადაზღვეო შენატანებიდან ხდება. ამ უკანასკნელს იხდიან მეწარმეები, სახელმწიფო და დაზღვეულები. სახელმწიფო ღანახარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე 2000 წელს შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 5,9 პროცენტს. ამავე წელს ჯანდაცვას მოხმარდა ბიუჯეტის 11% რაც საკმაოდ მაღალია.

ჯანდაცვის კანონით განსაზღვრულია ჯანდაცვის ნაციონალური სისტემის სტრუქტურა, რომელიც შედგება სტაციონალური დახმარების სამსახურისა და ზოგადი დახმარების სამსახურისაგან. 1973 წ. პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომლის საფუძველზე ქვეყანაში შეიქმნა ჯანდაცვის მართვის იერარქიული სისტემა, რომელსაც სათავეში უდგას ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მდივანი (მინისტრი). რეგიონალურ ჯანდაცვას მართავს - ჯანდაცვის რეგიონალური განყოფილება, ხოლო რაიონისას-რაიონის ჯანდაცვის განყოფილება. ჯანდაცვის მართვის აღნიშნული სტრუქტურები პასუხს აგებენ ჯანდაცვის დაგეგმარებაზე, ორგანიზაციაზე, კადრებზე და დაფინანსებაზე.

მოსახლეობა სამედიცინო დახმარების გაწევის ძირითადი ფორმაა საავადმყოფოები, რომლებიც იმყოფებიან ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახურების გამგებლობაში. საავადმყოფოებს ხელმძღვანელობას უწევენ საბჭოები- მათთან ერთად მოქმედებს სასამართლო, რომელიც იხილავს სამედიცინო ეთიკის საკითხებს და ავადმყოფთა საჩივრებს ექიმებზე და ჯანდაცვის სამსახურებზე.

მოქმედებს სხვადასხვა ტიპის საავადმყოფო. უფრო გავრცელებულია სტაციონალური საავადმყოფოები, სადაც მუშაობენ მხოლოდ მედდები და სანიტრები, ხოლო ექიმების გამოძახება ხდება საჭიროების შემთხვევაში. ასეთი საავადმყოფოები მკურნალობენ ქრონიკულ დაავადებათა

ავადმყოფებს. ამასთან უფასო საავადმყოფოებში გახსნილია ფასიანი პალატები და საწოლები.

მოსიარულე ავადმყოფებს სამედიცინო დახმარებას უწევენ ზოგადი პრაქტიკის ექიმები, რომლებსაც გახსნილი აქვთ სამედიცინო კაბინეტები ჯანდაცვის სახელმწიფო სამსახურის ლიცენზიის საფუძველზე. პაციენტები თვითონ ირჩევენ ექიმს, ხოლო ექიმთა შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია მიღებულ პაციენტთა რაოდენობაზე, და გაწეული დახმარების დროზე. დასვენების დღეებსა და ღამის საათებში გაწეულ მომსახურებათა ანაზღაურება იზრდება. ზოგადი პრაქტიკის ექიმები ავადმყოფებს სამედიცინო დახმარებას უწევენ აგრეთვე ბინებზეც. ამაზე ისინი დამატებით გასამრჯელოსაც ღებულობენ. ზოგადი პრაქტიკის ექიმები საჭიროების შემთხვევაში ახდენენ ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციას. გარდა უფასო მომსახურებისა ზოგადი პრაქტიკის ექიმებს უფლება აქვთ მიიღონ გარეშე პაციენტებიც, რომლებმაც გაწეული დახმარების ღირებულება თვითონ უნდა გადაიხადონ.

ჯანდაცვის სამსახურების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ქვეყანაში სანიტარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, შრომის დროებით უუნაროთა მომსახურება, დედათა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების გაწევა და სანიტარული განათლების ორგანიზაცია. ისინი ქმნიან სანიტარული დახმარების სამსახურებს, მოხუცთა სახლებს, ეხმარებიან ფსიქიკურად დავადებულებს, ავადმყოფებსა და მშობიარეებს. გარდა ამისა მათ ფუნქციაში შედის სამედიცინო კაბინეტების შექმნა, წყალმომარაგებაზე, ტერიტორიის დასუფთავებაზე და კვების პროდუქტების ხარისხზე კონტროლი.

დიდი ბრიტანეთის მეცნიერთა აზრით ჯანდაცვის ნაციონალური სისტემა პროგრესულია. მათი აზრით ჯანდაცვა, ისე როგორც დაწყებითი განათლება არ უნად იყოს კომერციული, ამასთან თვლიან, რომ საბიუჯეტო მედიცინა განიცდის სახსრების ნაკლებობას. ამის გამო ხშირად ვერ ხერხდება მედიცინის უახლესი მიღწევების გამოყენება. ამიტომ მათ მიაჩნიათ, რომ

სახელმწიფო მედიცინის გვერდით უნდა განვითარდეს კერძო მედიცინა, რომელიც უზრუნველყოფს მკურნალობის უფრო მაღალ დონეს, რასაკვირველია, პაციენტთა დანახარჯების ხარჯზე. კერძო მედიცინა კი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის მიუწვდომელია.

დიდ ბრიტანეთში შექმნილია საკურორტო მეურნეობის ფართო ქსელი. თუმცა, მისი ტერიტორია არ გამოირჩევა საუკეთესო კლიმატური და ბალნეოლოგიური გარემო პირობებით, მაგრამ დასვენებისა და მკურნალობისათვის შესაძლებელი გახდა აქაური ზღვისა და მთის ჰავის სამკურნალო თვისებების გამოყენებაც. უელსისა და ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მოწყობილია ქვიშის პლაჟები, რომელიც ძალიან ბევრ ლამსვენებელს იზიდავს, ხოლო მთაში და განსაკუთრებით ტბათა მხარეში ძალიან ბევრია დასასვენებელი სახლები და სამკურნალო დაწესებულებები. დიდი ბრიტანეთის ცნობილი კურორტებია: ბრაიტონი, ტორკი, ისტბორნი, ბოგნორ-რიჯისი, ბათი, ბაქსტონი, ჰასტინგი.

2. განათლების სისტემა

ეკონომიკის განვითარების დაჩქარება მოითხოვს მაღალკვალიფიციურ კადრებს, რომელთა მომზადებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული განათლების სისტემა. ამიტომ განათლების არსებული სისტემის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. განათლების ხარჯები განუხრელად იზრდება. ბევრ ქვეყანაში განათლებაზე იხარჯება მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქციის 5-6%. დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 2000 წელს 5,6% შეადგენდა. განათლებასა და მეცნიერებას სახელმწიფო ბიუჯეტის 10% ხმარდება.

დიდ ბრიტანეთში არსებობს სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან

სწავლების ხასიათისა და ხანგრძლივობის, ხარისხისა და ფორმის, მოთხოვნილებებისა და მიღების პირობების და სხვათა მიხედვით. ქვეყანაში განათლების საქმეს ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქებში, საგრაფოებსა და რაიონებში. სამინისტრო ანაწილებს საბიუჯეტო თანხებს განათლების ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით და ეწევა ცალკეული სასწავლებლების პირდაპირ დაფინანსებასაც. იგი ასრულებს აგრეთვე საკონსულტაციო და საინსპექციო ფუნქციებსაც, მაგრამ სასწავლებლების საქმიანობაში არ ერევა.

დიდი ბრიტანეთის განათლების თანამედროვე სისტემა შედგება -დაწყებითი, საშუალო და შემდგომი განათლების საფეხურებისაგან. იგი ემყარება 1944 წლის კანონს "სასკოლო სისტემის შესახებ", თუმცა მომდევნო წლებში მასში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებებიც. ამ კანონის მიხედვით დიდ ბრიტანეთში სავალდებულო სწავლება ვრცელდება ყველა მოზარდზე 16 წლის ასაკამდე (არასრული საშუალო განათლების მიღება).

სკოლამდელი აღზრდა ხორციელდება საბავშვო ბაღებში, რომლებიც მოქმედებენ, როგორც დაწყებითი განათლების სკოლებთან ისე დამოუკიდებლად. საბავშვო ბაღებში მიიღებიან ბავშვები 3-დან 5 წლამდე და წარმოებს ბავშვების მომზადება სკოლისათვის. სკოლამდელი აღზრდა და სწავლება გრძელდება 2 წელი. 5 წლის ასაკიდან ბავშვები შედიან პატარების 2 წლიან სკოლაში, ხოლო 7-წლიდან დაწყებით სკოლაში. დაწყებითი განათლება გრძელდება 11 წლის ასაკამდე (შოტლანდიაში-12, ოლსტერში-13 წლის ასაკამდე). დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ტესტების საფუძველზე მოსწავლეები სწავლას აგრძელებენ სხვადასხვა ტიპის სკოლებში. მათ შორისაა: გიმნაზია-გრამატიკული სკოლა, სადაც სწავლა გრძელდება 5-7 წელიწადს და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას იძლევა; 4-5 წლიანი თანამედროვე სკოლა, არასრული საშუალი სკოლაა, ტექნიკური სკოლა, სადაც სწავლის ხანგრძლივობა 5-

7 წელიწადია; ახალი ტიპის საშუალო სკოლა, ე.წ. ერთიანი სკოლაა, რომელიც აერთიანებს სამივე ტიპის სკოლის პროგრამებს. სწავლების ხანგრძლივობა 4-7 წელიწადია. გრამატიკული სკოლა მოსწავლეებს ამზადებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. მის უფროს კლასებში ხდება მოსწავლეთა სპეციალიზაცია ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური მიმართლებებით. ტექნიკურ სკოლაში ზოგადი განათლება შეხამებულია ზოგად-ტექნიკურ და პრიფესიულ მოშზადებასთან. თანამედროვე და ზოგად-ტექნიკური სკოლა არ იძლევა უმაღლესში სწავლის გაგრძელების უფლებას. მაგრამ ამ სასწავლებელთა სკოლადამთავრებულებს შეუძლიათ გამოცდის ჩაბარებით შევიდნენ გრამატიკული სკოლის დამამთავრებელ ან მის წინა კლასში. ახალი ტიპის საშუალო სკოლები კი- უმაღლესში სწავლის გაგრძელების უფლებას იძლევა. ამ სკოლებში ვაჟები და გოგონები ცალ-ცალკე სწავლობენ.

სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა. მათ აფინანსებს ხელისუფლების ორგანოები, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან. სასწავლო პროგრამებს სკოლის მასწავლებელ;თა საბჭო ირჩევს. არ არსებობს შეზღუდვები სწავლების ხანგრძლივობის თვალსაზრისით. თუ მოსწავლე კარგად სწავლობს, მას შეუძლია ხუთწლიანი პროგრამა ოთხ წელიწადში გაიაროს და ჩააბაროს გამოცდა რომელიმე საგანში განათლების სერთიფიკატის მისაღებად. სერთიფიკატი, თავის მხრივ არის უბრალო და წარჩინებითი. ორი წარჩინებითი სერთიფიკატის მქონე მოსწავლეს უფლება ეძლევა სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მან სათანადო შემოწმება და გასაუბრება უნდა გაიაროს, რომ სტუდენტი გახდეს.

გარდა სახელმწიფო სკოლებისა, ბევრია აგრეთვე კერძო, რელიგიური და სხვადასხვა დანიშნულების სკოლები. კერძო, ე.წ. "დამოუკიდებელი" სკოლებში სწავლა ფასიანია. მათ შორის არის პრივილეგირებული პაბლიკ სკულზი (იტონის კოლეჯი, პაროუ, უინჩესტერი და სხვები). გარდა იმისა, რომ ამ პრივილეგირებულ სკოლებში სწავლა ძვირი ღირს, მათში სწავლის

უფლება აქვთ მხოლოდ წარჩინებული მშობლების შვილებს, მათი წარმომავლობისა და მდგომარეობის მიხედვით. რელიგიურ სკოლებში, გარდა იმისა, რომ აქ სწავლა უფასოა, მოსწავლეები ღებულობენ აგრეთვე სხვა შეღავათებსაც.

საშუალო განათლების სისტემას შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში ინგლისთან და უელსთან შედარებით რიგი თავისებურებები გააჩნია, რომლებიც ადგილობრივი ტრადიციებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარეობენ. მაგრამ მთლიანად ბრიტანეთში საშუალო განატლების სისტემა მაინც ერთიანია.

"შემდგომი განათლების" სისტემა (Further Education) მოიცავს საშუალო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა სახისაა და იქმნება სპეციალისტებზე ამა თუ იმ რეგიონში წარმოშობილ მოთხოვნილებათა შესაბამისად, ძირითადად კოლეჯების სახით. თავის მხრივ, კოლეჯი შეიძლება იყოს სპეციალიზებული- ერთი სპეციალობით და არასპეციალიზებული- რამდენიმე სპეციალობით, სასწავლო კომბინატის სახით. კოლეჯში მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ გრამატიკული და საშუალო-ტექნიკურ სკოლადამთავრებულებს.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემაში შედის უნივერსიტეტები და სხვადასხვა ტიპის სპეციალური და ტექნიკური სასწავლო დაწესებულებები (ინსტიტუტები და უმაღლესი განათლების კოლეჯები). მაგრამ უმაღლეს განათლებაში მთავარ როლს ასრულებს უნივერსიტეტები. უდიდესი უნივერსიტეტებია: ლონდონის, კემბრიჯის, ოქსფორდის, ედინბურგის, გლაზგოს, უელსის და სხვა. სულ ქვეყანაში არის 44 უნივერსიტეტი. უნივერსიტეტებს უფრო მეტად აქვს ჰუმანიტარული მიმართულება. ამასთან, ისწავლება ტექნიკური საგნებიც, უფრო მეტად ტექნიკურ ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებთან არსებულ ტექნიკურ კოლეჯებში.

უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების უფლება აქვთ საშუალო სკოლა დამთავრებულებს, რომლებსაც სპეციალობის საგნებში გააჩნიათ წარჩინებული სერთიფიკატები. ამასთან, მათ უნდა გაიარონ სპეციალური შემოწმება მიმღებ კომისიაში. უნივერსიტეტებში შემსვლელთა დაახლოებით ნახევარი საშუალო სკოლის ახალდამთავრებულები არიან, დანარჩენი კი წინა წლებში სკოლადამთავრებულები.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლებისათვის დამახასიათებელია სტუდენტების დაყოფა "Full time Student"-ად, რომლებიც ისმენენ უნივერსიტეტის მთელ კურსს და " Par-time Student"-ად, რომლებიც მთელი აკადემიური წლის განმავლობაში მუშაობენ და მთელი კურსის მოსმენის დრო არ აქვთ და სწავლობენ მხოლოდ კურსის ნაწილს. მაგრამ სტუდენტების ძირითადი მასა-85%, მთელ სალექციო კურსს გადის, ხოლო დაახლოებით 15% ნაწილობრივ კურსს. უნივერსიტეტში სწავლა ეტაპობრივია: პირველი ეტაპი-3-4 წელი ბაკალავრის დიპლომით. მეორე ეტაპი-2 წლიანი სწავლებით-მაგისტრის ხარისხით და სამწლიანი სწავლებით-დოქტორის ხარისხით.

უნივერსიტეტების გარდა დიდ ბრიტანეთში არის 400-ზე მეტი ინსტიტუტი და 50-მდე უმაღლესი განათლების კოლეჯი, რომლებიც აშზადებენ სპეციალისტებს: ინჟინრებს, აგრონომებს, მასწავლებლებს, ექიმებს და მრეწველობის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს და ა.შ.

უნივერსიტეტების შენახვის ხარჯების დაახლოებით 70% ცენტრალურ და ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტიდან, ხოლო დანარჩენი: ფასიანი სწავლებიდან, შემოწირულობებიდან, სხვადასხვა ორგანოების დოტაციიდან იფარება. უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების წარჩინებული სტუდენტები ღებულობენ სტიპენდიას, რომელსაც აფინანსებენ განათლების სამინისტრო, განათლების ადგილობრივი ორგანოები, კერძო კომპანიები და პირები. ტრადიციულად ყველაზე დიდი სტიპენდია აქვს ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

სამეცნიერო და პროფესორ-მასწავლებელთა კადრების მომზადება ხდება უნივერსიტეტებში და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. მაგრამ სამეცნიერო კადრებით ქვეყნის უზრუნველყოფას ართულებს კადრების ემიგრაცია საზღვარგარეთ, განსაკუთრებით აშშ-ში და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოები სრულდება უნივერსიტეტებში, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, კერძო საწარმოთა ლაბორატორიებში, სამეცნიერო საზოგადოებებში. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების რაოდენობა. პარლამენტთან შეიქმნა სამეცნიერო-კვლევით ცენტრი, რომელიც მთავრობასა და პარლამენტის წევრებს აწვდის ინფორმაციას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე. ქვეყანაში მეცნიერების განვითარებას ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. იზრდება მეცნიერების დაფინანსება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი სპეციალისტის აზრით დიდ ბრიტანეთში მოქმედი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის არსებული სისტემა მოძველებულია და საჭიროა რეფორმების გატარება. ბოლო წლებში რეფორმები მართლაც დაიწყო. სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევით ცენტრები უფრო მობილური გახდა. გაიზარდა მათი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ა. შ.

თავი V
დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო წყობილება და პოლიტიკური კულტურა

1. სახელმწიფო წყობილება

თვითეულ ქვეყანას სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ორიგინალური ფორმა გააჩნია, რომელიც მოცემული ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ამ მხრივ დიდი ბრიტანეთი შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს თანდათანობითი და ლოგიკური ჩამოყალიბების კლასიკურ ნიმუშად. დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ სტრუქტურაში ახალი ელემენტები იქმნებოდა და ყალიბდებოდა თანდათანობით, ისე რომ ძველი ელემენტები მთლიანად არ ყოფილა უკუგდებული. აქ დღემდე შემორჩა მმართველობის ძველი ფორმები(მონარქი, ტრადიციული წესები) ახალი დემოკრატიული ინსტიტუტების გვერდით.

საერთოდ სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციისა და მმართველობის ორი ორიგინალური ფორმა არსებობს: ფედერალური და უნიტარული ფორმები. არსებობს აგრეთვე მესამე ფორმაც, კონფედერაცია, რომელიც სახელმწიფოთაშორისო სამართლებრივი კავშირია. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ფედერალურ ან უნიტარული სახელმწიფო თითქმის არ არსებობს. ძალიან ბევრ შემთხვევაში უნიტარულ სახელმწიფოებსაც ფედერაციის ნიშნები აქვს. დიდი ბრიტანეთი ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით უნიტარული სახელმწიფოს მეტად თავისებურ ფორმას, ე.წ. დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებს უნდა მივაკუთნოთ (ისე როგორც ესპანეთი და იტალია). დიდ ბრიტანეთში რეგიონების დონეზე შექმნილია გეოგრაფიულ-ისტორიული ოლქები: უელსი,

შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია, რომლებიც თავისებურად დამოუკიდებელი სუბიექტები არიან და სარგებლობენ ავტონომიის გარკვეული უფლებებით, მათ შორის ყველაზე მეტი ავტონომიური უფლებები აქვს ჩრდილოეთ ირლანდიას (ოლსტერი), სადაც მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი. მაგრამ ფაქტიურად აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის დედოფლის მიერ დანიშნულ გუბერნატორს.

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა და მმართველობის ფორმები განისაზღვრება კონსტიტუციით. მაგრამ დიდ ბრიტანეთს ცალკე დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნია. არ შედგენილა ისეთი დოკუმენტი, რომელსაც კონსტიტუცია შეიძლება უწოდოს. დიდ ბრიტანეთის კონსტიტუცია ესაა პარლამენტის მიერ მიღებული კანონების, სასამართლო გადაწყვეტილებისა და ტრადიციების ერთობლიობა, რომლებშიაც ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის პრინციპები და მათი რეალიზაციის გზები. ასეთებია მაგალითად, "მაგნა ქარტია" (1215წ.), "ჰაბეას კორპუს აქტი" (1679წ), "ბილი უფლებათა შესახებ" (1689წ), "საპარლამენტო რეფორმის ბილი", და ასევე ახალი კანონები, რომლებიც ძველი კანონების სულისკვეთებას ასახავენ.

დიდი ბრიტანეთი სახელმწიფო მმართველობის ფორმის მიხედვით პარლამენტური (კონსტიტუციური) მონარქიაა, სადაც სახელმწიფოს მეთაურია მონარქი (მეფე, დედოფალი), რომელიც მემკვიდრეობით გადადის. მაგრამ მონარქის უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ისე როგორც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, აქაც ხელისუფლება განაწილებულია. არსებობს ხელისუფლების სამი შტო: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ძალაუფლების ასეთი განაწილება არსებობს სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე (ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე). როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს ქვეყანაში ძალაუფლება უსათუოდ ბევრ მატარებელზე უნდა იყოს განაწილებული. ძალაუფლების კონცენტრაცია და მასზე კონტროლის უქონლობა

იწვევს მის ბოროტად გამოყენებას, კორუფციას და ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს. ამიტომ თანამედროვე პირობებში, ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ძალაუფლება დანაწილებულია.

ხოლო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში იქმნება მმართველობის და ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც ქვეყნის მმართვის ძირითად საკითხებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლებით წყვეტენ.

2. მმართველობისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების ცენტრალური (უმაღლესი) ორგანოებია: პარლამენტი, მონარქი და მინისტრთა კაბინეტი. ეს ორგანოები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული არიან.

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი

პარლამენტარიზმი სახელმწიფო მმართველობის მიღებული სისტემაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების მკაფიოდ განაწილება და გამიჯვნა. მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმში წამყვანი როლი ეკუთვნის საკანონმდებლო ორგანოს-პარლამენტს. დიდი ბრიტანეთი პარლამენტის სამშობლოდ ითვლება. პირველი პარლამენტი სწორედ აქ წარმოიშვა მე-13 საუკუნეში. თავიდან იგი წოდებრივი წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენდა. მან რეალური მნიშვნელობა მიიღო მხოლოდ მას შემდეგ რაც იგი არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო გახდა. ამჟამად პარლამენტი არის დიდი ბრიტანეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. პარლამენტი ორი პალატისა და მონარქის ინსტიტუტისაგან შედგება. პარლამენტის ეს სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილები(თემთა პალატა,

ლორდთა პალატა და მონარქი) დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგრამ კანონის მისაღებად, როგორც წესი, აუცილებელია მათ შორის თანხმობა.

დიდი ბრიტანეთის საერთო ნაციონალური წარმომადგენლობითი ორგანოა პარლამენტის ქვედა პალატა- თ ე მ თ ა პ ა ლ ა ტ ა, რომელსაც ხუთი წლის ვადით ირჩევენ. იგი 650 დეპუტატისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები არიან. მათ შორისაა: არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წარმომადგენლები, უმრავლესობა რომლებიც ქმნიან მთავრობას და "მისი უდიდებულესობის სახელით" მართავს ქვეყანას, ხოლო უმცირესობა ქმნის "მისი უდიდებულესობის ოპოზიციას." თუ მთავრობამ პარლამენტში დაკარგა უმრავლესობა, პრემიერ-მინისტრს შეუძლია დაითხოვოს თემთა პალატა და დანიშნოს ახალი არჩევნები. ვადამდელი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს სხვა მიზეზითაც. ყველაფერი ეს კეთდება მეფის სახელით.

თემთა პალატას თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც პარლამენტის წევრებიდან ირჩევენ. სპიკერად არჩევის შემდეგ იგი ვალდებულია იყოს ნეიტრალური და მხარი არ უნდა დაუჭიროს რომელიმე პარტიას. კანონებზე მუშაობა ძირითადად კომისიებში ხდება. საკანონმდებლო ინიციატივით უმთავრესად მთავრობა გამოდის, რომელსაც პარლამენტში შემოაქვს კანონების პროექტები. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს აგრეთვე კომისიებს და დეპუტატთა ჯგუფებს. /კანონების განხილვა და მიღება წარმოებს პლენარულ სხდომებზე, რომელიც საშუალოდ წელიწადში 160-170 დღის განმავლობაში ტარდება. პარლამენტის სხდომის მსვლელობა და პროცედურული საკითხები რეგლამენტითაა განსაზღვრული. პარლამენტის პლენარული სხდომები მიმდინარეობს მე-19 საუკუნეში აგებულ შენობის დარბაზში, რომელშიაც 440 ადგილია, მაშინ როდესაც თემთა პალატა 650 წევრისაგან შედგება. დამატებითი სკამები დადგმულია გასასვლელებში და გასახდელებში. ზოგჯერ შეიძლება დაგვიანებით შემოსულ პარლამენტარს ფეხზე დგომაც მოუწიოს. მაგრამ პარლამენტის სხდომებს ყველა დეპუტატი არ ესწრება, ამიტომ ადგილების პრობლემა მაინცდამაინც არ დგას.

თემთა პალატის არჩევის მეტად ორიგინალური სისტემა არსებობს. როგორც ცნობილია წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის 3 სისტემა არსებობს. პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი - როცა პარტიებს შორის დეპუტატთა ადგილების გადანაწილება ხდება თვითეული პარტიის მიერ მიღებული ხმების შესაბამისად, პროპორციულად. მ ა ჟ ო რ ი ტ ა რ უ ლ ი - როცა ქვეყანა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად და გამარჯვებული გამოდის ის კანდიდატი, რომელიც მოცემულ ოლქში ხმების მეტ რაოდენობას მიიღებს. შ ე რ ე უ ლ ი - როცა პარლამენტის წევრების ნაწილდ აირჩევა პროპორციული წესით და ნაწილი მაჟორიტარული წესით.

დიდ ბრიტანეთში თემთა პალატის 650 წევრს ირჩევენ ერთ მანდატიან საარჩევნო ოლქებში მარტივი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. დეპუტატობის ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას დააგროვებს არჩეულად ითვლება, ხოლო დანარჩენი კანდიდატებისათვის მიცემული ხმები იკარგება. ასეთი საარჩევნო სისტემა განაპირობებს იმას, რომ გამარჯვებული პარტია, რომელმაც მეტი მანდატი მოიპოვა, ხშირად არჩევნებში მოსულ ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე ნაკლებს აგროვებს. ამის მაგალითი ბევრჯერ იყო. (მაგალითად 1987 წელს, როცა კონსერვატორებმა ხმების 42%-ით თემთა პალატაში უმრავლესობა, 376 დეპუტატი გაიყვანეს). ამის გამო დიდი ბრიტანეთის არჩევნების ეს სისტემა კრიტიკას განიცდის, როგორც "არქაული და უსამართლო". ასეთი საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტი არ ასახავს პოლიტიკურ ძალთა ნამდვილ თანაფარდობას და ამა თუ იმ პარტიის როლს.

არჩევნები საყოველთაოა. 1969 წლიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს 18 წლის ასაკს მიღწეული დიდი ბროტანეთის ყველა ქვეშევრდომი, რომელიც მოცემულ საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს არჩევნებამდე არანაკლები 3 თვისა, გამონაკლისს წარმოადგენენ სულიერად ფაღმყოფი და სასამართლოს მიერ ხმაჩამორთმეული პირები.

საარჩევნო სიები ქვეყნდება ყოველი წლის 15 მარტს. არჩევნები პირდაპირია. ამომრჩეველი მოქალაქე უშუალოდ ირჩევს პარლამენტის წევრს. კენჭისყრა ფარულია, გამორიცხულია

კონტროლი ამომრჩეველთა ნება-სურვილზე. დასაშვებია ხმის მიცემა ფოსტით და აგრეთვე მინდობილობითაც.

თემთა პალატაში შეიძლება არჩეულ იქნან დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომები 21 წლის ასაკიდან. გამონაკლისს შეადგენენ: პერები, საძღვდელოება, ზოგიერთი კატეგორიის პენსიონერები, ზოგიერთ დანაშაულზე ნასამართლევი პირები, მოსამართლეები, შეიარაღებული ძალებისა და პოლიციაში მომუშავე პირები, სულიერად ავადმყოფები. დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ პარტიები და ამასთან უნდა იყოს კანდიდატის პირადი განცხადება, რომელმაც გირაოს სახით უნდა შეიტანოს გარკვეული თანხა (ეს თანხა არ უბრუნდება კანდიდატს, თუ მან ვერ მოაგროვა ხმების 1/8 მაინც). თემთა პალატაში არჩეულ პირს ენიშნება ხელფასი და აგრეთვე სარგებლობს სხვა შეღავათებითაც.

ლ ო რ დ თ ა პ ა ლ ა ტ ა - პარლამენტის ზედა პალატა, არქაული არაწარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აერთიანებს 1100-ზე მეტ წევრს. მათ შორის არის: 1) ლორდის ტიტულში აყვანილი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები-პერები. მათ ლორდთა პალატაში ადგილები მემკვიდრეობით გადაეცემათ. მემკვიდრეობა გადადის უფროს შვილზე. 2) სამეფო-საგვარეულოს უფლისწულები (ესეც მემკვიდრეობითია); 3) უმაღლესი სულიერი პერები, ანგლიკანური ეკლესიის არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები (26), რომლებსაც ლორდთა პალატაში ადგილი თანამდებობებით ეკუთვნით და არამემკვიდრეობითია; 4) უმარლესი სასამართლო აპელაციის პერები, რომელსაც მონარქი ნიშნავს (9 წევრი); 5) ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლორდის ტიტულამდე აყვანილი პერები, რომლებსაც ამ წოდებას მონარქი ანიჭებს და 6) შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის წარმომადგენელი პერები (16პერი), რომელთა უფლებამოსილების ვადა გრძელდება ახლად არჩეული თემთა პალატის უფლებამოსილობის დრომდე.

ფორმალურად ლორდთა პალატის უფლებები შეუზღუდავია, მაგრამ თემთა პალატის 1911 და 1949 წლების აქტებით ლორდთა პალატას უფლება არა აქვს უარყოს თემთა პალატის მიერ მიღებული კანონი. მას შერჩა მხოლოდ მიღებული კანონის

შესერებისა და თემთა პალატაში უკან დაბრუნების უფლება. ხოლო ბიუჯეტისა და სხვა ფინანსური კანონების განხილვის უფლება მას საერთოდ არა აქვს. ამდენად ლორდთა პალატას საკანონმდებლო საქმიანობაში თემთა პალატაზე დაქვემდებარებული უფლებები გააჩნია.

ლორდთა პალატას თავმჯდომარეობს ლორდი-კანცლერი, რომელსაც მეფე ნიშნავს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, რომელიც არის მინისტრთა კაბინეტის წევრი და თანამდებობიდან მიდის მთავრობის წასვლასთან ერთად. ლორდთა პალატის სხდომები იმართება პერიოდულად. სხდომა შეიძლება გაიხსნას თავმჯდომარისა და 3 წევრის დასწრების დროსაც, ხოლო გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას 30 პერის დასწრების დროს, როგორც წესი, ლორდთა პალატის სხდომებს წევრთა უმრავლესობა არ ესწრება. საშუალოდ სხდომებს ესწრება 100-მდე წევრი.

ლორდთა პალატა ითვლება ქვეყნის უმაღლეს სააპელაციო-სასამართლო ინსტანციად. მაგრამ სასამართლო ფუნქციას ასრულებს არა მთელი პალატა, არამედ ლორდ-კანცლერი და სააპელაციო ლორდები განათლებით იურისტ-ლორდებთან ერთად.

ლორდთა პალატის წევრების უმრავლესობა კონსერვატიული პარტიის წევრებია. მაგრამ უკანასკნელ წლებში იზრდება ლეიბორისტული პარტიის წევრები და საერთოდ უპარტიო წევრების რაოდენობა.

მონარქი

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაურია მონარქი (მეფე, დედოფალი), რომელიც მემკვიდრეობითია. მემკვიდრეობა გადაეცემა უფროს ვაჟიშვილს, თუ იგი არ არის-ქალიშვილს. მეფე ითვლება აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო სისტემის მეთაურად, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად და ბრიტანეთის თანამეგობრობის მეთაურად.

იურიდიულად მეფე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, მოსამართლეებს, დიპლომატებს, არმიის, სამხედრო ფლოტისა

და აკიაციის მთავარსარდლებს და უმაღლეს ოფიცრებს, არქიეპისკოპოსებს და ეპისკოპოსებს, ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ომის გამოცხადებას და ზავის დადებას. მეფე ითვლება პარლამენტის შემადგენელ ნაწილად, ე.წ. King (Queen) in parlament. იგი იწვევს პარლამენტის სესიას, რომელიც იხსნება მისი შესავალი სიტყვით, ითხოვს თუმთა პალატას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, ანიჭებს პერის და სხვა საპატიო წოდებებს, გამოსცემს აქტ-ბრძანებებს, აქვს შეწყალებისა და დაჯილდოვების უფლება. მონარქი ქვეყნის ერთობისა და ხალხის ნება-სურვილის სიმბოლოა. იგი მოქმედებს თავის მინისტრების რჩევით და მას უფლება არა აქვს არ მიიღოს ეს რჩევა.

მეფეს გააჩნია უღიდეს საპატიო პრივილეგიები. აქვს სასახლე, კარ-მიდამო, ყავს დიდძალი მომსახურე პერსონალი. მისი და მოსამსახურე პერსონალის შენახვაზე, კარ-მიდამოს მოვლაზე ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი გირვანქა სტერლინგი იხარჯება. ამჟამად მონარქის რეზიდენცია ბუკინჰემის სასახლეშია.

ფაქტიურად, სინამდვილეში მონარქი სახელმწიფოს მხოლოდ ნომინალური მეთაურია(მეფობს მაგრამ არ მართავს). მეფის ზემოთჩამოთვლილი უფლებები თითქმის მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების-მინისტრთა კაბინეტის ხელშია.

ამჟამად დიდი ბრიტანეთის მონარქია-დედოფალი ელისაბედ II, რომელიც არის უინძორთა (1917 წლამდე-საქსონბურგების) დინასტიის წარმომადგენელი. მისი მამა-გიორგი-IV უინძორი იყო დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი მეფე, რომელიც იმპერატორის ტიტულს ატარებდა. დედოფალი ელისაბედ-II დაიბადა 1926 წლის 21 აპრილს. მონარქი გახდა 1952 წლის თებერვალში მამის გარდაცვალების შემდეგ. ელისაბედ II მეუღლეა პრინცი-ჰერცოგი ფილიპ ედინბურგისა. შვილები: ტახტის მემკვიდრე ჩარლზი, პრინცესა ანა და ჰერცოგი-ედუარდი. დედოფლის დაბადების დღე, 21 აპრილი არის ქვეყნის ეროვნული დღესასწაული.

მონარქის დამოკიდებულება პარლამენტთან თავისებურია. ნებისმიერი კანონი ძალაში შედის არა მარტო ორივე პალატის

ლამტკიცების შემდეგ, არამედ დედოფლის მოწონებისა და ხელის მოწერის შემდეგ. მოქმედებაშია პრინციპი: "La Reyne ainsi veult"- "ასე სურს დედოფალს."

მინისტრთა კაბინეტი

დიდ ბრიტანეთში მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება ფაქტიურად მთავრობის-მინისტრთა კაბინეტის ხელშია. ისტორიულად მინისტრთა კაბინეტი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მეფესთან შეიქმნა საიდუმლო საბჭოს სახით.

საბჭოს წევრები, რომლებიც ცალკეულ დარგებსა და უწყებებს ხელმძღვანელობდნენ შემდეგ მეფის მრჩეველები-მინისტრები გახდნენ. საიდუმლო საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობდა არა მეფე, არამედ მისი ყველაზე ახლო მრჩეველი. შემდეგ მას პრემიერ-მინისტრი ეწოდა. ასე თანდათანობით ბრიტანეთში შეიქმნა მინისტრთა კაბინეტი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი ორგანოს-თემთა პალატის არჩევნების დაწყების შემდეგ.

როგორც წესი, მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრი იმ პარტიის წარმომადგენელია, რომელმაც თემთა პალატის არჩევნებში ადგილების უმრავლესობა მოიპოვა. ამ პარტიის ლიდერი კი ავტომატურად პრემიერ-მინისტრი ხდება. პრემიერ- მინისტრს დიდი უფლებები გააჩნია. იგი იწვევს კაბინეტის სხდომებს, არჩევს დღის წესრიგს, თავმჯდომარეობს სხდომებს და არის კაბინეტის წარმომადგენელი პარლამენტში. პრემიერ- მინისტრი განსაზღვრავს კაბინეტის სართო პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც უნდა იზიარებდეს კბინეტის ყველა წევრი. თუU რომელიმე წევრი, ან არაწევრი მინისტრი მას არ ეთანხმება, იგი უნდა გადადგეს. პრემიერ- მინისტრი არჩევს და ნიშნავს ყველა მინისტრს, თუმცა, მათ დანიშვნას ხელს აწერს მონარქი. მას შეუძლია მინისტრთა კაბინეტის შემცირება ან გაზრდა. ამასთან, ყველა მინისტრი არაა კაბინეტის წევრი, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მათ მუშაობასაც.

დიდი ბრიტანეთის მთელი მთავრობა შედგება 80-100 წევრისაგან. მის შემადგენლობაში შედიან: უმთავრესი დარგებისა

და უწყებათა ხელმძღვანელი მინისტრები, ტრადიციულ თანამდებობათა ხელმძღვანელები: ლორდ-კანცლერი, ბეჭდის ლორდ-შემნახველი, გენერალური მეხაზინე, უპორთველო მინისტრი, სახელმწიფო მინისტრები, საპარლამენტო მდივნები. მინისტრების უმრავლესობა არის თემთა პალატის წევრები, ნაწილი კი-ლორდთა პალატის წევრები.

კაბინეტი ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო აპარატის საქმიანობას. კაბინეტის ინიციატივითა და მონაწილეობით სახელმწიფო აპარატი ადგენს კანონების პროექტებს, რომლებიც სახელმწიფო მდივნებს შეაქვთ პარლამენტში განსახილველად. ამასთან, პარლამენტი უფლებას აძლევს მინისტრთა კაბინეტს გამოსცეს განკარგულებები და დადგენილებები, რომლებსაც კანონის ძალა აქვთ. განკარგულებებისა და დადგენილებების გამოცემის უფლება აქვთ აგრეთვე ცალკეულ მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნეში ცენტრალური სახელმწიფო აპარატი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ ამ საუკუნის დასაწყისში ცენტრალურ სახელმწიფო აპარატში მომუშავეთა რაოდენობა 116 ათას შეადგენდა, მათი რაოდენობა ამჟამად 550 ათას კაცს აღემატება.

მინისტრთა კაბინეტი აფორმებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და წარმართავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. იურიდიულად საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებისათვის საჭიროა პარლამენტისა და მონარქის თანხმობა. მინისტრთა კაბინეტთან შექმნილია სხვადასხვა კომიტეტები, რომლებიც საკითხების წინასწარ მომზადებას ეწევიან, ხოლო შემდეგ ამოწმებენ და კოორდინაციას უწევენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. ყველაზე მნიშვნელოვანია თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ხოლო მისი მოადგილეა-თავდაცვის მინისტრი. ამ კომიტეტის წევრები არიან ის მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება ქვეყნის თავდაცვას და შეიარაღებული ძალების მდგომარეობას. ცალკე ფუნქციონირებს სამოქალაქო თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობს. ეკონომიკური

საკითხების განხილვას ეწევა ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, რომელსაც აგრეთვე პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. საკანონმდებლო კომიტეტი ამზადებს კანონების პროექტებს და თვალყურს ადევნებს მთავრობის საკანონმდებლო პროგრამის განხილვას პარლამენტში. მინისტრთა კაბინეტისა და კომიტეტის ორგანიზაციულ საქმიანობას წარმართავს სამდივნო, რომელიც 1916 წელს შეიქმნა.

მთავრობა თვის პოლიტიკურ საქმიანობაზე პასუხისმგებელია თემთა პალატის წინაშე და ნდობის დაკარგვის შემთხვევაში ვალდებულია გადადგეს. მაგრამ ასეთი სიტუაცია მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში არ ყოფილა. კაბინეტს პარლამენტში თავისი პოზიციების შესუსტების შემთხვევაში შეუძლია დაასწროს მოვლენებს, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები..

3. ადგილობრივი მმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობა ქვეყნის საერთო მმართველობის შემადგენელი ნაწილია. იგი მმართველობის დამოუკიდებელ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ უნიტარულ სახელმწიფოში იგი ცენტრალური ხელისუფლების გავლენის ქვეშ იმყოფება. მართალია, ცენტრისა და რეგიონის უფლებები და მოვალეობები გამიჯნულია კონსტიტუციური კანონებით მაგრამ ცენტრს რეგიონზე ზემოქმედების ბევრი "უკანონო" საშუალებები გააჩნია. ესაა: დაფინანსება, სხვადასხვა დახმარებები, ადგილობრივ მეწარმეობაზე მხარდაჭერა და ა.შ.

ადგილობრივი მმართველობის უფლებები და მოვალეობები დადგენილია პარლამენტის აქტებითა და კანონებით. ესენია 1888 და 1894 წლების აქტები ადგილობრივი მმართველობის შესახებ, ასევე 1948 წლის აქტი ადგილობრივი მმართველობის შესახებ, აგრეთვე მინისტრთა კაბინეტისა და ცალკეული სამინისტროების დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებენ ცენტრალური

ხელისუფლების მონაწილეობას ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შედის: ტერიტორიის დაგეგმარება, მიწათმოწყობა, მშენებლობისათვის ნებართვის გაცემა, ბინათმშენებლობა, დაწყებითი და საშუალო განათლების ორგანიზაცია, კეთილმოწყობა, რეკრეაციული ზონები, პარკები, საზოგადოებრივი წესრიგი, სახანძრო სამსახური, ნაგვისა და ნარჩენების გატანა, კანალიზაცია, სანიტარია, მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაცია, საარჩევნო სიების შედგენა და არჩევნების ორგანიზაცია და ა.შ. მაგრამ ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან ცენტრთან შეათანხმონ ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება. მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა მუშაობაზე კონტროლი ძირითადად ევალება საბინაო მშენებლობისა და ადგილობრივი მმართველობის სამინისტროს, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს.

დიდი ბრიტანეთის ოლქებში (ინგლისი, შიტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია) არსებობს ადგილობრივი მმართველობის საკუთარი ორიგინალური სისტემა. მართალია, მუნიციპალურ საკითხებში ბრიტანეთის ცენტრალური ხელისუფლება ადგენს და ატარებს ერთიან პოლიტიკას, მაგრამ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქებში ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა განსხვავდება. მაგალითად, ინგლის-უელსისაგან განსხვავებით, შოტლანდიაში არ არის საქალაქო ოლქები, ჩრდილოეთ ირლანდიაში-სამრეველოები. ისე კი ყველა ადმინისრაციული-გეოგრაფიულ ოლქში თვითმმართველობის არჩევითი ორგანოა საბჭო, რომელსაც მოსახლეობა 3 წლით ირჩევს.

დიდი ბრიტანეთში ადგილობრივი მმართველობის ძირითადი ერთეულია საგრაფო, რომელიც არის მსხვილი კომპლექსური ადმინსტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც მოიცავს ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიას, მხოლოდ მასში არ შედის დიდი ქალაქები, რომლებიც დამოუკიდებელ ქალაქ-

საგრაფოს (county borough) წარმოადგენენ. სულ ინგლისსა და უელსში 62 საგრაფო და 83 ქალაქი-საგრაფოა. ხოლო ქ. ლონდონს აქვს მმართველობის განსხვავებული ფორმა. ადმინისტრაციული საგრაფოები თავის მხრივ იყოფა სასოფლო ოლქებად და მუნიციპალურ ქალაქებად. ხოლო სასოფლო ოლქები-სამრეველოებად.

ადმინისტრაციულ საგრაფოთა მართვას ეწევა საგრაფოთა საბჭო, რომლის წევრთა (მრჩეველთა) არჩევა ხდება 3 წლის ვადით. საგრაფოთა საბჭო თავის მხრივ ირჩევს ოლდერმენებს 6 წლის ვადით, რომელთა ნახევრის განახლება ხდება ყოველ მესამე წელს. საბჭოს წევრები და ოლდერმენები ირჩევენ საბჭოს თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საგრაფოთა საბჭოს მუშაობას. პერიოდულად იმართება საბჭოს წევრთა და ოლდერმენთა შეკრებები-სესიები. საბჭოსთან იქმნება ე.წ. დარგობრივი კომიტეტები, რომლებიც იხილავენ და წყვეტენ მათზე დაქვემდებარებული დარგის (მაგალითად ფინანსების, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ.) განვითარების საკითხებს. საგრაფოთა საბჭო თავის მხრივ შესაბამისი სამინისტროთა წარდგინებითა და რეკომენდაციით ირჩევს ჩინოვნიკებს, აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც ფაქტიურად ეწევა საგრაფოს მმართვას.

სასოფლო ოლქის მმართვის ორგანოა- ოლქის საბჭო, რომელსაც მოსახლეობა ირჩევს 3 წლის ვადით. მასში წარმოდგენილია სასოფლო ოლქის შემადგენლობაში შემავალი ყველა სამრეველო და მუნიციპალური ქალაქის წარმომადგენელი. ოლქის საბჭო თავის მხრივ ირჩევს თავმჯდომარეს და ჩინოვნიკებს. ეს უკანასკნელები საგრაფოთა შესაბამის ჩინოვნიკებს ემორჩილებიან.

ქეეყნის ყველაზე პატარა ერთეულია სამრეველო. თუ სამრეველოს მცხოვრებთა რაოდენობა 300 კაცზე მეტია, მაშინ მოსახლეობა 3 წლის ვადით ირჩევს სამრეველოს საბჭოს, რომელიც ნიშნავს სამრეველოს ჩინოვნიკს-სამრეველოს მმართველს. თუ მცხოვრებთა რაოდენობა 300 კაცზე ნაკლებია, მაშინ სამრეველოს

მცხოვრებლები პირდაპირ ირჩევენ სამრეველოს მმართველს და მის მოადგილეს.

ქალაქი-საგრაფოების მმართვა ხდება ადმინისტრაციულ საგრაფოთა ანალოგიურად. მხოლოდ ქალაქი-საგრაფოს საბჭოს მიერ არჩეული თავმჯდომარე არის ქალაქის მერი, დიდ ქალაქებში-ლორდ მერი.

ქ. ლონდონის მმართვა თავისებურია. 1963წ. კანონით ლონდონის საგრაფო გაუქმებული იქნა. ამასთან, ლონდონის საზღვრები გაფართოვდა. ლონდონი დაიყო 32 ოლქად და სიტად. ქალაქის მმართველობა შედგება დიდი ლონდონის მუნიციპალიტეტის, ოლქების მუნიციპალიტეტისა და სიტის კორპორაციისაგან. მუნიციპალიტეტის საბჭოებს ირჩევს მოსახლეობა 3 წლის ვადით. საბჭოები თავის მხრივ ირჩევენ ოლდერმენებს 6 წლის ვადით და შესაბამის მერებს. ქალაქის ხელმძღვანელად კი-აირჩევა ლორდ-მერი. სიტის კორპორაციას ირჩევს მის ტერიტორიაზე განლაგებული გადასახადის გადამხდელი მეწარმეები. კორპორაცია შედგება 206 მრჩევლისა და 25 ოლდერმენისაგან, რომლებიც ირჩევენ ლორდ-მერს.

შოტლანდიაში ადგილობრივი მმართველობა უფრო ცენტრალიზებულია. მმართველობის ყველა ორგანოს უფროსად ითვლება სახელმწიფო მდივანი შოტლანდიის საქმეებში, რომელიც არის დიდი ბრიტანეთის მთავრობის წევრი. შოტლანდიის მთელი ტერიტორია იყოფა 33 ადმინისტრაციულ საგრაფოდ და 4 ქალაქ-საგრაფოდ, რომლებსაც ინგლისისა და უელსის მსგავსი მმართველობის ორგანოები აქვთ. ადმინისტრაციული საგრაფოები იყოფა 196 სასოფლო ოლქად, რომლებიც თავის მხრივ იყოფა 800 სამრეველოდ.

ჩრდილოეთ ირლანდია დიდი ბრიტანეთის პარლამენტის 1920 და 1922 წლების აქტების საფუძველზე გადაყვანილია თვითმართველობაზე. წარმოებს პარლამენტისა და მთავრობის არჩევა. პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან-სენატისა და თემთა პალატისაგან, რომლებსაც კანონების მიღების უფლება აქვთ თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში. ირლანდიის

მთავრობას კი ნიშნავს ირლანდიის პარლამენტი. მაგრამ მთავრობის უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ფაქტიურად ჩრდილოეთ ირლანდიაში მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის გუბერნატორს, რომელსაც მონარქი ნიშნავს დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წარდგენით. ადგილობრივი მმართველობის თვალსაზრისით ჩრდილოეთი ირლანდია იყოფა 6 ადმინისტრაციული საგრაფოდ და 2 ქალაქ-საგრაფოდ. ადმინისტრაციულ საგრაფოები იყოფა 25 საქალაქო და 28 სასოფლო ოლქად.

მმართველობის თავისებური ორგანოებია შექმნილი ბრიტანეთის შემადგენლობაში შემავალ პატარა კუნძულებში. ამ კუნძულებიდან თვითმართველობაზეა გადაყვანილი კ. მენი და ნორმანდიის კუნძულები. ბრიტანეთის მთავრობას არა აქვს უფლება ჩაერიოს ამ კუნძულების საშინაო საქმეში. ადმინისტრაციულად ისინი მხოლოდ მონარქს ემორჩილებიან.

დიდი ბრიტანეთის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები სარგებლობენ ფინანსური დამოუკიდებლობით. თვითეულ მათგანს საკუთარი ბიუჯეტი გააჩნია. კანონით განსაზღვრულია აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში თვითმართველობის ორგანოებზე სუბსიდების მიცემაც. დეფიციტი, რომელიც წარმოიქმნება ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებში ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა სუბსიდიებითა და დოტაციებით იფარება.

4. სასამართლო სისტემა

დიდ ბრიტანეთში ერთიანი სასამართლო სისტემა არ არსებობს. ფაქტიურად ქვეყანაში სამი განსხვავებული სასამართლო სისტემა მოქმედებს. ესენია: ინგლისისა და უელსის სასამართლო სისტემა, შოტლანდიის სასამართლო სისტემა და ჩრდილოეთ ირლანდიის სასამართლო სისტემა. ამასთან, ბრიტანული კანონმდებლობა მეტად რთულია, არაკოდიფიცირებულია და

სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტებისაგან შედგება. მკაფიოდ დადგენილი განსჯადობაც არ არის. ერთიდაიგივე დანაშაულის საქმე შეიძლება განიხილოს სხვადასხვა სასამართლომ და სხვადასხვა სასჯელიც შეიძლება გამოიტანოს.

ინგლისსა და უელსში სისხლის სამართლის პირველი სასამართლო საფეხურია-სამაგისტრო სასამართლო მომრიგებელ მოსამართლეთა მონაწილეობით. ამ სასამართლოზე მოდის სისხლის სამართლის საქმეთა 90%. მომრიგებელი მოსამართლეები სარჩელებს იხილავენ ერთპიროვნულად. მაგრამ საგრაფოებსა და ქალაქებში წელიწადში არანაკლებ 4-ისა იმართება მომრიგებელ მოსამართლეთა კონფერენცია(ე.წ. ოთხეულთა სესია), რომელიც იხილავს სისხლის სამართლის ყველაზე მწვავე საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ნაფიც მსაჯულთა (ე.წ. ხალხის წარმომადგენელთა) მონაწილეობა სასამართლო პროცესში პირველად ინგლისში იქნა შემოღებული. სისხლის სამართლის მწვავე საქმეებს განიხილავს აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს განყოფილებები. ქ. ლონდონში-კი შექმნილია სისხლის სამართლის ცენტრალური სასამართლო, რომელიც იხილავს დიდ ლონდონში მომხდარ დანაშაულობებზე აღძრულ საქმეებს.

მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება შეიძლება უმაღლეს სასამართლოში. შემოსულ აპელაციას განიხილავს უმაღლესი სასამართლოს შესაბამისი განყოფილება ოთხეულთა კოლეგიაზე. იმ შემთხვევაში, თუ განხილვის დროს გამოაშკარავდა "საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დანაშაულობებ" აპელაცია შეიძლება გადაეცეს ლორდთა პალატას.

სამოქალაქო საქმეების განხილვის პირველი საფეხური ინგლისსა და უელსში არის საგრაფოს სასამართლო, სადაც საქმეს განიხილავს ცალკე მოსამართლე (მხარეთა მოთხოვნით დასაშვებია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობაც). საგრაფოთა მოსამართლეები, როგორც წესი განიხილავენ სამოქალაქო სარჩელს, რომელიც არ აღემატება 500 გირვანქა სტერლინგს. ხოლო

უფრო დიდ სარჩელს განიხილავს უმაღლესი სასამართლო, რომელიც არის ამავე დროს სააპელაციო საფეხურიც. თავის მხრივ, უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია სხვადასხვა განყოფილებებისაგან შედგება, რომელებიც განიხილავენ სარჩელებს მემკვიდრეობაზე, განქორწინებაზე, საზღვაო საქმეზე და ა.შ. საოპელაციო საჩივარი მწვავე სამოქალაქო საქმეებზე ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება განიხილოს აგრეთვე ლორდთა პალატამაც.

შოტლანდიაში - სისხლის სამართლის საქმეთა პირველი საფეხურია-ქალაქის პოლიციის სასამართლოები, საგრაფოებში - სამომრიგებლო და შერიფის სასამართლოები, ხოლო დიდი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს უმაღლესი სასამართლო, რომელსაც აქვს აგრეთვე სააპელაციო იურიდიქციაც. სასამართლო სისტემის უმაღლესი საფეხურია სასესიო სასამართლო. მისი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ლორდთა პალატაში.

ჩრდილოეთ ირლანდიაში- პირველი სასამართლო საფეხური სისხლისა და სამოქალაქო საქმეებში არის საგრაფო სასამართლოები და საიურისდიქციო სასამართლოს პატარა სესია. უმაღლესი სასამართლო საფეხური არის უზენაესი სასამართლო, რომელიც შედგება უმაღლესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოსაგან.

გარდა ამისა დიდი ბრიტანეთის სასამართლო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სხვადასხვა სახის სპეციალურ სასამართლოებს. ასეთებია მაგალითად: საკორნერო სასამართლო, ადმინისტრაციული ტრიბუნები, რომლებიც განიხილავენ დავებს იურიდიულ და კერძო პირებს შორის, კერძო პირებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის. მაგრამ ქვეყანაში ცალკე სამხედრო სასამართლო არ არის. სამხედრო სასამართლოები იქმნება დროებით კონკრეტული საქმის განსახილველად 4-5 ოფიცრისაგან. მას ქმნის სამხედრო კომენდანტი. სამხედრო სასამართლოს იურიდიქციაში შედის სამხედრო მოსამსახურეთა საქმეების განხილვა, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების საქმეების

განხილვაც, თუ ისინი იმყოფებიან დიდი ბრიტანეთის საზღვრების გარეთ.

მთლიანად კი, დიდი ბრიტანეთის სასამართლო სისტემის სათავეში დგას მონარქი და ლორდთა პალატა. ლორდთა პალატა ითვლება უმაღლეს სააპელაციო - სასამართლო საფეხურადაც. ამავე დროს მხოლოდ მას აქვს პერების სასამართლო საქმეების განხილვის უფლება.

5. პოლიტიკური პარტიები.

დიდ ბრიტანეთში ისტორიულად ჩამოყალიბდა ორი უდიდესი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის მონაცვლეობის სისტემა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიქმნა ორი უდიდესი პოლიტიკური პარტია: კონსერვატიული პარტია და ლიბერალური პარტია, რომლებიც მონაცვლეობით ასრულებდნენ ხან მმართველი პარტიის, ხან ოპოზიციური პარტიის როლს. ეს სისტემა დღესაც გრძელდება. ის პარტია, რომელიც თემთა პალატის არჩევნებში უფრო მეტ ადგილებს მოიპოვებს მმართველი პარტია ხდება. არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ცნობილი მოღვაწეები კი ქმნიან "მისი უდიდესებულობის მთავრობას", ხოლო პარლამენტის უმცირესობაში მყოფი პარტია ან პარტიები ხდება "მისი უდიდესებულობის ოპოზიცია". XX საუკუნის 20-იან წლებამდე დიდ ბრიტანეთში ასეთ პარტიებს წარმოადგენდნენ კონსერვატიული და ლიბერალური პარტიები. მაგრამ 1924 წლიდან ლიბელარული პარტია შესცვალა ლეიბორისტულმა პარტიამ და დღემდე პრაქტიკულად ხელისუფლებისათვის ბრძოლა კონსერვატიულ და ლეიბორისტულ პარტიებს შორის სწარმოებს.

დიდი ბრიტანეთის გავლენითა და ანალოგიით ორპარტიული სისტემა შეიქმნა აშშ-ში და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში. თუმცა, ორპარტიული სისტემა სრულებით არ ნიშნავს იმას რომ ქვეყანაში სხვა პარტიები არ არსებობენ, ანდა მათ შექმნას

ზღუდავენ. პირიქით დიდ ბრიტანეთში მრავალი პარტიაა რეგისტრირებული. მაგრამ ბრიტანული პოლიტიკური კულტურის ტრადიციად იქცა ორი უფრო ძლიერი პარტიისადმი მხარდაჭერა და ხელისუფლებაში მათი მონაცვლეობა.

კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა - არისტოკრატიული მიწათმფლობელებისა და მსხვილი ბურჟუაზიის პარტიაა, რომელიც ოფიციალურად გაფორმდა 1870 წელს, ყოფილი ტორების პარტიის ბაზაზე. მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, შემდეგ კი ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბენჯამინ დიზრაელმა. პარტიის მიზანია მეფის ინსტიტუტისა და სამეფო ტრადიციების შენარჩუნება, კერძო საკუთრების გაძლიერება. კონსერვატორები ლორდთა პალატის რეფორმირების წინააღმდეგ გამოდიან.

კონსერვატიული პარტიის წევრობისათვის არაა აუცილებელი პარტიის ბილეთი და ყოველთვიური საწევრო გადასახადის გადახდა. პარტია ფულად თანხებს აგროვებს ნებაყოფილებითი შენატანებისაგან და შემოწირულებებისაგან. ორგანიზაციულად პარტია შედგება 650 ასოციაციისაგან. თვითეული ასოციაცია მოიცავს ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიას. ასოციაციები გაერთიანებული არიან კონსერვატორთა ნაციონალურ კავშირში. ამ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოა ცენტრალური საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე პარტიის ლიდერი. ეს უკანასკნელი გადამწყვეტ როლს ასრულებს პარტიის პოლიტიკის განსაზღვრაში და არჩევნებში გამარჯვებაში. კონსერვატიული პარტიის ცნობილი მილვაწეები იყვნენ უინსტონ ჩერჩილი, მარგარეტ ტეტჩერი და სხვები. პარტიის პოლიტიკის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს თემთა პალატაში კონსერვატორების ფრაქცია და უამრავი კლუბები, რომელთა შორის მთავარია ლონდონის კარლტონ-კლუბი. კონსერვატორების ხელშია დიდი ბრიტანეთის მასმედიის დიდი ნაწილი.

ამჟამად პარტიას ერთ მილიონზე მეტი წევრი ჰყავს. ბოლო წლებში კონსერვატიულ პარტიაში წევრად ღებულობენ აგრეთვე საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენლებსაც.

ლეიბორისტული პარტია - არის დემოკრატიული სოციალისტური პარტია, რომელიც გაერთიანებულია სოციალისტურ ინტერნაციონალში. იგი შეიქმნა 1900 წელს, დიდი ბრიტანეთის ტრედ-იუნიონების, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ჯგუფების გაერთიანების ბაზაზე. პარტია იბრძვის ყოველგვარი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და მხარს უჭერს ეკონომიკის გეგმიან რეგულირებასა და სახელმწიფო საკუთრების ზრდას.

ლეიბორისტული პარტია შედგება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისაგან. კოლექტიურ წევრებს წარმოადგენენ პროფკავშირები, კოოპერაციული საზოგადოებები და სხვები. ამჟამად პარტიას ნახევარ მილიონამდე ინდივიდუალური წევრი ყავს, ხოლო კოლექტიური წევრების - ტრედ-იუნიონების ჩათვლით 5,5 მილიონზე მეტი წევრი. 1951 წელს ლეიბორისტულ პარტიაში მოხდა განხეთქილება. პარტიიდან გავიდა საკმაოდ დიდი ჯგუფი რომლებმაც შექმნეს სოციალ-დემოკრატიული პარტია და ალიანსში შევიდნენ ლიბელარულ პარტიასთან.

პარტიის უმარლესი ორგანოა ყოველწლიური ნაციონალური კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობენ ინდივიდუალური და კოლექტიური წევრები. კონფერენცია ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს და პარტიის ლიდერს, რომლებიც წარმოადგენენ მმართველობის უმაღლეს ორგანოს კონფერენციიდან კონფერენციამდე. ამჟამად პარტიის ლიდერია ტონი ბლეერი.

პარტიის პოლიტიკის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს თემთა პალატაში ლეიბორისტული ფრაქცია და შრომის ნაციონალური საბჭო. ეს უკანასკნელი არის სპეციალური ორგანო ლეიბორისტულ პარტიაში ტრედ-იუნიონებისა და კოოპერაციული მოძრაობის კოორდინირებისათვის.

ლეიბორისტულმა პარტიამ თემთა პალატის არჩევნებში პირველად უმრავლესობა მოიპოვა 1924 წელს. ამ დროს პარტიის ლიდერი იყო რ. მაკდონალდი, რომელიც პრემიერ-მინისტრი გახდა.

ლ ი ბ ე რ ა ლ უ ლ ი პ ა რ ტ ი ა - უძველესი ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტია შეიქმნა 1877 წელს ვიგების პარტიის ბაზაზე. XX საუკუნის 20-იან წლებამდე იყო ორპარტიული საპარლამენტო სისტემის ერთ-ერთი პარტია, რომელიც კონსერვატიულ პარტიას უპირისპირდებოდა და რომელმაც არაერთხელ გაიმარჯვა თემთა პალატის არჩევნებში და ბრიტანეთის მთავრობა შექმნა. თავიდან ლიბერალური პარტია გამოხატავდა ქვეყნის სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. მაგრამ თანდათანობით ბურჟუაზიის ერთმა ნაწილმა დატოვა ლიბერალური პარტია და გადავიდა კონსერვატორების მხარეზე, ხოლო წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები შევიდნენ ლეიბორისტული პარტიის რიგებში. ყოველივე ამის შედეგად ლიბერალური პარტიის მიერ თემთა პალატის არჩევნებში მოპოვებული ადგილები მცირდებოდა და მან ქვეყნის მეორე ძირითადი პარტიის ადგილი დაკარგა. ეს ადგილი ლეიბორისტებმა დაიკავეს.

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად საკითხებში ლიბერალური პარტია მხარს უჭერს კონსერვატორებს. მისი პროგრამა უმნიშვნელოდ განსხვავდება კონსერვატორების პროგრამისაგან. ორგანიზაციული მოწყობის თვალსაზრისით მას ყველა საარჩევნო ოლქში შექმნილი აქვს ასოციაციები, რომლებიც თავის მხრივ გაერთიანებული არიან ნაციონალურ ფედერაციაში. ამ უკანასკნელის სათავეში კი დგას კომიტეტი, რომელიც ლიბერალთა საპარლამენტო ფრაქციასთან ერთად განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკას. ლიბერალური პარტიის წევრთა რაოდენობა 80 ათას აღწევს. ბოლო წლებში ლიბერალურმა პარტიამ მიაღწია თავისი რიგების ერთგვარად განმტკიცებას. იგი ცდილობს მასების მხარდაჭერის მოპოვებას და დაკარგული ადგილის დაბრუნებას.

გარდა ამ სამი პარტიისა დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებულია ათზე მეტი პარტია. მათ შორისაა: მწვანეების, პაციფისტების, ისლამისტების, კოოპერატორების, მარქსისტების პარტიები. აღსანიშნავია აგრეთვე ეროვნული ფრონტი, რომელიც

არის ნაციონალისტური, რასისტული პარტია, რომელსაც მხარდაჭერა არა აქვს, მაგრამ თავისი რადიკალური მოთხოვნებით მასმედიის ყურადღებას იპყრობს. ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქებში არსებობენ ეროვნული პარტიები. ისინი იცავენ შოტლანდიის, უელსისა და ოლსტერის ეიწრო ეროვნულ ინტერესებს და მოითხოვენ მათი აუტონომიური უფლებების გაზრდას.

პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი ფუნქციების შესრულებისათვის სჭირდებათ დიდძალი ფულადი სახსრები, ფინანსები, რომლებიც საჭიროა პერსონალის შესანახად და თავიანთი იდეებისა და პროგრამის პროპაგანდისათვის, რომელიც სულ უფრო ძვირი ხდება. პარტიების დაფინანსების ორი გზა არსებობს: კერძო და სახელმწიფო. კერძო დაფინანსება შედგება საწევროებისა და შემოწირულობებისაგან. სახელმწიფო დაფინანსება კი გულისხმობს პარტიებისათვის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას, აგრეთვე კერძო შემოსავლების გადასახადებისაგან განთავისუფლებას.

დიდ ბრიტანეთში, სხვა რიგი ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ არსებობს პარტიების დაფინანსების რაიმე სისტემა. მხოლოდ 1975 წელს თემთა პალატამ მიიღო დადგენილება პარლამენტში წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიებისათვის ფინანსიური დახმარების გაწევის შესახებ. ამ დადგენილებით ფინანსურ დახმარებას მიიღებენ ის პარტიები, რომლებსაც თემთა პალატაში ერთი და მეტი დეპუტატი ყავთ. ამ შემთხვევაში პარტია პარლამენტში ყოველ გაყვანილ დეპუტატზე მიიღებს 2250 გირვანქა სტერლინგს და დამატებით 510 გირვანქა სტერლინგს არჩევნებში მიღებულ ყოველ 200 ხმაზე. ოფიციალური მონაცემებით კონსერვატიული პარტიის წლიური შემოსავალი, რომელიც ძირითადად კერძო კომპანიების შემოწირულებებისაგან შემოდის შეადგენს 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს. ხოლო ლეიბორისტული პარტიის საშუალო წლიური შემოსავალი შემოწირულობებისაგან შეადგენს 500 ათას გირვანქა სტერლინგს.

აღსანიშნავია ის რომ დიდ ბრიტანეთში შემოღებულია მკაცრი კონტროლი საარჩევნო კამპანიაზე, პარტიებისა და დეპუტატობის კანდიდატების გაწეულ დანახარჯებზე. გარდა იმისა, რომ გაწეული დანახარჯები უნდა იყოს ღია და საჯარო, არჩევნების დამთავრების შემდეგ (არაუმეტეს 35 დღისა) პარტია და დეპუტატობის კანდიდატი ვალდებულია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინოს ანგარიში გაწეული დანახარჯების შესახებ (სათანადოდ დამოწმებული საბუთებით).

დიდ ბრიტანეთში, ისე როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, პოლიტიკური პარტიების უფლებები და მოვალეობები კონსტიტუციური და სხვა საკანონმდებლო აქტებითაა დარეგულირებული. პარტიები მოქმედებენ დამოუკიდებლად, არიან იურიდიული პირები და უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნის განვითარებაში.

6. დიდი ბრიტანეთი და ევროპის კავშირი

XX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ ევროპაში შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება გამოიწვია. 1951 წელს შეიქმნა ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება. 1957 წელს კი – რომში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ევროპის 6 ქვეყანა: საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი "საერთო ბაზარში" გაერთიანდნენ, ანუ მათ შექმნეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (კავშირი). მოხდა ამ ქვეყნებს შორის არსებული საბაჟო ტარიფებისა და სხვა ბარიერების გაუქმება. დაწესდა ერთიანი საგარეო ტარიფი ამ ქვეყნებში შემოტანილ საქონელზე, სამუშაო ძალის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა გაერთიანების შიგნით, ერთიანი პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სფეროებში,

კონკურენციის თავისუფლება და მთელ რიგ საკითხებში ერთიან კანონებზე დამორჩილება.

დიდმა ბრიტანეთმა თავიდან უარი თქვა ევროპის ეკონომიკურ კავშირში შესვლაზე. 1960 წელს ევროპის ეკონომიკურ კავშირს მან დაუპირისპირა "თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას". მასში შეეიდნენ: დიდი ბრიტანეთი, შვეცია, ნორვეგია, დანია, ავსტრია, შვეიცარია და პორტუგალია. (7 ქვეყანა), მაგრამ "თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციამ" ვერ შეძლო "საერთო ბაზრისათვის" კონკურენციის გაწევა. ამასთან, "საერთო ბაზრის" ქვეყნებთან ტრადიციული სავაჭრო კავშირების დარღვევა ბრიტანეთს დიდი ზიანს აყენებდა. ხოლო "თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციამ" ქვეყანას რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებები არ მოუტანა. პირიქით, დიდი ბრიტანეთის განვითარების ტემპები შენელდა. რაც უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე. ეს კი უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ დიდ ბრიტანეთში დაიწყო კამპანია ევროპის კავშირში შესვლის შესახებ. მაგრამ დიდი ბრიტანეთის ამ კავშირში გაერთიანებას წინ აღუდგა საფრანგეთი. ამიტომ დიდი ბრიტანეთის საერთო ბაზარში შესვლის პროცესი გაჭიანურდა. "საერთო ბაზრის" ქვეყნებთან ურთიერთობის გაუმჯობესების შემდეგ, 1971 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო დადგენილება ევროკავშირში გაერთიანების შესახებ. მას მოჰყვა გაერთიანებაში შემავალი ყველა ქვეყნის თანხმობა და 1973 წლის იანვრიდან დიდი ბრიტანეთი ევროკავშირში შეიდა. ეს შესვლა დაადასტურა 1975 წელს ჩატარებულმა საერთო-სახალხო რეფერენდუმაც. ბრიტანეთის გარდა ევროპის კავშირში შეიდნენ სხვა ქვეყნებიც: ირლანდია, დანია, საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, შვეცია, ფინეთი და ავსტრია. 1995 წლისათვის ევროკავშირში გაერთიანებული იყო 15 ქვეყანა. ევროკავშირის მთელი ტერიტორია შეადგენს 3240 ათას კვადრატულ კმ-ს, ხოლო მოსახლეობა 380 მილიონ კაცს. გარდა ამ 15 ქვეყნისა ევროპის ეკონომიკურ სივრცეში შედის აგრეთვე 3 ქვეყანა: ნორვეგია, ისლანდია და

ლიხტენშტაინი, ხოლო 12 ქვეყანა ემზადება ევროკავშირში გაერთიანებისათვის.

დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში გაერთიანებამ მოითხოვა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა და მისი "საერთო ბაზრის" მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. პირველ რიგში მოხდა ევროკავშირის ქვეყნებთან საბაჟო ტარიფების და სხვა ბარიერების გაუქმება და საქონლის ექპორტ-იმპორტის ამ ქვეყნებზე ორიენტაცია. ყოველივე ამის შედეგად დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ნახევარზე მეტი ევროკავშირის ქვეყნებზე გადმოვიდა.

დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში გაერთიანებამ ქვეყნის ეკონომიკას ბევრი სასარგებლო პირობები შეუქმნა. ხელი შეუწყო მრეწველობის უახლესი დარგების განვითარებას და საქონლის ექპორტის ზრდას, გაიზარდა კაპიტალისა და მუშახელის თავისუფალი მოძრაობის სივრცე, შემცირდა უმუშევრობა, ხდება ფერმერების სუბსიდირება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი მხარდაჭერა. გაუმჯობესდა მოსახლეობის მაღალი ხარისხის პროდუქციით მომარაგება, მომხმარებელთა დაცვა და სხვა.

ამასთან ერთად, ევროკავშირში გაერთიანებამ გამოიწვია უარყოფითი შედეგებიც. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ქვეყნის სუვერენიტეტის ნაწილობრივ დაკარგვას. ქვეყანაში ძალიან ბევრი საკითხები ევროკავშირის საერთო კანონებით რეგულირდება. ბევრი ბრიტანელი პოლიტიკოსი ვერ იტანს იმას, რომ თავის ქვეყანაში მოქმედებენ კანონები რომლებიც მიღებულია არა ბრიტანეთის პარლამენტში, არამედ ევროპარლამენტში. ქვეყნის სუვერენიტეტი კიდევ უფრო შეიზღუდება საერთო ვალუტის "ევროს" ბრიტანეთში შემოღების შემდეგ. სუვერენიტეტის ნაწილობრივ დაკარგვას ბევრი ბრიტანელი მიიჩნევს ევროკავშირის წევრობის საწინააღმდეგო არგუმენტად. გარდა ამისა დიდი ბრიტანეთი მოითხოვს ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში წევრი ქვეყნების ყოველწლიური შეწატანების შემცირებას, აგრეთვე იგი ეწინააღმდეგება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდას, რასაც საფრანგეთი და იტალია მოითხოვს.

7. დიდი ბრიტანეთის "ერთა თანამეგობრობა"

დიდი ბრიტანეთის "ერთა თანამეგობრობა"(შემოკლებით "თანამეგობრობა") შეიქმნა ბრიტანეთის იმპერიის რღვევის პროცესში "უესტმინსტერის სტატუსით" 1931 წელს. იგი არის დიდი ბრიტანეთისა და მისი ყოფილი კოლონიების, ამჟამად სუვერენული სახელმწიფოების ასოციაცია. თავდაპირველად მასში შედიოდა: დიდი ბრიტანეთი და მისი დომინიონები: კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ნიუფაუნდლენდი და ირლანდია. მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში დიდი ბრიტანეთის იმპერია დაიშალა. თითქმის ყველა მისმა კოლონიამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა შეძლო ამ ქვეყნებზე გავლენის შენარჩუნება ე.წ. "თანამეგობრობის" შექმნის გზით. კოლონიები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თუ დარჩებოდნენ "თანამეგობრობაში " ერთგვარ უპირატესობას ღებულობდნენ ვაჭრობაში, სესხების მიღებაში და ა.შ. ამიტომ განთავისუფლებული ქვეყნების უმრავლესობა "თანამეგობრობაში" დარჩა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისა "თანამეგობრობის" წევრები გახდნენ: ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, შრი-ლანკა, განა, ნიგერია, კენია, ზამბია, მალტა, უგანდა და სხვები. "თანამეგობრობაში" შეიდნენ აგრეთვე კოლონიებად დარჩენილი ტერიტორიებიც. ამჟამად "თანამეგობრობა" აერთიანებს 40-ზე მეტ სახელმწიფოს.

"თანამეგობრობის" ქვეყნებს შორის ურთიერთობები რეგულირდება "უესტმინსტერის სტატუსით". იგი ითვალისწინებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში "თანამეგობრობის" წევრი ქვეყნების სრულ დამოუკიდებლობას და ბრიტანეთთან თანასწორობას. მაგრამ ქვეყნებს შორის ურთიერთობათა დარეგულირების საქმეში უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს "თანამეგობრობის" წევრი ქვეყნების მეთაურთა პერიოდული (ყოველწლიური) კონფერენცია, რომელიც ღებულობს რეკომენდაციებს ქვეყნებს შორის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეთანხმების მიზნით. "ერთა

თანამეგობრობის" მეთაურად ითვლება დიდი ბრიტანეთის მონარქი (ამჟამად დედოფალი ელისაბედ II). ამავე დროს "თანამეგობრობის" 11 ქვეყანა დედოფალი ელისაბედ II-ს მიიჩნევს საკუთარი ქვეყნის მონარქად.

"თანამეგობრობაში" შემავალ ქვეყნებს ერთმანეთთან ჰყავთ წარმომადგენლები, კომისრები. ხოლო დიდი ბრიტანეთიდან "ერთა თანამეგობრობის" საქმიანობას ხელმძღვანელობს "თანამეგობრობის" სახელმწიფო მდივანი (მინისტრი), რომელიც შედის დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში. "თანამეგობრობის" ხელმძღვანელი ორგანოებია: წევრი ქვეყნების მეთაურთა კონფერენცია, "თანამეგობრობის" სამდივნო და სხვადასხვა საკონსულტაციო კომიტეტები ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების და სხვა დარგებში, აგრეთვე მოქმედებს საპარლამენტო ასამბლეა.

აღსანიშნავია, რომ "თანამეგობრობის" ყველა წევრს უფლება აქვს თავისი სურვილის მიხედვით გავიდეს "თანამეგობრობიდან". ეს უფლებები გამოიყენეს: ბირმამ 1948 წელს, ირლანდიამ 1949 წელს და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ 1961 წელს.

"თანამეგობრობის" ქვეყნებს შორის მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები არსებობს. მაგრამ განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობაა ვაჭრობაში და საფინანსო საკითხებში. 1932 წლიდან მოქმედებს "საიმპერიო პრეფერენციების" (შეღავათების) სისტემა. ამ სისტემით "თანამეგობრობის" ქვეყნები ბრიტანეთთან ვაჭრობაში სარგებლობენ შეღავათიანი საბაჟო ტარიფებით. ისინი შედიან სტერლინგის ზონაში და დიდ ბრიტანეთთან ანგარშსწორებაც ადვილად ხდება. "თანამეგობრობის" შექმნით დიდმა ბრიტანეთმა ყოფილ კოლონიებში შეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში იზრდება აშშ-ისა და იაპონიის გავლენა.

დიდი ბრიტანეთი XX საუკუნეში
სტატისტიკური დამატება

	1900	1913	1938	1950	1970	1990	2000
1. მოსახლეობა მლნ კაცი	38,5	42,5	47,5	52,0	57,0	58,0	59,0
2. მშპ მლრდ დოლარი	260	315	415	455	750	1225	1435
3. მშპ ზრდა. 1900=1	1,0	1,2	1,6	1,8	3,0	4,7	5,5
4. ბრიტანეთის ხვედრითი წილი მშპ მსოფ. წარმოებაში. %	10.0	8,6	7,4	6,0	4,0	3,4	3,0
5. მშპ მოსახლეობის 1 სულზე ათასი დოლარი 2000 წ. ფასებით	6,8	7,4	8,7	8,8	13,5	21,1	24,3
6. მშპ მოსახლეობის 1 სულზე დინამიკა 1900=1	1,0	1,1	1,3	1,3	2,0	3,1	3,6
7. მშპ მოს. 1 სულზე აშშ შესაბამ. მაჩვენებელთან შედარებით %	108,6	84,6	86,7	61,6	62,4	69,8	67,4
8. დასაქმებულთა რაო-ბა მლნ კაცი	16,5	18,5	20,5	22,5	25,0	26,0	26,5
9. 1 დასაქმებულზე მშპ წარმოება, ათასი დოლარი, 2000წ. ფასებით	15,8	17,0	20,2	20,2	30,8	47,1	54,2
10. შრომის ნაყოფიერება აშშ შედარებით მშპ მიხედვით %	92,9	77,7	69,7	57,4	62,1	67,8	65,0
11. საშრეწველო წარმოება მლრდ დოლარი	53,0	73,0	105,0	130,0	245,0	300,0	335,0

12. სამრეწველო წარმოების ზრდა, 1900=1	1,0	1,4	2,0	2,5	4,6	5,7	6,3
13. ბრიტანეთის ხვედრითი წილი მსოფ. სამრ. წარმოებაში %	14,3	13,3	12,6	9,6	6,1	3,9	3,4
14. სოფლ.მეურნეობის პროდუქცია მლრდ დოლარი 2000წ. ფასებით	6,0	6,5	7,5	8,0	11,5	18,0	21,0
15. დიდი ბრიტანეთის საქონლის ექსპორტი. მლრდ დოლარი	38,5	54,5	76,0	66,0	160,0	320,0	400,0
16. დიდი ბრიტანეთის ხვედრითი წილი მსოფ. ექსპორტში. %	15,1	12,9	13,3	8,5	6,8	5,3	4,4
17. საქონლის ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ, %	14,9	15,6	18,3	14,5	21,0	26,0	28,0

ლიტერატურა:

1. რ. გაჩეჩილაძე - ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა. თბ. 1994
2. გ. ჭანტურია - მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, თბ. 1993
3. ი. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ. 2000
4. Найт Гильберт Ф. - География и окружающая среда (Перевод в английского), М. 1990.
5. Брамхед Питер - Эволюция Британской конституции (Перевод с английского), М. 1978.
6. ООН - Доклад о развитии человека за 2001 год. Нью-Иорк, 2001.
7. Современный конституционализм (сборник), М., 1990.
8. Население мира, М., 1989.
9. Слука А.Е. Население Западнгой Европы. М., 1984.
10. Великобритания (сборник), М., 1981.
11. Великобритания (сборник), М., 1990.
12. D. Stamp, S. Beaver- The British Isles A geographic and economic survey. L 1963
13. Smith W. An economic geography of Great Britain, L. 1969
14. Elbaum B, Laronick W. The decline of the British economy, Oxford, 1986
15. Vickerman B.W. Urban economics, Oxford, 1984

სარჩევი

ავტორისაგან 4

თავი I. დიდი ბრიტანეთის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და რესურსები

1. დიდი ბრიტანეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები და შემადგენლობა 6
2. დიდი ბრიტანეთის რელიეფი 9
3. დიდი ბრიტანეთის ჰავა და ამინდი 11
4. დიდი ბრიტანეთის შიდა წყლები და წყლის რესურსები 13
5. დიდი ბრიტანეთის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ნიადაგები, მიწის გამოყენება 14
6. დიდი ბრიტანეთის წიაღისეული სიმდიდრეები 16
7. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ბუნების დაცვა 18

თავი II. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა

1. მოსახლეობის რაოდენობა და დინამიკა. ასაკობრივი და სქესობრივი შედგენილობა 21
2. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, ურბანიზაცია 28
3. მოსახლეობის დასაქმება, სოციალური და პროფესიული შედგენილობა 32
4. მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შედგენილობა 36

თავი III. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა

1. ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 48
2. ეკონომიკის ზოგადი დახასიათება 58
3. მრეწველობა და მისი დარგები 63
4. სოფლის მეურნეობა და მისი დარგები 73
5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 78

6. საგარეო-ეკონომიკური კავშირები 82
7. საფინანსო-საკრედიტო სისტემა 86

თავი IV. მოსახურების დარგები

1. ჯანდაცვის სისტემა და სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია 91
2. განათლების სისტემა 94

თავი V დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო წყობილება და პოლიტიკური კულტურა

1. სახელმწიფო წყობილება 100
2. მმართველობისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები 102
3. ადგილობრივი მმართველობა 110
4. სასამართლო სისტემა 114
5. პოლიტიკური პარტიები . 117
6. დიდი ბრიტანეთი და ევროპის კავშირი . . . 122
7. დიდი ბრიტანეთის "ერთა თანამეგობრობა" 125
8. დიდი ბრიტანეთი XX საუკუნეში. სტატისკური დამატება . 127

9. ლიტერატურა 129
10. სარჩევი 130

ავტორი

ვლადიმერ რაჟდენის ძე ახალაია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა "ენა და კულტურა"
თბილისი 380062 ი. ჭავჭავაძის პრ. 45